საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№22 (351)
15 - 21 ივნისი, 2016
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



2 რუპერტ მერდოკმა ბრიტანელებს ევროკავშირიდან გასვლისკენ მოუწოდა

## ევროსამართალი, ორი გვამი და «პოლიტპატიმარი» ვანო



9

«ორი გვამი მჭირდება» მერაბიშვილის უფლებებს ციმციმ იცავენ, მაშინ, როცა მისი და მის მიერ შექმნილი «წარმატებული და ეფექტიანი ხელისუფლების» წყალობით საქართველოს ათასობით მოქალაქეს უფლებები აჰყარეს, აწამეს, აბუჩად აიგდეს და «გააკუელაკეს»

მამა გიორგი (რაზმაძე): 6

თქვენი გაზეთის მეშვეობით შევეკითხები იმ ელჩებს, რომლებიც «როკფესტივალზე» იმყოფებოდნენ: 12-13 წლის ბავშვები ალკოჰოლსა და ნარკოტიკს რომ ილებდნენ ამ ე.წ. დისკოთეკაზე, არის თუ არა ეს დანაშაული?!

## განხეთქილების ტელევიზია 4

## «რუსი მოდის»! 5

## სისხლიანი კალო გეიკლუბში 3

## «სადაა, ბატონო ბიძინა, თქვენი დაპირებები?» 9

«მსგავსი არჩევნები არ მინახავს, ყველა პარტია ამბობს, მეორე ადგილისთვის ვიბრძვიო» 10

«ყველაფერი, რასაც «ოცნება» ახლა დაიწყებს, წინასაარჩევნო ფაფხურია, უკან დადევნებული ლამპარი, რომელიც არჩევნებში გზას ვერ გაუნათებს» 10

რატომ ჩავარდა ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მცხოვრებთა დიდი ნაწილისთვის საგაზაფხულო სამუშაოები 11

75 წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს, დიდი სამამულო ომი დაიწყო 22

## ვნებანი ყანდურისანი

„სტამბოლის საპატრიარქო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფილიალია, გნებავთ — ტროას ცხენი მართლმადიდებელ სამყაროში, ხოლო მართლმადიდებელი სამყარო გლობალიზაციის, აგრესიული ნეოლიბერა-ლიზმისთვის ჯერჯერობით დაუძლეველი წინაღობაა მსოფლიოს ლგბტ-ზაციის გზაზე და ამ წინაღობის მთავარი სუბიექტი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საერო ხელისუფლება რომ არის, არაერთხელ გვითქვამს.“



8

„სამწუხაროდ, მეუფე ყანდური ერთადერთი არ არის — ჩვენს დედაეკლესიაში ყანდურიზმი მთავარი პრობლემაა! ყანდურებს ვუწოდებ ჭყონდიდის მიტროპოლიტ მეუფე პეტრეს და ქუთათელ-გაენათელ მეუფე კალისტრატეს, რომლებიც „ჩემი ყანდურის“ თანამოაზრენი არიან წმინდა სინოდში და რომლებსაც, მეუფე გრიგოლის მსგავსად, მიშა სააკაშვილის „ხატები ესვენათ“ ეკლესიებში და, უფლის მაგივრად, მათ უგალობდნენ 9 წლის განმავლობაში ოსანას.“

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რუსეთის საპატრიარქო წმინდა კრების გადადებას ითხოვს

**რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი 16-26 ივნისს დაგეგმილი მსოფლიოს წმინდა კრების გადადებას ითხოვს. ამის მიზეზად კი ცალკეული ადგილობრივი ეკლესიების მხრიდან კრებაში მონაწილეობაზე უარის თქმას ასახელებს.**

„ჩვენ ვერ მივიღებთ მონაწილეობას დიდი და წმინდა კრების მუშაობაში. ვითხოვთ მისი ჩატარების თარიღის გადავადებას“, — განაცხადა რუსეთის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ხელმძღვანელმა, მიტროპოლიტმა ილარიონმა.

მანამდე კრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ბულგარეთის, ანტიოქიისა და საქართველოს ეკლესიებმა, ხოლო სერბეთის ეკლესიის შეთავაზებაა, ასევე, ამ კრების ჩატარების გადავადება.






## საქართველოს, კოსოვოს, უკრაინასა და თურქეთს ვიზების ლიბერალიზაციაზე უარი განუცხადეს

**საქართველომ, კოსოვომ, უკრაინამ და თურქეთმა ვიზალიბერალიზაციაზე უარი მიიღეს, სულ ცოტა, სექტემბრამდე, — წერს The Wall Street Journal, — გერმანიისთვის პრობლემაა ქართველების მიერ ჩადენილი დანაშაულები. საფრანგეთი კი თვლის, რომ მომატებული ტერორიზმის საშიშროების პერიოდში, უვიზო რეჟიმის მიცემით, შესაძლებელია დამატებითი პრობლემები შეიქმნას.** საქართველო ევროკავშირთან უვიზო რეჟიმს დეკემბრიდან ელოდება, — წერს გამოცემა და აღნიშნავს, რომ 8 ივნისს, როცა ევროკავშირის წევრი ქვეყნების 28-ვე ელჩი შეიკრიბა, ხმების საკმარისი რაოდენობის მიღება შეუძლებელი შეიქნა. ევროკავშირის მაღალჩინოსნების განცხადების თანახმად, სექტემბერი არის უახლოესი პერიოდი იმისათვის, რომ ევროკავშირის მთავრობამ და ევროპის პარლამენტმა უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით შეთანხმებას ხელი მოაწერონ. იტალიისა და საფრანგეთის პოზიციაა, გადაწყვეტილება მიღებული იქნას ახალი წესებისა და რეგულაციების შემდეგ, რომელთა მეშვეობითაც ევროკავშირი ვიზალიბერალიზაციის დახურვას ადვილად შეძლებს, თუკი რამე პრობლემა შეიქმნება.



## «უამრავი მითი და ჭორი ვრცელდება ევროპაში ქართველების მიერ ჩადენილ დანაშაულზე. ოფიციალური სტატისტიკით კი, ქართველები 24-ე ადგილზე არიან»

**ევროპარლამენტის წევრი, პეტრას აუშტრიავიჩუსი იმ ჭორებზე საუბრობს, რომლებსაც მედია საქართველოზე ავრცელებს. აუშტრიავიჩუსს 2015 წლის გერმანული ოფიციალური სტატისტიკა მოჰყავს და ამბობს, რომ ამ კრიმინალის ჩამდენთა სიაში საქართველო 24-ე ადგილზეა.** „ჩემი კოლეგები ევროპის მასშტაბით ქართველების მიერ ჩადენილ და ორგანიზებულ დანაშაულში მათ მონაწილეობაზე საუბრობენ. უამრავი მითი და ჭორი ვრცელდება, ამიტომ მე ვაჩვენე ელმარ ბროკს 2015 წლის გერმანული ოფიციალური სტატისტიკა — ქართველები არიან იტალიელებზე, უკრაინელებზე, ალბანელებზე, სერბებზე ქვევით. ვფიქრობ, სექტემბრის პირველ ნახევარში შევძლებთ ვიზების ლიბერალიზაციაზე კენჭისყრას. ოპტიმისტური ვარიანტი იქნებოდა ივლისში, მაგრამ უფრო რეალისტურია სექტემბერი“, — განაცხადა აუშტრიავიჩუსმა.

საქართველოსთვის ვიზების ლიბერალიზაციის საკითხს ევროპარლამენტი კენჭს სექტემბერში უყრის. უვიზო რეჟიმთან ერთად, მსჯელობა ე.წ. შეჩერების მექანიზმის შემოღებაზეც გაგრძელდება.

# საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა კრებაში მონაწილეობას არ მიიღებს

**წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კუნძულ კრეტაზე გასამართ წმინდა კრებაში მონაწილეობას არ მიიღებს. სინოდის სხდომა საპატრიარქოში, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ხელმძღვანელობით 10 ივნისს ჩატარდა.**




საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი წელიწადში ორჯერ იკრიბება და ეკლესიისთვის პრობლემურ საკითხებს განიხილავს. წმინდა სინოდმა მართლმადიდებელთა მსოფლიო კრებისთვის მოსამზადებლად საკითხები 25 მაისის სხდომაზე უკვე განიხილა. მართლმადიდებელი ეკლესიების წმინდა და დიდი კრება კუნძულ კრეტაზე 16-27 ივნისს უნდა გაიმართოს. კრების დღის წესრიგის შესათანხმებლად მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურები ერთმანეთს ჟენევაში (შამბეზში) 22-27 იანვარს შეხვდნენ.

კრებაზე იმსჯელებენ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობა არამართლმადიდებელ ეკლესიებთან; ქორწინების დამაბრკოლებელი მიზეზები, კერძოდ, შერეული ქორწინებები მართლმადიდებლებსა და არამართლმადიდებლებს შორის; ქორწინება ნათესაური კავშირის შემთხვევაში და სხვ. ამ საკითხებზე მართლმადიდებელ ეკლესიებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ.

## სტრასბურგის სასამართლოს განცხადება ვანო მერაბიშვილის საქმეზე

**სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრის — ვანო მერაბიშვილის საქმეზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პრესრელიზი გამოაქვეყნა. დოკუმენტის სათაურია: „საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრის — ვანო მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა კანონიერი იყო და ეფუძნებოდა გონივრულ საფუძველს, თუმცა ამასთანავე, გამოყენებულ იქნა მასზე ზეწოლის მოხდენის ხერხად“.**

„ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ:

**არ დარღვეულა** ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პარაგრაფი 1 (თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება), რომელიც ეხება მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის შესახებ 2013 წლის 22 და 25 მაისის სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხს;

**არ დარღვეულა** კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი (გონივრულ ვადებში სასამართლო გარჩევის ჩატარება ან სასამართლომდე გათავისუფლება), რომელიც ეხება მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის შესახებ 2013 წლის 22 და 25 მაისის სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძვლიანობას;

**დაირღვა** კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი, რომელიც ეხება მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის გადახედვის შესახებ 2013 წლის 25 სექტემბრის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

**დაირღვა** კონვენციის მე-18 მუხლი (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) მე-5 მუხლის პარაგრაფ 1-თან ერთობლიობაში, იმ ფაქტის საფუძველზე, რომ მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა ასევე იქნა გამოყენებული პროკურატურის მიერ, როგორც შესაძლებლობა, მოეპოვებინა ბერკეტები ამ საქმესთან დაუკავშირებელი გამოძიებისთვის, კერძოდ, ყოფილი პრემიერმინისტრის — ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე, აგრეთვე, საქართველოს ექსპრეზიდენტის ფინანსური საქმიანობის გამოსაძიებლად“, — ნათქვამია სტრასბურგის სასამართლოს პრესრელიზში.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის 21 მაისს პროკურატურამ ვანო მერაბიშვილი დააპატიმრა და ბრალი დასდო მოსყიდვაში, გაფლანგვასა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. ბრალდება შეეხებოდა დასაქმების სახელმწიფო პროგრამას, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესა და 26 მაისის აქციის დაშლას. 2014 წლის 17 თებერვალს სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**P.S ხელისუფლება ევროსასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომელშიც ხარვეზებზეა მითითებული, გაასაჩივრებს. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა მანანა კობახიძემ განაცხადა, „ხელისუფლება სამი თვის ვადაში მიმართავს დიდ პალატას მე-18 მუხლთან დაკავშირებით. არსად წერია, რომ ვანო მერაბიშვილი არის პოლიტპატიმარი ან გათავისუფლება უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან, რაზეც საუბრობს „ნაციონალური მოძრაობა“ და ეს არის პოლიტიკური სპეკულაცია“.**





## რუპერტ მერდოკმა ბრიტანელებს ევროკავშირიდან გასვლისკენ მოუწოდა

**მედიამაგნატმა რუპერტ მერდოკმა ბრიტანელებს მოუწოდა, 23 ივნისს დაგეგმილ რეფერენდუმზე ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას დაუჭირონ მხარი. ამის თაობაზე ბრიტანული გამოცემა The Sun-ი იუწყება.**

**„ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ ბრიუსელის დიქტატისგან. 43 წელია, ბრიტანეთი ევროკავშირის წევრია და ამ გაერთიანებამ აჩვენა მთელი თავისი გაუმაძღრობა, ექსტრავაგანტურობა და არაკომპეტენტურობა. 23 ივნისს საარჩევნო უბნებზე ჩვენ შეგვიძლია, ეს საშინელი ისტორიული შეცდომა გამოვასწოროთ“,** — განაცხადა რუპერტ მერდოკმა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **დევიდ კემერონი** კი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ივნისის რეფერენდუმზე მოსახლეობა ევროკავშირიდან გასვლას მხარს დაუჭერს, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება.



## სირიაში «ისლამური სახელმწიფოს» ლიდერი მოკლეს

**„ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი სირიაში აშშ-ის ხელმძღვანელობით საერთაშორისო კოალიციის ავიაიერიშის შედეგად დაიღუპა. ამ ინფორმაციას გამოცემა Mirror-ი ტერორისტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საინფორმაციო სააგენტოზე დაყრდნობით ავრცელებს.**

სხვა წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციით კი, „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი ერაყის ქალაქ მოსულში, ტერორისტული დაჯგუფების კონტროლს დაქვემდებარებულ ქალაქში, დაიღუპა.

2011 წლის 4 ოქტომბერს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა ალ-ბაღდადი მსოფლიო მნიშვნელობის ტერორისტად გამოაცხადა და მის შეპყრობაში ან მოკვლაში დახმარებისთვის ჯილდოდ 10 მილიონი აშშ დოლარი დააწესა.



## გერმანელთა საპროტესტო აქცია აშშ-ის ავიაბაზასთან

**ქალაქ რამშტაინში (გერმანია), ამერიკის ავიაბაზასთან, 5000 გერმანელი ცოცხალ ჯაჭვში ჩადგა. გერმანელთა აღშფოთება უპილოტო საფრენი აპარატებით სამხედრო მოქმედებებმა გამოიწვია, — იუწყება Deutshe Welle.** ამერიკულ ავიაბაზასთან, რომელიც რაინლანდ-პფალცის ფედერალური მიწის ქალაქ რამშტაინშია განლაგებული, 5000-მა ადამიანმა ცოცხალი ჯაჭვი შექმნა, რათა გამოეხატა უკმაყოფილება აშშ-ის მიერ გერმანიაში განლაგებული ავიაბაზიდან სამხედრო ოპერაციებში უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების გამო. რამშტაინის სამხედრო ბაზა მნიშვნელოვან როლს თამაშობს უპილოტო საფრენი აპარატების სამხედრო ოპერაციების ჩატარებაში. აშშ-დან წამოსული სიგნალები საომარი მოქმედებების ზონაში გერმანიაში განლაგებული რეტრანსლაციის სადგურ SATCOM-ის მეშვეობით გადაეცემა. საპროტესტო აქციაში მონაწილე გერმანელები მთავრობისგან მოითხოვდნენ, შეეწყვიტათ აშშ-ის სამხედრო ოპერაციების მხარდაჭერა.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ადამიანის უფლებები სოდომიის წინააღმდეგ: კიევში გეიაღლუმი ჩაატარეს

## «ჩვენ რა, მაიდანზე გეებისთვის ვიდექით?»

**ამა წლის 12 ივნისს უკრაინის დედაქალაქ კიევში გეიაღლუმი შარშანდელისგან განსხვავებულად ჩატარდა.**






2015 წელს ე.წ. სექსუალური უმცირესობების მცდელობა, კიევის ცენტრში მსვლელობა მოეწყოთ, კრახით დასრულდა — ე.წ. ლგბტ-თემის წარმომადგენლები აქციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში სასტიკად დაარბიეს „მემარჯვენე სექტორის“ წარმომადგენლებმა, რომლებიც წელს „სისხლიანი კალოს მოწყობით“ ემუქრებოდნენ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს, მაგრამ ამერიკელი კონგრესმენების მხარდაჭერით (აშშ-ის კონგრესის 38 წევრმა აშშ-ში უკრაინის ელჩს წერილი გაუგზავნა და გეიაღლუმის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვა მოსთხოვა) გულმოცემულმა ლესბოსელებმა და პედერასტებმა კიევის ცენტრში ე.წ. თანასწორობის მარშით ჩაიარეს. აქციის მონაწილეთა უსაფრთხოებას, უკრაინის ნაციონალური პოლიციის შეფის — ხატია დეკანოიძის განცხადებით, 6 ათასი სამართალდამცველი იცავდა. მათ აქციის 50-მდე მონაწილე დააპატიმრეს.

**ამერიკელი კონგრესმენების მხარდაჭერით (აშშ-ის კონგრესის 38 წევრმა აშშ-ში უკრაინის ელჩს წერილი გაუგზავნა და გეიაღლუმის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვა მოსთხოვა) გულმოცემულმა ლესბოსელებმა და პედერასტებმა კიევის ცენტრში ე.წ. თანასწორობის მარშით ჩაიარეს. აქციის მონაწილეთა უსაფრთხოებას, უკრაინის ნაციონალური პოლიციის შეფის — ხატია დეკანოიძის განცხადებით, 6 ათასი სამართალდამცველი იცავდა**

ე.წ. თანასწორობის მარშის მონაწილეთა ლოზუნგი იყო „უწინარესად — ადამიანის უფლებები“, მარშის მოწინააღმდეგეებმა კი გამოიტანეს პლაკატები წარწერით: „უკრაინა სოდომი არ არის“.

ბევრი კიეველი კი სვამდა კითხვას: „ჩვენ რა, მაიდანზე გეებისთვის ვიდექით?“






## სისხლიანი კალო გეიკლუბში

**12 ივნისს, ღამით, ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოს გეიკლუბ “Pulse”-ში შეიჭრა მამაკაცი, რომელმაც ჯერ მძევლები აიყვანა, შემდეგ კი ამ დაწესებულების 49 სტუმარი დახვრიტა, 54 კი — დაჭრა.**

თავდამსხმელი, რომელიც სპეცდანიშნულების რაზმმა მოკლა, წარმოშობით ავღანელი ამერიკელი, ნიუ იორკში დაბადებული ომარ სადიკი მატინი იყო. გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები მატინის საშინელი მოქმედების მოტივის რამდენიმე ვერსიას განიხილავენ, მათ შორის, მის კავშირს რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებასთან, კერძოდ, „ისლამურ სახელმწიფოსთან“, აგრეთვე, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლებისადმი ზიზღს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მატინმა ცოტა ხნის წინათ გაიარა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სწავლების კურსი. მას უსაფრთხოების თანამშრომლის ლიცენზია და ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება ჰქონდა.

ორლანდოში დატრიალებული სისხლიანი კალო ყველაზე მასობრივი მკვლელობაა აშშ-ის ისტორიაში. გეიკლუბში მოწყობილმა ხოცვა-ჟლეტამ 2-ჯერ გადააჭარბა 2012 წლის საშინელ შემთხვევას, როცა ადამ ლენზამ მოიერიშეთა შაშხანიდან სროლა ატეხა და სკოლა სენდი პუკში 27 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.

მანამდე კი, 2007 წელს ვირჯინიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში კორეული წარმოშობის ამერიკელმა ჩი სინ ხიმ 33 ადამიანი მოკლა და 25 დაჭრა.

აღსანიშნავია, რომ გეიკლუბში დატრიალებულ ტრაგედიამდე 1 დღით ადრე იმავე ორლანდოში ორი პისტოლეტით შეიარაღებული მამაკაცი კონცერტის შემდეგ თავს დაესხა შოუ „ხმის“ მონაწილე **კრისტინა გრიმის** და სასიკვდილოდ დაჭრა, როცა 22 წლის მომღერალი თაყვანისმცემლებს ავტოგრაფს ურიგებდა. ბოროტმოქმედმა დანაშაულის ჩადენის შემდეგ თავი მოიკლა, კრისტინა გრიმი კი მეორე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

## «ისლამური სახელმწიფოს» მხარდამჭერმა ფრანგი პოლიციელი და მისი მეუღლე მოკლა

**დასავლური მედიის ცნობით, პარიზის ახლოს მდებარე დასახლებულ პუნქტ მანიანვილში დანით შეიარაღებული მამაკაცი შეძახილით „ალაჰ აქბარ!“ პოლიციის ოფიცერს მის სახლთან დაესხა თავს და მოკლა, შემდეგ კი მისი მეუღლე და 3 წლის ბავშვი მძევლად აიყვანა.**

როდესაც ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა მოლაპარაკებები დაიწყეს, თავდამსხმელმა განაცხადა, რომ ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ წევრია. სახლის შტურმისას სამართალდამცველებმა თავდამსხმელი მოკლეს. დაიღუპა პოლიციელის მეუღლეც.

# ნატო — ეს არის რეკეტი!

**ამერიკული ინტერნეტგამოცემა The Huffington Post-ი წერს, რომ მსოფლიო წესრიგისადმი მოჩვენებითი მუქარები აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს საშუალებას აძლევს, წარმატებით გაყიდოს თავისი ნაწარმი.**



პასუხისმგებლობის მქონე გადასახადის გადამხდელებმა იციან, რომ ნატო არის თავდაცვითი კავშირი, რომელიც გვიცავს ტირანიისა და შორს მცხოვრები შავგვრემანი ადამიანებისგან, მაგრამ სინამდვილეში რით არის დაკავებული ეს ალიანსი?

მას შემდეგ, რაც წითელი საფრთხე აღარ არსებობს, ნატო 20 წლის განმავლობაში ცდილობდა, შეეცვალა თვალსაზრისი საკუთარ თავზე. ნატოს, ალბათ, კაბალის შესწავლა უნდა დაეწყო მადონასთან ერთად, რომელსაც, ჩანს, საქმე გამოელია. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ დაეხმარება დიდი ამერიკული რეაქტიული გამანადგურებლების მიყიდვაში იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც ეს თვითმფრინავები სულაც არ სჭირდებათ.

აი როგორ აღწერდა ერთი კვლევითი ინსტიტუტი ნატოს გაფართოებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 1999 წელს: **„ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა იარაღის მწარმოებლებისთვის, ერთი შეხედვით, საოცნებო ბაზარია... მაგრამ პენტაგონის წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ პრიორიტეტების ჩამონათვალში იარაღი ჯერჯერობით არ არის. რუსეთსა და ნატოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების გარეშე ახალ ქვეყნებში სამხედრო პოტენციალის გაძლიერებით ნატო ნავთს დაასხამს ცეცხლზე, რომელიც მოსკოვსა და დასავლეთს შორის გიზგიზებს“.**

ეს დასკვნა „მსოფლიო დიალოგის ცენტრმა“ 1999 წელს გამოაქვეყნა, რა უნდა იყოს ამაზე წინასწარმეტყველური?

დანიურმა მემარცხენე ცენტრისტულმა გაზეთმა Politiken-მა ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღწერილია, როგორ გადააქცევდა ხოლმე აშშ რუსეთის მხრიდან მსოფლიოს დაპყრობის მოჩვენებით მუქარას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში თავისი ნატოელი „მოკავშირეებისთვის“ იარაღის მიყიდვის მოცულობის ზრდად. პენტაგონელი მაღალჩინოსნების თქმით, რომლებიც მალე გავლენ პენსიაზე და მუშაობას დაიწყებენ კონსულტანტად Lokheed martin-ის მსგავს კომპანიაში, ყოველ წუთს მოსალოდნელია, რომ რუსეთი ბალტიისპირეთში შეიჭრება.

რას ნიშნავს ეს? — ყველაფერი მარტივია: დღეს იარაღი ნატოს პრიორიტეტების სიის ზედა ნაწილშია.

რა თქმა უნდა, დამთხვევაა, რომ 2015 წელს ობამას ადმინისტრაციამ სტარტი აალებინა ამბიციურ ინიციატივას იარაღით ვაჭრობის სფეროში, რომელიც კონკრეტულად ნატოს წევრებისთვის არის გამიზნული: „აშშ-ის მთავრობამ განაცხადა, რომ ორ წელიწადზე გათვლილი პროექტი ნატოს წევრ სახელმწიფოებს იარაღის შესყიდვას გაუიოლებს, რადგან ეს ქვეყნები სამხედრო ბიუჯეტის უკმარისობას განიცდიან. პროგრამა მიზნად ისახავს აშშ-ის იარაღის გაყიდვას საქმიანი პრაქტიკის ცვლილებებთან ადაპტაციისა და მყიდველთა მოთხოვნების მიმართ მოქნილობის წყალობით“.

ამრიგად, კითხვაზე — **სინამდვილეში რით არის დაკავებული ნატო? — პასუხი მარტივია: ქმნის წარმოსახვით მუქარებს მსოფლიოს სტაბილურობისთვის, შემდეგ კი ამ მუქარისგან თავის დასაცავად მარჯვნივ და მარცხნივ ვაჭრობს იარაღით.**

გენერალ-მაიორმა **სმედლი ბატლერმა** (ამერიკელი სამხედრო მოღვაწე, საზღვაო ქვეითთა კორპუსის მეთაური — რედ.) თავის დროზე დაწერა: „ომი — ეს არის რეკეტი“. და თქვენ სანაძლეოც შეგიძლიათ დადოთ, რომ ამ სისხლიან თაღლითობაში ნატო წამყვან როლს თამაშობს.

ჩვენ შეიარაღებულ ძალებზე არ უნდა დავხარჯოთ იმაზე მეტი, ვიდრე ნატოს 25 ქვეყანა ერთობლივად ხარჯავს. ჩვენ არ გვჭირდება მოძველებული „თავდაცვითი“ ალიანსი, რომელიც დაუცველ სახელმწიფოებს ბომბავს და ამერიკული წარმოების იარაღით ვაჭრობს იმ ქვეყნებთან, რომლებისთვისაც ამ იარაღს არავითარი სარგებელი არ მოაქვს.

**ნატო — ეს არის რეკეტი!**

**The Huffington Post**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**არჩევნების შედეგების გაყალბებისა და „რუსთავი 2“-ის დაცვის თემების გაერთიანება ერთი საპროტესტო მოძრაობის ქოლგის ქვეშ „ნაცმოძრაობას“, ასე თუ ისე, წარმომადგენლობითი ოპოზიციური ფრონტის ფორმირების შესაძლებლობას მისცემს, რომელიც „მაიდნის“ წარმატებისთვის ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) აუცილებელი წინაპირობაა.**

# განხეთქილების ტელევიზია

**დასრულდა „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული დავის მორიგი რაუნდი; თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ტელეკომპანია ქიბარ ხალვაშს უნდა დაუბრუნდეს. შემდეგი (და ბოლო) გაჩერება უზენაესი სასამართლოა. პროცესი კულმინაციას უახლოვდება და დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს.**



ამ თემის ანალიზი და მოდელირება საკმაოდ საინტერესოა, თუმცა ყველა სცენარი, რომლებსაც ქვემოთ შევეხებით, რეალიზებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

**ა) განხილვა უზენაეს სასამართლოში არაფერს შეცვლის;**

**ბ) საკონსტიტუციო სასამართლო ვერ მოახერხებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც ხალვაშისთვის წილების დაბრუნებას დაბლოკავს.**

თუ ამ ორი პუნქტიდან ერთ-ერთი მაინც არ შესრულდება, პროცესი საწყის წერტილს დაუბრუნდება და პრაქტიკულად ყველაფერი თავიდან დაიწყება. საზოგადოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ამ მოვლენებში, მისი ხელმძღვანელობისა და იუსტიციის მინისტრის დაპირისპირება, სასამართლო სისტემაში ყოფილი თუ ამჟამინდელი ხელისუფლების გავლენის პროეცირების თავისებურებები ცალკე და ძალზე საინტერესო თემაა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე, ალბათ, ამ საქმის სავარაუდო პოლიტიკური შედეგია.

**აშშ-ის ელჩის — იან კელის განცხადებას იმის თაობაზე, რომ წინასარჩევნოდ „რუსთავი 2“-ის მენეჯმენტის შეცვლა ძალიან არასასურველად მიაჩნია, საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების ანალოგიური შინაარსის კომენტარები მოჰყვა.** „არჩევნებამდე „რუსთავი 2“ თუ შეჩერდა ან შეცვალა მაუწყებლობა, ეს იქნება დღევანდელი მთავრობის, დღევანდელი ხელისუფლების საწინააღმდეგო ნაბიჯი“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ **დავით უსუფაშვილმა** (სააგენტი „პირველი“). პრეზიდენტის პრესსპიკერ **ეკა მიშველაძის** თქმით, „პრეზიდენტის ყველა შეხვედრაზე სტრასბურგსა და ბრიუსელში „რუსთავი 2“-ის თემა ინტერესის საგანი იყო. პრეზიდენტი თვლის, რომ ის, რაც ხდება „რუსთავი 2“-ის გარშემო, ამძაფრებს კითხვის ნიშნებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. პრეზიდენტის აზრით, არჩევნებამდე „რუსთავი 2“-ის მფლობელთა შეცვლა დამაზიანებელი იქნება როგორც საარჩევნო გარემოს, ასევე არჩევნების პროცესის შეფასების თვალსაზრისით“ („გურიანიუსი“). რაც შეეხება **ბიძინა ივანიშვილს,** ის კიდევ უფრო შორს წავიდა: „იქნებ ისე მოხდეს, რომ სასამართლო პროცესის დანიშვნა არ მოესწროს (არჩევნებამდე — ავტ.)... თუ მოესწრება... მე პირადად გარანტად დავუდგებოდი ხალვაში იქნებოდა თუ დვალი, თუ ორივე ერთად, და ვთხოვდი, ფინანსურად თუ რაიმე ზარალს ნახავენ, პირადად ავუნაზღაურებდი. თუ მოხდა, რომ სასამართლო უფრო ადრე და მათ სასარგებლოდ დასრულდა, არ შეეხონ გვარამიას და მენეჯმენტს და საფასურად ჩემგან მოითხოვონ, რაც უნდათ“ (ინტერპრესნიუსი).

შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხზე კონსენსუსი შედგა, ნაკლებად სავარაუდოა, ქიბარ ხალვაშმა ყოველივე ზემოთქმული არ გაითვალისწინოს და იურიდიული პროცედურების დასრულების შემდეგ (თუ მოესწრება და ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც მას სურს) ტელეკომპანიას დაუყონებლივ მიადგეს. ამას, სავარაუდოდ, მხოლოდ მას შემდეგ გააკეთებს, როცა არა მხოლოდ არჩევნები, არამედ პოსტსაარჩევნო შფოთვაც დასრულდება, თუმცა იმაზე ადრე, ვიდრე აქტუალური გახდება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პრობლემატიკა. აქედან გამომდინარე, ცვლილებები „რუსთავი 2“-ში შეიძლება საახალწლო არდადეგების პერიოდში მოხდეს (პლუს-მინუს ერთი თვე).

ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, უბრალოდ, ამერიკელების ნების რეტრანსლირება მოახდინა და დაემორჩილა მას, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ერთი გარემოების აღნიშვნა. „ნაციონალური მოძრაობა“, რამდენიმე თვეა, დაუცხრომლად ამტკიცებს, რომ ივანიშვილის მთავარ მიზანს წინასაარჩევნოდ ოპოზიციისთვის აზრის გამოთქმის შესაძლებლობის წართმევა და კრიტიკული სიუჟეტების დაბლოკვა წარმოადგენს. მენეჯმენტის შეცვლა არჩევნებამდე ამ მოსაზრებას გაამყარებდა და, რაც მთავარია, მისცემდა ნაციონალებს შესაძლებლობას, ორი „სამაიდნო“ თემა გაეერთიანებინათ:

**ა) არჩევნების გაყალბება;**

**ბ) „რუსთავი 2“-ის დაცვა.**

ეს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საკითხია; ხელისუფლებიდან წასვლის მომენტიდან დღემდე სააკაშვილის ჯგუფი მუდამ ეძებდა თემას, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა, სხვა პარტიებთან და არასამთავრობოებთან ეთანამშრომლათ, რათა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ივანიშვილის პოლიტიკის წინააღმდეგ გაერთიანებული ფართო ფრონტის არსებობის შთაბეჭდილება შეექმნათ. ისინი ცდილობდნენ, გამაერთიანებელ იდეად პროდასავლური კურსის დაცვა, აგრეთვე, სხვადასხვა სიტუაციურ კრიზისზე რეაგირება გამოეყენებინათ, მაგრამ ამაოდ — ანგარიშგასაწევი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ამას ერიდებოდნენ ისე, თითქოს ნაციონალები კეთროვნები ყოფილიყვნენ.

**„რუსთავი 2“-თან დაკავშირებული მოვლენები აღმოჩნდა პირველი თემა, რომელთანაც სხვა ძალები „ნაცმოძრაობის“ ახლოს ყოფნაზე ნერვულად აღარ რეაგირებდნენ. ძნელი სათქმელია, ვინ დაუდგება გვერდით „ნაცმოძრაობას“, აშკარა სატელიტების გარდა, თუ ის არჩევნების გაყალბებაზე ყვირილს დაიწყებს და ამ ნიადაგზე „მაიდნის“ აგორებას შეეცდება. მსგავსი მხარდაჭერა უკანდახევას და თამაშიდან გასვლას ნაკლებად ითვალისწინებს და ამა თუ იმ პარტიის ლიდერების ბედს „ნაცმოძრაობის“ სცენარის რეალიზებას დაუკავშირებს. ასეთი რისკისთვის ყველა როდია მზად.**

სულ სხვა საქმეა „რუსთავი 2“-ის მხარდაჭერა, სხვადასხვა პარტიის ლიდერები ამაზე იოლად თანხმდებიან, თავისუფალი სიტყვის დაცვის აუცილებლობაზე საუბრობენ და, შესაძლოა, ვარაუდობენ, რომ ამის სანაცვლოდ გარკვეულ „სატელევიზიო ბონუსებს“ მიიღებენ (წინასაარჩევნო პერიოდში ეს განსაკუთრებით აქტუალურია). **არჩევნების შედეგების გაყალბებისა და „რუსთავი 2“-ის დაცვის თემების გაერთიანება ერთი საპროტესტო მოძრაობის ქოლგის ქვეშ „ნაცმოძრაობას“, ასე თუ ისე, წარმომადგენლობითი ოპოზიციური ფრონტის ფორმირების შესაძლებლობას მისცემს, რომელიც „მაიდნის“ წარმატებისთვის ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) აუცილებელი წინაპირობაა.**

თქმულიდან გამომდინარე, ალბათ, შეგვიძლია ვივარაუდოთ შემდეგი: **„ნაცმოძრაობისთვის“ სასურველია, რომ მისი პოსტსაარჩევნო პროტესტი და „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული კრიზისის კულმინაცია ერთმანეთს დაემთხვეს ან, როგორც მინიმუმი, ერთმანეთისგან დიდად დაშორებული არ იყოს. ივანიშვილის ხელისუფლებას კი, სავარაუდოდ, ხელს აძლევს, რომ ეს ორი თემა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს. მისთვის, დიდი ალბათობით, სასურველია, რომ „რუსთავი 2-ის“ ხალვაშის კონტროლს ქვეშ გადასვლა (სოცქსელებში გაჩნდა ახალი სიტყვა — „ქიბარიზაცია“) მხოლოდ მას შემდეგ მოხდეს, რაც პოსტსაარჩევნო კრიზისი დაიძლევა, ხოლო „ნაცმოძრაობის“ რესურსები მეტწილად ამოიწურება.** ამ შემთხვევაში დრო უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ფაქტორის როლს ასრულებს. შესაძლოა, ეს გაცილებით სერიოზული პრობლემაა ივანიშვილისთვის, ვიდრე ნეგატიური ეფექტი, რომელსაც „რუსთავი 2“-ში „გვარამიას ეპოქის“ გახანგრძლივება ან ოპონენტების მიერ 2003-ში აპრობირებული სქემების გამოყენების მცდელობა მოუტანს.

ხელისუფლებას უჭირს უცხოელი პარტნიორებისთვის იმის დამტკიცება, რომ ის დისტანცირებულია სასამართლო პროცესისგან და საქმე მხოლოდ ყოფილი და ამჟამინდელი მფლობელების ქონებრივ დავას ეხება. დღეს ის ჯერ კიდევ 2011-ში დაშვებული შეცდომის შედეგებს იმკის. **პოლიტიკაში მოსვლის დღიდან ბიძინა ივანიშვილი „რუსთავი-2“-თან დაუსრულებელ პოლემიკაშია ჩაბმული. ის იმთავითვე აკრიტიკებდა სიუჟეტებს, წამყვანების ცალკეულ მოსაზრებებს თუ სარედაქციო პოლიტიკას მთლიანად და ტელეკომპანიას სააკაშვილის რეჟიმის რუპორად წარმოაჩენდა.** ყოველივე ეს ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც საკმაოდ ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდა და საბოლოოდ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ცხარე კამათი „რუსთავი 2“-თან ივანიშვილისთვის იდეაფიქსს წარმოადგენს. როდესაც ქიბარ ხალვაშმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ტელეკომპანიის დაბრუნება მოითხოვა სავსებით ნეიტრალურ უცხოელ დამკვირვებლებსაც კი (სააკაშვილის გულშემატკივრებზე რომ არაფერი ვთქვათ) ბუნებრივად გაუჩნდა ეჭვი, რომ ამის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას. თავის დროზე ემოციები რომ მოეთოკა, დღეს ხელისუფლება თავს, სავარაუდოდ, გაცილებით მშვიდად იგრძნობდა.

აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება კიდევ ერთ მომენტზე — **XXI საუკუნეში ქვეყნის თუნდაც ყველა ტელეკომპანიის კონტროლი საზოგადოებრივი აზრის კონტროლს არ ნიშნავს. ეს არ ესმოდა სააკაშვილს, რაც მისი რეჟიმის კრახის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა გახდა. თუ ივანიშვილს ან მისი გარემოცვის წევრთ მიაჩნიათ, რომ მათთვის პრიორიტეტულია „რუსთავი 2“-ის მენეჯმენტის შეცვლა და არა იმ ტექნოლოგიების დაუფლება, რომლებიც საზოგადოებრივ აზრზე შედეგიანი არაპირდაპირი გავლენის შესაძლებლობას მისცემს, ეს ფატალური შეცდომაა.**

ტროას ომზე შეთხზული მითებიდან ერთ-ერთის ინტერპრეტაციის თანახმად, რომელიც **სტესიქორეს** ეკუთვნის, ღმერთებმა მშვენიერი ელენე ეგვიპტეში გახიზნეს, ხოლო ტროაში მისი აჩრდილი გაემგზავრა. სწორედ მას ხედავდნენ ომის მონაწილეები და ამ აჩრდილის გულისთვის იხოცებოდნენ. „რუსთავი 2“-თან დაკავშირებულ საქმეში მხარეები კონტროლისთვის იბრძვიან (და, შესაძლოა, არა იმდენად ტელეკომპანიისთვის, რამდენადაც მისი აუდიტორიისთვის), თუმცა გამორიცხული არ არის, რომ სინამდვილეში მთავარი პრიზი მხოლოდ კონტროლის ილუზიაა, აჩრდილი, რომელზეც არაგონივრულია ამდენი რესურსის დახარჯვა.

ცხადია, თქმული არ ნიშნავს, რომ სააკაშვილის რეჟიმის ყველა დანაშაული გამოძიებული არ უნდა იქნას ან ქონება კანონიერ მფლობელებს არ დაუბრუნდეს, მაგრამ, **თუ ხელისუფლებაში ვინმეს ჰგონია, რომ „რუსთავი 2“-ის დაკარგვა „ნაცმოძრაობას“ მნიშვნელოვნად დაასუსტებს (ან მთავრობის მდგომარეობას გააუმჯობესებს), სავარაუდოდ, ცდება. არსებობს სხვა საშუალებები და მათი გამოყენებით შესაძლებელია იმ ერთიანი საინფორმაციო და ფსიქოლოგიური სივრცის შედუღაბება, რომლებიც სააკაშვილის მიმდევრებს ერთმანეთთან აკავშირებს, თანაც ისე მჭიდროდ, რომ მათ ხშირად ტოტალიტარული სექტის წევრებს ადარებენ. ამ ერთიანობის დარღვევის ერთადერთი გზა — ტოტალური დენაციფიკაციაა, რომლის გარეშე თვალები არავის აეხილება.** ეს ძალზე მტკივნეული პროცესია, მაგრამ მის გარეშე საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი ისევ პარალელურ რეალობაში, ერთგვარ „მატრიცაში“ იცხოვრებს, ხოლო მათი ლიდერები გამოიყენებენ დემოკრატიულ გარემოს, რათა კაცთმოძულე ავტორიტარული რეჟიმი აღადგინონ. ამ ძირეული ცვლილებების გარეშე არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვის დარჩება „რუსთავი 2“, „სამტრედია 3“ თუ „ჩხოროწყუ 4“, მაგრამ ხელისუფლება ამ ცვლილებისთვის, სავარაუდოდ, მზად არ არის. მან დენაციფიკაციასა და ბოროტებისგან გამიჯვნას მასთან თანაარსებობა არჩია.

**თუ ხელისუფლებაში ვინმეს ჰგონია, რომ «რუსთავი 2»-ის დაკარგვა «ნაცმოძრაობას» მნიშვნელოვნად დაასუსტებს (ან მთავრობის მდგომარეობას გააუმჯობესებს), სავარაუდოდ, ცდება. არსებობს სხვა საშუალებები და მათი გამოყენებით შესაძლებელია იმ ერთიანი საინფორმაციო და ფსიქოლოგიური სივრცის შედუღაბება, რომლიც სააკაშვილის მიმდევრებს ერთმანეთთან აკავშირებს, თანაც ისე მჭიდროდ, რომ მათ ხშირად ტოტალიტარული სექტის წევრებს ადარებენ. ამ ერთიანობის დარღვევის ერთადერთი გზა — ტოტალური დენაციფიკაციაა, რომლის გარეშე თვალები არავის აეხილება**

**ვეგანების კაფეში შეგდებული მწვადისა და ძეხვის რამდენიმე ნაჭრის გამო საქართველოში აშშ-ის ელჩი სასწრაფოდ მივიდა იქ და სოლიდარობა გამოხატა. საკითხავი მხოლოდ ის არის, რატომ არ მიმართა აშშ-ში საქართველოს მოქმედმა ელჩმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს აღშფოთებისა და პროტესტის წერილით. ჩვენი გეების უფლებებზე მზრუნველმა სახდეჯმა საკუთარ 49 მოკლულ გეის და მათ ოჯახებს რა პასუხი უნდა გასცეს? ან მთელს მსოფლიოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას სახელმწიფოს სტრატეგიად რომ დასახავ და ყურისძირში ჯერაც დაუოჯახებელ 49 გეის დაგიხოცავენ, სად გამოგეყოფა თავი?**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**12 ივნისის ღამეს ამერიკულ ქალაქ ორლანდოში, გეი-ბარ „პულსში“ ნახევრადავტომატური შაშხანითა და პისტოლეტით შეიარაღებული ახალგაზრდა მამაკაცი შევიდა და ცეცხლი გახსნა. 49 ადამიანი დაიღუპა, 54 — დაიჭრა. ამბობენ, რომ ყველაფერი სამი საათის განმავლობაში გრძელდებოდა, თუმცა, როგორ მოახერხა 29 წლის ავღანური წარმოშობის ომარ მატინმა ერთი შაშხანითა და ერთი პისტოლეტით ამდენი ადამიანის მოკვლა და დაჭრა, გაუგებარია.**

# «რუსი მოდის»!

ომარ მატინი სამი წლის განმავლობაში უძღვებოდა ტელეპროგრამას ამერიკულ სატელიტურ არხზე Payam-e-Afghan, რომელიც ავღანეთისა და პაკისტანის მოქმედ ხელისუფლებებს უპირისპირდებოდა. ჩვენებური ტაქსისტებისა არ იყოს, მატინსაც ორი დიპლომი ჰქონდა, მათ შორის ერთი — სისხლის სამართლის იუსტიციის ტექნოლოგიების დარგში(?). ოღონდ, ტაქსისტად კი არა, დაცვის ტრანსნაციონალურ სამსახურში მუშაობდა. ახლა იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ სწორედ ამგვარი სამსახურები გზავნიან ლეგიონერებს სხვა ქვეყნებში საომრად, გასაგები გახდება, რატომ შეწყვიტა ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ მის მიმართ ორჯერ დაწყებული გამოძიება.

ამბობენ, რომ მატინს სირიაში, „ზომიერი ოპოზიციის“ მხარეს საბრძოლველად გაგზავნას უპირებდნენ. მატინი ორჯერ დაჰკითხა გფბ-მ. ერთხელ იგი კოლეგების მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამო, მეორედ – ამერიკელ რადიკალურ მუსლიმანთან კავშირის გამო, რომელმაც სირიაში თავი აიფეთქა. არადა, როგორც ირკვევა, ომარ მატინს არასოდეს ჰქონია კონფლიქტები კოლეგებთან, რომლებიც გეები იყვნენ.

ომარი რომ ჰომოფობი იყო, მამამისმაც დაადასტურა. რამდენიმე თვით ადრე მას მაიამიში უნახავს მამაკაცების წყვილი, რომლებიც ერთმანეთს კოცნიდნენ. მამას მიაჩნია, რომ ომარს ამ ფაქტმა უბიძგა თავდასხმისკენ. თავდასხმამდე ცოტა ხნით ადრე ომარი თვითონ დაუკავშირდა სამაშველო სამსახურს — 911-ს და შეატყობინა, რომ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ არის დაკავშირებული. „ისლამურმა სახელმწიფომ“ კი მხოლოდ 13 ივნისს, თავდასხმის შემდეგ, აღიარა მატინი „ხალიფატის მეომრად ამერიკაში“.

დასასრულ, ჟანრის კანონების მიხედვით, გამოჩნდა ომარ მატინის ყოფილი ცოლი, რომელიც ამტკიცებს, რომ მას ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა. ყურადღება მიაქციეთ, რომ, ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მიერ ტერორიზმთან დაკავშირებული პირების სიაში შეყვანის მიუხედავად, ფსიქიკური პრობლემების მქონე ომარ მატინმა უპრობლემოდ მოახერხა ნახევრადავტომატური შაშხანისა და პისტოლეტის შეძენა. სხვათა შორის, ეს სწორედ ის შაშხანაა (AR-15), რომელიც ყველაზე ხშირად არის გამოყენებული აშშ-ში მასობრივი მკვლელობებისას.

ვინც ამ ვერსიებში ლოგიკის ნატამალს იპოვის, ალბათ, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის ასეთივე აბსურდულ ვერსიასაც დაიჯერებს. თუმცა ყველამ თავისი მკვდარი იტიროს, ჩვენ კი ჩვენს ვეგანებს მივხედოთ (ლგბტ-ში არ აგერიოთ!). **ვეგანების კაფეში შეგდებული მწვადისა და ძეხვის რამდენიმე ნაჭრის გამო საქართველოში აშშ-ის ელჩი სასწრაფოდ მივიდა იქ და სოლიდარობა გამოხატა. საკითხავი მხოლოდ ის არის, რატომ არ მიმართა აშშ-ში საქართველოს მოქმედმა ელჩმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს აღშფოთებისა და პროტესტის წერილით(!). ჩვენი გეების უფლებებზე მზრუნველმა სახდეჯმა საკუთარ 49 მოკლულ გეის და მათ ოჯახებს რა პასუხი უნდა გასცეს? ან მთელს მსოფლიოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას სახელმწიფოს სტრატეგიად რომ დასახავ და ყურისძირში ჯერაც დაუოჯახებელ 49 გეის დაგიხოცავენ, სად გამოგეყოფა თავი?**

სამაგიეროდ, კიევში გეიპარადმა უდანაკარგოდ ჩაიარა. უფრო სწორად, ამ ღონისძიებას „თანასწორობის მარში“ უწოდეს. პრინციპში, როგორი „ღირსების რევოლუციაც“ მოაწყვეს კიევის მაიდანზე, ახლაც ისეთი „თანასწორობის“ დემონსტრირება მოახდინეს. თითო ლგბტ უფებადამცველზე 6 სამართალდამცავი მოდიოდა, ანუ 1000 ლგბტ-ზე – 6 ათასი პოლიციელი. ტერიტორიაზე შემსვლელებს ჩხრეკდნენ. ამოღებულ ნივთებში რამდენიმე გაზის ბალონი, ჯიბის დანა და ორი მართლმადიდებლური ჯვარი აღმოჩნდა. პერიმეტრს ეროვნული გვარდია იცავდა. იქვე შეკრებილი მოქალაქეები ლგბტ პირებს ძველი სახელით (პედარასტები) მოიხსენიებდნენ და კითხვას სვამდნენ: **ჩვენ რა, ამათი პარადებისთვის ვიდექით მაიდანზე?!**

ქართველების გარეშე ხომ არსად არაფერი ხდება და ეროვნული პოლიციის შეფმა **ხატია დეკანოიძემ** სრულიად უკრაინას ამცნო, რომ მარშის დროს 57 პირი დააკავეს. არადა, შეძახილების გარდა, არც არაფერი მომხდარა და უკრაინელი გეებიც პატრიოტები აღმოჩნდნენ: ხუთასი მეტრის გავლის შემდეგ (სწორედ ეს მანძილი იყო ნებადართული) უკრაინის ჰიმნი შეასრულეს. მარშის დამთავრების შემდეგ მონაწილეებმა სასწრაფოდ მოიცილეს ლგბტ სიმბოლიკა და ისე დაიშალნენ. გასაგებია – მათ სათითაოდ ვერ მიაცილებდნენ სახლებში, თითოს 6 კაცი რომ გაჰყოლოდა, ზურიკელასი არ იყოს, ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩებოდა!

ლგბტ თემის თავგამოდებულ დამცველს, პრეზიდენტობისთვის მებრძოლ **ჰილარი კლინტონს მოქმედმა პრეზიდენტმა ბარაკ ჰუსეინ ობამამ დაუჭირა მხარი. ორიოდე დღეში კი გაირკვა, რომ იმავე ჰილარის კუ-კლუქს-კლანის კალიფორნიის განყოფილების ხელმძღვანელმა (დიდმა დრაკონმა) უილ კუიგმა დაუჭირა მხარი. ასე და ამგვარად, ჰილარი კლინტონი ერთადერთი კანდიდატია, რომელსაც ერთდროულად ზანგი და კუ-კლუქს-კლანელი უჭერენ მხარს.**




**საკუთარ თავს ვკითხოთ: ვის იმედად ვართ — იმათი, ვინც დათვის დანახვაზე იარაღს ყრის და გარბის? ვინც რუსული ბომბდამშენის გადაფრენის შემდეგ ნატოს ჯარიდან წასვლის პატაკს წერს? თუ ვინც გეების უფლებებზე ლაპარაკით თავი გადაგვჭამა და საკუთარ ქვეყანაში მათ სიცოცხლეს ვერ იცავს?**

ყველას თავისი კუ-კლუქს-კლანი ჰყავს და მიხეილ სააკაშვილის „ხატების“ ეკლესიის გალავანში დამბრძანებელი **მეუფე გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)** საქართველოს სინოდის გადაწყვეტილებას მსოფლიო კრებაში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ ასე გამოეხმაურა: „თუ საქართველოს ეკლესია უარს იტყვის ამ შეკრებაში მონაწილეობაზე, ასეთ შემთხვევაში რა შედეგს ველით? კრება ჩაიშლება და თავს დავაღწევთ უხერხულ მდგომარეობას? — მე ასე არ მგონია; კრებაზე არ წასვლით კი ჩვენ გავაძლიერებთ საზოგადოებაში ისედაც არსებულ ეჭვებს, რომ საქართველოს ეკლესია რუსეთის ეკლესიის ორბიტაზე რჩება და ამას, ჩვენი ქვეყნისთვის, ეკლესიისთვის, სავარაუდოდ, ექნება შესაბამისი შედეგებიც, რაც არ იქნება კარგი...

დიდ და წმიდა კრებაზე საქართველოს წარმომადგენელმა უნდა ისაუბროს აუცილებლად ქართულ ენაზე; სამწუხაროდ, ჩვენ დღემდე აღგვიქვამენ, როგორც რუსული სააზროვნო სივრცის წარმომადგენლებს და, შესაბამისად, როგორც რუსეთის ეკლესიის სატელიტს. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა ჩვენი ეკლესიისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს“.

**ქართულ ენაზე ლაპარაკი (და ქართული საქმის კეთება) მეუფე გრიგოლს საკუთარი კერპისთვის — მიხეილ სააკაშვილისთვის არასოდეს შეუხსენებია, მაგრამ რას იზამ, კოაბიტაცია არა მარტო საერო ხელისუფლებაში, არამედ ეკლესიაშიც დამკვიდრდა და მის შედეგებს ხშირად ვიწვნევთ ხოლმე.**

მეუფე გრიგოლის აზრს, როგორც მოსალოდნელი იყო, თავდაცვის ყოფილი მინისტრის თანამეცხედრე, **ნათია ფანჯიკიძე,** იზიარებს:

„იმედია, ჩვენი ეკლესია გამოიჩენს სიმტკიცეს და ქვეყნის ბედის უკუღმა გადაწყვეტაში ერთ დიდ ლურსმანს არ ჩააჭედებს. ერთმორწმუნე თუ ვინმეა, ბერძნები, გარდა იმისა, რომ მართლმადიდებლობის ცენტრია. ხასიათით, ტემპერამენტით, გარეგნობითაც კი ვგავართ, უძველესი დროიდან გვაქვს კულტურული კავშირები და დღესაც უამრავი, ათობით ათასი ქართველი ყავთ შეფარებული. იმედი მაქვს, რომ ჩვენს სისხლში გასვრილი, ქართული ტაძრებისა და ფრესკების გამანადგურებელი რუსების სასარგებლოდ, რომლებიც დღესაც ეკლესიას პოლიტიკური ძალადობისთვის იყენებენ, არ გადაწყდება წასვლა-არ წასვლა. მით უმეტეს, რომ ესწრება მთელი მართლმადიდებელი სამყარო, სავარაუდოდ, რუსების ჩათვლით. იზოლაციაში მხოლოდ ჩვენ მოვექცევით“.

**ქალბატონი ნათია ნეტარია — მას კონსტანტინოპოლი საბერძნეთში ჰგონია, საბერძნეთი კი „მართლმადიდებლობის ცენტრი“! ხასიათსა და ტემპერამენტზე რომ იყოს რწმენა დაფუძნებული, ბევრ სხვა ნათესავსაც ვიპოვიდით, ხოლო „ათობით ათასი ქართველის შემფარებელი“ საბერძნეთის ხსენებისას მილიონი ქართველის შემფარებელი რუსეთის ლანძღვა ვერაფერი პატრიოტიზმი უნდა იყოს. ისტორიის არცოდნას რა ვუთხარი, თორემ ბერძნებს რუსებზე მეტი ზიანი მიუყენებიათ ქართული მართლმადიდებლობისთვის!**

„იზოლაციაში“ კი, სავარაუდოდ, ბულგარეთის (ცნობისთვის, ეს ქვეყანა ნატოს წევრიცაა და ევროკავშირისაც), სერბეთისა და ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიებთან ერთად მოვექცევით და არა მარტო ჩვენ, როგორც ეს ნათია ფანჯიკიძეს ჰგონია. და საერთოდაც, თუ მსოფლიო კრებას „ესწრება მთელი მართლმადიდებელი სამყარო, სავარაუდოდ, რუსების ჩათვლით“, მაშინ რუსეთთან ერთად წასვლა არ იქნება ამ საკითხის მის სასარგებლოდ გადაწყვეტა? ამასობაში რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მსოფლიო კრების გადადებას დაუჭირა მხარი, როგორც ამას სერბეთის ეკლესია ითხოვდა. ამჯერადაც უჩვენოდ გვეშველა, მგონი...

ერთდროულად რუსეთის ლანძღვა და მისი პანიკური შიში ბოლო ხანს აშკარად დასჩემდათ მათ, ვისაც ქალბატონი ნათია, მისი მეუღლე და სხვა პროდასავლური ძალები ეთაყვანებიან. მაგალითად, ამ დღეებში **ფინეთში მიმდინარე ნატოს მასშტაბური წვრთნებისას ტყიდან უზარმაზარი დათვი გამოვიდა და გასროლის გარეშე უკუაქცია სამი ათასი სამხედრო. დათვი რომ რუსეთის სინონიმია, ნუ ვიკამათებთ, ამას ნატოელი სამხედროების სწრაფი უკან დახევაც მოწმობს.**

დათვმა წყნარად მიირთვა მათი სადილი და სამხედრო ამუნიციაც საგულდაგულოდ გაჩხრიკა. ამ წვრთნებში ნატოს 18 წევრი სახელმწიფოს 50 სამხედრო ხომალდი, 60 თვითმფრინავი, ვერტმფრენი და უპილოტო საფრენი აპარატი, მრავალათასიანი ცოცხალი ძალა მონაწილეობდა. სამიოდე თვის წინათ ნატოს მფრინავმა რუსული ბომბდამშენის დანახვაზე სერიოზული სტრესი მიიღო და ახლა, ტყიდან გამოსულ დათვში რუსეთს რომ ხედავენ, გასაკვირი აღარ არის.

„რუსი მოდის!“ — მტრის შემოსევით გათანგული ჩვენი წინაპარი ასე აშინებდა მომხდურს. ახლა ეს უფრო საკუთარი შიშის გამოხატულებად იქცა. მაგალითად, მარსელში, სადაც თავგასულმა ინგლისელებმა, როგორც სჩვევიათ, ადგილობრივებს დასცხეს და, ფიზიკურ შეხლა-შემოხლასთან ერთად, ძეგლებს ზედ აშარდავდნენ, რამდენიმე ათეული რუსი გულშემატკივარი სამასად მოეჩვენათ. ინგლისელი ფანატები, რომლებსაც ფრანგულმა სპეცდანიშნულების რაზმმა ვერაფერი დააკლო, გაილახნენ, 35 მათგანი დაშავდა.

რუსები რამენაირად გადაიხდიან ჯარიმას, გულის მოფხანა უღირთ, მაგრამ **ჩვენ საკუთარ თავს ვკითხოთ: ვის იმედად ვართ — იმათი, ვინც დათვის დანახვაზე იარაღს ყრის და გარბის? ვინც რუსული ბომბდამშენის გადაფრენის შემდეგ ნატოს ჯარიდან წასვლის პატაკს წერს? თუ ვინც გეების უფლებებზე ლაპარაკით თავი გადაგვჭამა და საკუთარ ქვეყანაში მათ სიცოცხლეს ვერ იცავს?**

ყველაზე ბრძენი მაინც ის სპორტული კომენტატორი აღმოჩნდა, რომელმაც ფეხბურთის მატჩის დაწყებამდე რუსეთის ჰიმნის აჟღერებისას ქართველ მაყურებელს ურჩია, ტელევიზორს ხმა ჩაუწიეთო.

**ფანჯიკიძის ქმარო და უსუფაშვილის ცოლო, ტელევიზორს ხმა ჩაუწიეთ, თვალები დახუჭეთ, ყურებზე ხელი აიფარეთ და დაელოდეთ, როდის შეებმება ნატო თქვენ მაგივრად რუსებს!**

**თამარ დავითულიანი**

## ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები გამოდიოდნენ და საფლავებზე შარდავდნენ. იყო გინება და უცენზურო სიტყვების კორიანტელი.“



### მამა გიორგი (რაზმაძე):

# თქვენი გაზეთის მეშვეობით შევეკითხები იმ ელჩებს, რომლებიც «როკფესტივალზე» იმყოფებოდნენ: 12-13 წლის ბავშვები ალკოჰოლსა და ნარკოტიკს რომ იღებდნენ ამ ე.წ. დისკოთეკაზე, არის თუ არა ეს დანაშაული?!

**რამდენიმე დღის წინათ სოფელ ავჭალაში პანტანასას დედათა მონასტერთან ახლოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ „მომღერლებს“, ადგილობრივ „ნეოლიბერალ“ სექტანტებთან ერთად, „როკფესტივალი“ უნდა გაემართათ და ორგია მოეწყოთ, მაგრამ სასულიერო პირებისა და მრევლის ჩარევით „ღონისძიების“ ორგანიზატორებს ჩანაფიქრი ჩაეშალათ. როკორგია დაწყებიდან რამდენიმე წუთში დასრულდა — ღრეობაზე, ტინგიცსა და მტლაშამტლუშზე ამძუვნებულ „ლიბერასტებს“ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. რა მოხდა რეალურად 5 ივნისს სოფელ ავჭალაში და რა ფესტივალი უნდა გამართულიყო სინამდვილეში? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, 5 ივნისს ზაჰესთან მომხდარმა ინცინდენტმა საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. საინფორმაციო საშუალებებმა ფაქტი სხვადასხვა ინტერპრეტაციით გააშუქეს. რა მოხდა რეალურად, რა ღონისძიება უნდა გამართულიყო?**

— ეს ე.წ. ღონისძიება ტარდებოდა მონასტერსა და სასაფლაოს შორის მდებარე ტერიტორიაზე — ზაჰესის ტერმინალზე. სხვათა შორის, ეს ტერმინალი ეკუთვნის **„ნაციონალური მოძრაობის“ წევრ გია უდესიანს** და ამჟამად მას მართავს მისი ცოლის ბიძა, სვანი კაცი, რომლის სახელი და გვარი არ მახსოვს. ეს ისე, ცნობისთვის. მეორე საინტერესო ფაქტი არის ის, რომ **მერიამ ასეთი „ღონისძიების“ ჩატარების ნებართვა გასცა იქ, სადაც არის ეკლესიის გალავანი და გალავნის იქით — სასაფლაო. რა ჰქვია ამას? მოკლედ, ამათი კოაბიტაცია არ დამთავრდა, ვგულისხმობ „ნაციონალებსა“ და „ქოცებს“. ყველაფერს აკეთებენ შეხმატკბილებულად და „დემოკრატიული დასავლეთიც“ ყველაფერზე მწვანეს უნთებს...**

**— როგორც ვიცი, „ფესტივალს“ სხვადასხვა საელჩოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.**

— არა მხოლოდ ესწრებოდნენ, **„ღონისძიებას“ სამი ქვეყნის საელჩო აფინანსებდა — ისრაელის, ჩეხეთისა და გერმანიის.**

რაც შეეხება „დარბევას“, მოგეხსენებათ, **გაავრცელეს ინფორმაცია, რომ თურმე ჩვენ მივედით აგრესიულად და კატეგორიულად მოვითხოვეთ „კონცერტის“ შეწყვეტა. ეს სრული სიცრუეა და მიზანმიმართული პროპაგანდის ნაწილი.** სინამდვილეში პოლიცია მე გამოვიძახე, რადგან, **რაც იქ ხდებოდა, იყო აუტანელი და შეურაცხმყოფელი. მთვრალი, ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები გამოდიოდნენ და საფლავებზე შარდავდნენ. იყო გინება და უცენზურო სიტყვების კორიანტელი.**

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ სასულიერო პირებსა და „როკფესტივალის“ ორგანიზატორებს შორის სიტყვიერი დაპირისპირებაც მოხდა.**

— დაპირისპირება არ ყოფილა და პოლიცია სწორედ იმიტომ გამოვიძახე, რომ სიტუაცია არ გამწვავებულიყო. ასევე ვთხოვეთ, რომ ცოტა ხმამადაბლა დაეკრათ, რადგან მონასტერში მყოფთ ლოცვაში ხელი ეშლებოდათ. მერე შუქი ჩაქრა და „კონცერტიც“ დამთავრდა...

**— ზოგმა ამასაც კუდი გამოაბა, სპეციალურად ჩაგვიქრესო.**

— ჰო, თურმე, პუტინისთვის დაგვირეკავს ჩვენ, სასულიერო პირებს და თხოვნით მიგვიმართავს, რომ დივერსიული ჯგუფი გამოეგზავნა. შემდეგ ჩამოსულა ეს დივერსიული ჯგუფი და ელექტროგადამცემი ხაზი გადაუჭრია. ამას, რა თქმა უნდა, ხუმრობით ვამბობ, სინამდვილეში ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გითხარით, მე გამოვიძახე პოლიცია, რათა ინცინდენტი არ მომხდარიყო და „კონცერტის“ ორგანიზატორებს ვთხოვეთ, ცოტა ხმადაბლა დაეკრათ, რათა მონასტერში ხელი არ შეშლოდათ ლოცვაში. შუქი რატომ ჩაქრა და რა მიზეზით, არ ვიცი. ჩვენ რა კავშირი გვაქვს ელექტროენერგიის ჩართვა-გამოთვასთან?!

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და **თქვენი გაზეთის მეშვეობით შევეკითხები იმ ელჩებს, რომლებიც „როკფესტივალზე“ იმყოფებოდნენ: 12-13 წლის ბავშვები ალკოჰოლსა და ნარკოტიკს რომ იღებდნენ ამ ე.წ. დისკოთეკაზე, არის თუ არა ეს დანაშაული?!**

**— ეს ხდებოდა იქ?**

**— ჩემი თვალით ვნახე, რაც ხდებოდა. ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები ძირს ეყარნენ და წყალს ასხამდნენ მოსასულიერებლად. ეს არ იყო არავითარი კონცერტი და კულტურული ღონისძიება, ეს იყო უზნეობისა და ამორალურობის ზეიმი.**

რაც შეეხება ისევ იმ აბსურდს, რომ თურმე ჩვენ აგრესიულად მივედით: სულ ორი ადამიანი ვიყავით — მე და ერთი დედაო. წარმოიდგინეთ, ძალიანაც რომ გვდომებოდა, ორი ადამიანი იმდენ ხალხს როგორ დავარბევდით?! ან აგრესიულები რომ ვყოფილიყავით, იქ უამრავი კამერა და ჟურნალისტი იყო და მათ რამე გამოეპარებოდათ?

**— ელჩები და საელჩოები ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, რა ინტერესი შეიძლება მათ ჰქონდეთ, როცა მსგავს „ღონისძიებებს“ აფინანსებენ?**

— რა ინტერესი აქვთ ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს? რა ინტერესი აქვთ სოდომიის დამცველებსა და აპოლოგეტებს? მარტივია ყველაფერი — რითაც ჩვენ და ჩვენნაირი ტრადიციული ერები ახდენენ თავიანთი ეროვნული თვითმყოფადობის იდენტიფიცირებას, უნდა დაკნინდეს და დროთა განმავლობაში წაიშალოს ყველაფერი, რაც ჩვენ განგვასხვავებს სხვა ერებისგან.

**— თქვენი აზრით, როკკონცერტი ამის ნაწილია?**

— კიდევ ვიმეორებ, ეს არ იყო კონცერტი, საზოგადოდ, ასეთი ღონისძიებები რას ემსახურება, ჩვენ ვიცით.

**— დააკონკრეტეთ.**

— მსგავსი ღონისძიებების მთავარი იდეა არის ის, რომ ადამიანებმა თავი იგრძნონ სრულიად თავისუფლად — გათავისუფლდნენ ზნეობის ჩარჩოებისგან და მოიქცნენ ისე, როგორც მათ სურთ. ვიღაც ნარკოტიკს იღებს და მერე საკუთარ ქცევას ვეღარ აკონტროლებს, ვიღაც ტანზე იხდის და ნახევრად შიშველი დადის, ვიღაც სხვა ამორალურობას ეწევა... ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, იქ ყველაფერი შეიძლება, ყველაფრის უფლება გაქვს და არაფერი ითვლება სირცხვილად. აკი გითხარით, საფლავებზე შარდავდნენ-მეთქი...

**— მერიის წარმომადგენლებთან თუ გქონდათ საუბარი ამ ინციდენტის შემდეგ და თუ ჰკითხეთ, რატომ გასცეს იმ ადგილას მსგავსი „ღონისძიების“ ჩატარების ნებართვა?**

— **მერია ჩვენს უფლებას და ინტერესებს არაფრად აგდებს.** საპატრიარქომ გააკეთა განცხადება და მოუწოდა მათ, რომ ასეთი ღონისძიებები მომავალში აღარ ჩატარდეს ეკლესიის სიახლოვეს. ალბათ, გასცემენ ამ განცხადებას პასუხს.

**— თქვით, რომ 12-13 წლის ბავშვები ალკოჰოლს იღებდნენ, პოლიციას არ ჰქონდა ამაზე რეაგირება?**

— პოლიციელებს ერთი პასუხი ჰქონდათ: დახურულ სივრცეში აქვთ დალევის უფლებაო. ვუთხარი, რას ამბობთ, როგორ შეიძლება მცირეწლოვანს ალკოჰოლი ან თამბაქო მიჰყიდონ, ნარკოტიკზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიამეთქი?! ერთუჯრედიანის დონეზე იყვნენ, იდგნენ და მშვიდად, წყნარად უყურებდნენ ამ ყველაფერს. გასაგებია, რატომაც...

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ამ უმსგავსობას მწვანე შუქი ჰქონდა ანთებული „ცისფერი კომისრებისგან“. **„ცისფერ კომისრებს“ ვეძახი იმ დასავლელ და, უწინარესად, ამერიკელ მაღალჩინოსნებს, რომლებიც ფინანსურად და განცხადებებითაც მხარს უჭერენ ყველანაირ გარყვნილებას, იქნება ეს ე.წ. ლგბტ- თემის დაცვა თუ ეკლესიის დისკრედიტება და შეურაცხყოფა.**

**— ინცინდენტის შემდეგ სოციალურ ქსელებში პირადად თქვენ მიმართ გავრცელდა გარკვეული ბრალდებები. ზოგი წერდა, რომ პანტანასას დედათა მონასტერში ცხოვრობთ და, ფაქტობრივად, სახლად გაქვთ იქაურობა გადაქცეული. რას უპასუხებთ მათ?**

— ხო, თურმე იქ ვცხოვრობ და განცხრომაში ვარ, ახლა დიდი აუზი უნდა გავაკეთო და დავპატიჟებ მერე „ლიბერასტებს...“ სხვა რა უნდა ვთქვა, სერიოზულად როგორ ვისაუბრო ამაზე...

**— იყო ბრალდებები, სამღვდელოებას სურს, ქვეყანაში თეოკრატია იყოს, რომ სახელმწიფოს მართავდეს არა საერო, არამედ სასულიერო პირი და ა.შ.**

— ეს ბრალდებები ხომ სულ გვესმის, სხვა არაფერი აქვთ სათქმელი და რა ქნან. გასაგებია, ნერვები ეშლებათ ჩვენი არსებობით და, რომ შეეძლოთ, ერთ დღეში გაგვანადგურებდნენ, მაგრამ ვინ განადგურდება და ვის გააქრობს უფალი, ნახავენ.

რაც შეხება ბრალდებებს თეოკრატიასა და პოლიტიკაში ჩარევაზე, სამღვდელოება არ არის საზოგადოებისგან იზოლირებული, ჩვენ ამ საზოგადოების წევრები ვართ და ის, რაც აზარალებს ხალხს, ბუნებრივია, გვეხება ჩვენც. თუ ვიღაცას მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში ხმის ამოღების უფლება არ გვაქვს, ასე ეგონოს, მაგრამ, სანამ პირში სული გვიდგას, ვერავინ და ვერაფერი გაგვაჩუმებს.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო მერიას: **ეს ნარმანია, საერთოდ, მოწყვეტილი რომ არის რეალობას და სადღაც უცხო პლანეტაზე დაფრინავს, გონს მოეგოს, ცოტა აზრზე მოვიდეს და, სანამ რამის ნებართვას გასცემს, დაფიქრდეს, რას აწერს ხელს. პირდაპირ ვამბობ, ის ე.წ. ფესტივალი იყო პროვოკაცია და თავი დაანებონ ასეთ პროვოკაციებს.**

**— რას ისახავდა მიზნად ეს პროვოკაცია?**

— ცხადია, ეკლესიის დისკრედიტებას, ანუ **ვიღაც ფიქრობდა, რომ მივცვივდებოდით აგრესიულად და ფიზიკურად გავუსწორდებოდით „ფესტივალზე“ მყოფ ადამიანებს; მერე ამას გადაიღებდნენ, დაამონტაჟებდნენ ისე, როგორც მათ აძლევდათ ხელს, და წავიდოდა პროპაგანდა: ეკლესია ძალადობს, სამღვდელოება კონცერტზე მისულ ხალხს ფიზიკურად გაუსწორდა და ა.შ.,** როგორც აკეთებენ ხოლმე. ასე აპირებენ ისინი ხალხში უფლისადმი რწმენის ჩაკვლას, თუმცა უნდა იცოდნენ ერთი რამ: ჩვენ, **სასულიერო პირები, ჩვენს ეკლესიას, სიწმინდეებსა და სარწმუნოებას სისხლის ბოლო წვეთამდე დავიცავთ.** მათ კი, ვისაც ამ ყველაფერს როკკონცერტები და რაღაც სატანური ფესტივალები ურჩევნიათ, შეუძლიათ წავიდნენ და ეს ღონისძიებები სადმე სხვაგან, ჩვენგან შორს ჩაატარონ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«მსგავსი ღონისძიებების მთავარი იდეა არის ის, რომ ადამიანებმა თავი იგრძნონ სრულიად თავისუფლად — გათავისუფლდნენ ზნეობის ჩარჩოებისგან და მოიქცნენ ისე, როგორც მათ სურთ. ვიღაც ნარკოტიკს იღებს და მერე საკუთარ ქცევას ვეღარ აკონტროლებს, ვიღაც ტანზე იხდის და ნახევრად შიშველი დადის, ვიღაც სხვა ამორალურობას ეწევა... ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, იქ ყველაფერი შეიძლება, ყველაფრის უფლება გაქვს და არაფერი ითვლება სირცხვილად»**

„ბართლომე თავის თავს სხვებზე მაღლა აყენებს და არღვევს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს — გადაწყვეტილების მიღების კრებითობას. ეს არის პაპიზმი, ანუ ძალაუფლების უზურპაცია და ასეთ პირობებში, ცხადია, არანაირი აზრი არ აქვს შეკრებაში მონაწილეობას...“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ავთანდილ უნგიაძე:

# უნდა დაისვას საკითხი, რომ ბართლომე არ არის მსოფლიო პატრიარქი



## «ეს არის ეკლესიის ნგრევის პროვოცირების პროცესი»

**საქართველოს ეკლესიის დელეგაცია 16-26 ივნისს კუნძულ კრეტაზე დაგეგმილ საერთო მართლმადიდებლურ შეკრებაზე არ მიდის. შესაბამისი განჩინება წმინდა სინოდმა რამდენიმე დღის წინათ მიიღო. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მედიაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა და, როგორც ხდება ხოლმე, ჭორ-მართალი ერთმანეთში აირია. თუ რა გახდა კონკრეტულად ამ გადაწყვეტილების მიზეზი და რა არის ის საკითხები, რის გამოც სინოდმა შეკრებაში მონაწილეობაზე უარი თქვა, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის თავმჯდომარე ავთანდილ უნგიაძე.**



**— ბატონო ავთანდილ, რატომ არ მიდის საქართველოს ეკლესიის დელეგაცია საერთო მართლმადიდებლურ შეკრებაზე კუნძულ კრეტაზე?**

— მთავარი მიზეზი არის ის საკითხები, რომელთა განხილვასაც ეს კრება აპირებს და რომლებიც მოიცავს დოგმატურ ცდომილებებს, რომ არაფერი ვთქვათ კანონიკურზე. საქართველოს ეკლესიას მიაჩნია, რომ ეს საკითხები შემოიტანს შფოთსა და განხეთქილებას მართლმადიდებლურ სამყაროში, ამასთანავე, კრების რეგლამენტი არ იძლევა არსებითი განხილვისა და ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას დოკუმენტებში, ამიტომ უარს ამბობს ამ შეკრებაში მონაწილეობაზე.

**— კონკრეტულად რა საკითხებზეა საუბარი?**

— **პირველი** — ეს არის დოკუმენტი „ქორწინების საიდუმლო და მისი დამაბრკოლებელი მიზეზები“. მასში საუბარია იმაზე, რომ შესაძლებელია, მოხდეს მართლმადიდებლების ქორწინება სხვა კონფესიის წარმომადგენლებზე, ანუ რეალურად ლაპარაკია იმ საეკლესიო საიდუმლოს აღსრულებაზე მართლმადიდებელსა და არამართლმადიდებელს შორის, რომელსაც ჰქვია ქორწინება და ეს პირდაპირ უკავშირდება დოგმატური ხასიათის ცდომილებას. მკაფიოდ არ არის აღნიშნული, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებები და სხვა სახის ურთიერთობები მიუღებელია ეკლესიისთვის.

**მეორე** ეხება მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულებას სხვა კონფესიებთან, იმავე კათოლიკებთან, პროტესტანტებთან და ა.შ. და ამ საკითხის მიღებით, ფაქტობრივად, ხდება ეკუმენიზმის დაკანონება, ანუ ჭეშმარიტი სწავლების, მართლმადიდებლობის უარყოფა.

**მესამე** დოკუმენტი ეხება მართლმადიდებელი ეკლესიის მისიას თანამედროვე მსოფლიოში, რომელშიც საუბარია დისკრიმინაციაზე, ხოლო ირიბად სექსუალურ უმცირესობებთან დამოკიდებულებაზე, ანუ მასში გატარებულია ის აზრი, რომელიც ჩვენს ე.წ. ანტიდისკრიმინაციულ კანონშია, და ირიბად ხდება იმ ცოდვის მიმართ ლიბერალური დამოკიდებულების გამოვლენა, რომელ ცოდვაშიც, ვთქვათ, „სექსუალური უმცირესობების“ წარმომადგენლები არიან.

აი, ეს არის, ძირითადად, ის საკითხები, რომლებიც კრების დღის წესრიგში დააყენა **ე.წ. მსოფლიო პატრიარქმა ბართლომემ** და რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მიუღებელია.

**— რას ისახავს მიზნად ეს პროცესი, რის მიღწევა უნდათ ამ საკითხების განხილვით?**

— **კრების მიზანია ქრისტეს ეკლესიის სულის მორგება თანამედროვეობის დემონიზებულ სულთან სიახლეების შემოტანის გზით. ეს აუცილებლად გამოიწვევს დიდ განხეთქილებას და ეკლესიის დასუსტებას, ანუ ეს არის ეკლესიის ნგრევის პროცესის პროვოცირების მცდელობა...** სხვათა შორის, არის კიდევ ერთი გარემოება, რომლის გამოც საქართველოს ეკლესია უარს ამბობს შეკრებაში მონაწილეობაზე და ეს გარემოება არ არის აღნიშნული სინოდის განჩინებაში. საუბარია თვით კრების რეგლამენტზე, ანუ ეს რეგლამენტი ისეა შედგენილი, რომ მასში რაიმე ცვლილების შეტანა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მეტიც, ამ რეგლამენტით ბართლომე, ფაქტობრივად, გამოდის ძალაუფლების უზურპატორი და ყველა გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად.

**— იღებს თუ ცდილობს, მიიღოს?**

— წაგიკითხავთ მის ციტატას და თვითონ განსაჯეთ, მიზანშეწონილია თუ არა ამ შეკრებაზე წასვლა: **„თუკი ერთი ან რამდენიმე ეკლესია უარს იტყვის შეკრებაში მონაწილეობაზე ან კენჭისყრაში მონაწილეობაზე, მაინც ყველა გადაწყვეტილებას ექნება ძალა და იგი სავალდებულო იქნება ყველა ადგილობრივი ეკლესიისთვის“. აი, ასე უპასუხა ბართლომემ (მე მიჭირს მისი პატრიარქად მოხსენიება) სერბეთის ეკლესიას, რომელიც გამოვიდა ინიციატივით, რომ კრეტაზე დაგეგმილი შეკრება გადადებულიყო.** ჩემი აზრით, ეს პასუხი არის წარმოუდგენელი თავხედობა და მოგახსენებთ, რატომ:

პირველი. **ბართლომე რომც იყოს მსოფლიოს პატრიარქი (ცალკე საკითხია, არის თუ არა რეალურად და აქვს თუ არა უფლება, ასე იწოდებოდეს), ის არის უპირატესი თანასწორთა შორის, არც მეტი და არც ნაკლები, ანუ ყველა პატრიარქი თანასწორია და თანაბრად მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში, ბართლომე კი თავის თავს სხვებზე მაღლა აყენებს და არღვევს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს — გადაწყვეტილების მიღების კრებითობას.** ეს არის პაპიზმი, ანუ ძალაუფლების უზურპაცია და ასეთ პირობებში, ცხადია, არანაირი აზრი არ აქვს შეკრებაში მონაწილეობას...

**— მსოფლიო პატრიარქი ბართლომე ე.წ. პატრიარქად მოიხსენიეთ. თქვენი აზრით, არ ეკუთვნის მას რეალურად ეს სტატუსი?**

— საერთოდ, მსოფლიო პატრიარქობას განსაზღვრავდა ის, რომ კონსტანტინოპოლი იყო მართლმადიდებლობის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი. დღეს რა გვაქვს, **ვინაა კონსტანტინოპოლის პატრიარქი? ის არის ერთი ქუჩის მიტროპოლიტი. რომელ იმპერიაზე ან პოლიტიკურ ცენტრზეა საუბარი! კონსტანტინოპოლი სტამბულია დღეს; ან რომელ რელიგიურ ცენტრზეა ლაპარაკი, როცა სტამბულის ქუჩაში საეკლესიო სამოსით ველარ გამოდიან. მხოლოდ ბართლომეს აქვს ამის უფლება, დანარჩენები, მიტროპოლიტები რომ ჰქვიათ, კოსტიუმში გამოწყობილები გამოდიან...** ვფიქრობ, ადრე თუ გვიან, უნდა დაისვას ეს საკითხი და უნდა ითქვას, რომ ბართლომე არ არის მსოფლიო პატრიარქი.

**— რაც შეეხება იმ სასულიერო პირებს, რომლებმაც განაცხადეს, შეკრებაზე წაუსვლელობა არის შეცდომა და იგი გააღრმავებს ეჭვს საქართველოს ეკლესიაზე რუსეთის გავლენის შესახებო, ვინ არიან ეს სასულიერო პირები და რატომ გაკეთდა ასეთი განცხადება?**

— ეს სასულიერო პირები ვისგან იმართებიან, ჩვენთვის, დიდი ხანია, ცნობილია.

**— ვისგან?**

— ვინ ლაპარაკობს ხშირად რუსეთუმეობაზე? ვინ იშვერს თითს ეკლესიისკენ და ვინ ამბობს, კრემლიდან იმართებიანო? — ნაციონალები და მათი ადეპტები. აი, ამ ძალისგან

> «არსებობს წინაპირობები, მომავალი კრება ავაზაკთა კრებად შეირაცხოს. ამის ნიშანია თუნდაც ის, რომ კრების უსაფრთხოება უნდა დაიცვას ამერიკის სპეცსამსახურებმა. ეს არის სასაცილო და შეურაცხმყოფელი, — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა დაგვიცვას ტერორიზმისგან, იმ ტერორიზმისგან, რომელიც თვითონ შექმნა»

არის მართული ის სასულიერო პირიც, რომელსაც, მგონი, დღესაც უკიდია სააკაშვილის ფოტოპორტრეტი თავის ოთახში, საპატრიარქოში. ისინი კარგა ხანია, მხილებულნი არიან...

**— არსებობს მათ წინააღმდეგ სამხილები?**

— არსებობს, მათ შორის — კრიმინალშიც, უზნეობაშიც...

**— მაშინ რატომ არ ამხელენ მათ?**

— საჯარო მხილებას ვერიდებით, ახლაც სახელს არ ვასახელებ. ეკლესიის შიგნით, მის წიაღში კი არაერთხელ ვამხილეთ ისინი, შესაბამის წერილებსაც ვწერთ ხოლმე, როგორც პატრიარქს, ისე სინოდს, მაგრამ უწმინდესის დიდი კაცთმოყვარეობის გამო ისინი კვლავ რჩებიან ეკლესიაში. თუმცა ვფიქრობ, სინოდის განჩინება საერთო მართლმადიდებლურ კრებაზე წაუსვლელობის შესახებ, ერთგვარი ლუსტრაციაა — ვინ იცავს ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ სწავლებას და ვინ მოქმედებს პოლიტიკური მიზნებით.

**— ამ დღეებში სოციალურ ქსელებში თქვენ მიმართაც გაისმა ბრალდებები. ითქვა, რომ სინოდზე მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა მოახდინა გავლენა.**

— შეიძლება ვილაცას მოეჩვენოს, რომ ჩვენთვის ეს კომპლიმენტია, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. არავითარი საფუძველი ამ ბრალდებას არ აქვს და ეს არის მცდელობა, ჩვენ და საპატრიარქო დაგვაპირისპირონ. კიდევ ვიმეორებ: ჩვენი მოსაზრებები ეფუძნება ეკლესიის სწავლებებს, რომლებიც დაცულია წმინდა წერილში, მსოფლიო კრებებსა და წმინდა მამათა სწავლებებში და ამას დაეყრდნო ჩვენი სინოდიც, ამიტომაც არის ამ საკითხში აზრთა თანხვედრა და არა რაიმე ზეგავლენის გამო. **რაც შეეხება განჩინებას, ის არის აბსოლუტურად გონივრული და სწორი, ვინაიდან არსებობს წინაპირობები, მომავალი კრება ავაზაკთა კრებად შეირაცხოს. ამის ნიშანია თუნდაც ის, რომ კრების უსაფრთხოება უნდა დაიცვას ამერიკის სპეცსამსახურებმა. ეს არის სასაცილო და შეურაცხმყოფელი — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა დაგვიცვას ტერორიზმისგან, იმ ტერორიზმსგან, რომელიც თვითონ შექმნა...**

**— დასასრულ, რადგან ამერიკა და ტერორიზმი ახსენეთ, ერთსაც გკითხავთ: რამდენიმე დღის წინათ ფლორიდის შტატში, ქალაქ ორლანდოში ე.წ. სექსუალური უმცირესობების ბარში შეიარაღებულმა პირმა 49 ადამიანი მოკლა. ეს მოხდა ქვეყანაში, რომლის პოლიტიკური ხელმძღვანელობაც მუდმივად გვამუნათებს, — „უმცირესობების“ უფლებებს ჯეროვნად ვერ იცავთო. რას იტყვით ამ ფაქტზე?**

— რა უნდა ვთქვა?! ამერიკა არის რასისტული ქვეყანა, არავითარი დემოკრატიის ნიშანი იქ არ არის და ჩვენ გვასწავლიან, როგორ უნდა ვიყოთ შემწყნარებლები. 2013 წლის 17 მაისს, 50 ათასი კაცი რომ გამოვიდა აქ ლგბტ აქციის კონტრაქციაზე და ალკვეთა გარყვნილების აღლუმი და პროპაგანდა, იმ ე.წ. უმცირესობების წარმომადგენლებს ერთი ნაკაწრი არ ჰქონიათ და თურმე აქ დემოკრატია ფეხქვეშ გათელილა (გახსოვთ, ალბათ, რა განცხადებებს აკეთებდნენ მაშინ ჩვენი ამერიკელი „პარტნიორები“), მათ ქვეყანაში კი ერთმა კაცმა, აშშ-ის საზოგადოების პირმშომ და მოქალაქემ, 50 ადამიანი რომ მოკლა, ეს თურმე „ისლამური სახელმწიფოს“ ბრალია და ისინი არაფერ შუაში არ არიან. ეს არის ორმაგი სტანდარტი. მათ უნდათ, ასე გვმართონ და გვათამაშონ მომავალშიც.

...მოკლედ, ჩვენ გახარებულები ვართ იმით, რომ ჩვენმა სინოდმა მიიღო ასეთი გონივრული, მართლმადიდებლურ სწავლებაზე დაყრდნობილი გადაწყვეტილება და თავს უფლებას მივცემ, სხვა ქვეყნებსაც, მათ შორის, რუსეთსაც, მოვუწოდო ასეთივე გადაწყვეტილების მიღებისკენ; დაფიქრდნენ, ვიდრე ნაბიჯს გადადგამენ და გადაწყვეტენ, წავლენ თუ არა ამ კრებაზე, მიიღებენ თუ არა ეკუმენისტურ „შაბაშში“ მონაწილეობას და გახდებიან თუ არა ავაზაკთა კრების თანამონაწილე...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სრულიად მართლმადიდებელთა დიდი და წმინდა კრება, რომელიც, 1000 წელიწადია, არ გამართულა, კუნძულ კრეტაზე უნდა ჩატარებულიყო ა.წ. 16-27 ივნისს, მაგრამ თეოლოგიურ საკითხებში შეუთანხმებლობის გამო კრებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს ან მისი გადადება ითხოვეს სერბეთის, ბულგარეთის, საქართველოს, ანტიოქიისა და რუსეთის ეკლესიებმა.**

# ვნებანი ყანდურისანი

**„უწინ ბაზრის ქურდი იყო. მერე ვადა მოიხადა. ყინწვისის მონასტერში ბერად აღიკვეცა, მერე ბერული ჩოხა გაიხადა, როგორღაც მღვდლად ეკურთხა და ახლა აქა წირავს“. მკითხველი უთუოდ მიხვდებოდა, რომ წერილის საწყისად გამოვიყენე მეუფე ყანდურისადმი მიძღვნილი პასაჟი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიადან“. ქვემოთ კი, მწერლის გამოგონილზე კი არა, ნამდვილ, ხორცშესხმულ ყანდურზე, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ მეუფე გრიგოლზე გვექნება საუბარი.**

მკითხველს შევახსენებ, რომ რამდენიმე წლის წინათ სწორედ მე, თქვენმა მონამორჩილმა, ვუწოდე მეუფე გრიგოლს ეს ლიტერატურული მეტსახელი, როდესაც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოვაქვეყნე კრიტიკული წერილი „მეუფე ყანდური“.

არა, ოდესღაც ჩემი თანაკლასელი ბაზრის ქურდი არ ყოფილა, მხოლოდ სხვისი ნაქურდალის რეალიზაციით იყო დაკავებული, რისთვისაც 4 წელი ახეხინეს „ნარები“ რუსეთში. სხვაფრივ კი ყველაფერი რიგზეა — ერისკაცობაში **გურამ ბერბიჭაშვილმა** პატიმრობის ვადა მოიხადა, მერე როგორღაც მღვდლად ეკურთხა და ახლა, მღვდლობას ვილა ჩივის, მიტროპოლიტად აღზევებული მეუფე გრიგოლი ფოთისა და ხობის ეპარქიაში სწირავს.

ახლა, ვითომ რაო — ერთხელ ხომ „მოვთხარე“ პრესაში და მეტი რაღა მინდა?

რა და, თუკი მაშინ იმიტომ მოვთხარე, რომ ქართველთა სისხლსა და ცრემლში მოვასვასე სააკაშვილის უზარმაზარი ბანერი ფოთის ტაძრის ეზოში ჰქონდა დაბრძანებული და მრევლს ფაშისტი მიშნაცების ერთგულებას უქადაგებდა, ახლა წინამდებარე წერილის დაწერის მიზეზი გახდა მისი მორიგი ყანდურული ვნებანი, რომელიც მან 10 ივნისს გამართულ წმინდა სინოდის სხდომაზე განაცხადა.

თუმცა ჯერ სინოდის სტენოგრამიდან ამონარიდები ვნახოთ:

*** „2016 წლის 10 ივნისს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მორიგი სხდომა.**

**წმინდა სინოდის წევრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, რომელმაც ზოგადად მიმოიხილა წმინდა და დიდი კრების ჩატარებასთან დაკავშირებული ბოლო დროს შექმნილი რთული მდგომარეობა.**

**ბულგარეთის ეკლესიამ განაცხადა უარი კრებაში მონაწილეობაზე და წარმოადგინა საკუთარი პოზიცია რიგი თემების მიმართ;**

**სერბეთის ეკლესიაც კრებაში მონაწილეობას პრობლემურად მიიჩნევს და ითხოვს მის გადადებას უკეთ მომზადების მიზნით.**

**მიუხედავად 2014 წლის წინამძღოლთა დადგენილებისა და წმინდა და დიდი კრების რეგლამენტის მე-8 მუხლის მკაფიო მოთხოვნისა, რომ კრებაზე მხოლოდ ერთხმად მიღებული თემები განიხილება, დღის წესრიგში შესულია დოკუმენტი „ქორწინების შესახებ“, რომელზეც ჩვენს დელეგაციას, დოგმატური ცდომილებების გამო, ხელი არ აქვს მოწერილი; ამ ტექსტს ხელი არ მოაწერა ანტიოქიის ეკლესიამაც.**

**ტექსტი „მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან“ იმთავითვე მიუღებელი იყო საქართველოს ეკლესიისთვის და ჩვენი დელეგაციის მხრიდან ხელი მხოლოდ მას შემდეგ მოეწერა, როცა მას დაემატა შენიშვნა „საქართველოსა და ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიები გამოვიდნენ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან, პირველი — 1997, ხოლო მეორე – 1998 წელს, რადგან მათ საკუთარი განსხვავებული აზრი გააჩნიათ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობის შესახებ, რის გამოც ისინი არ მონაწილეობენ ხსენებული საბჭოს და სხვა ქრისტიანთა შორისი ორგანიზაციების ღონისძიებებში“.**

**„ა.წ. 25 მაისს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა დაადგინა, რომ აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს დიდ ეკლესიოლოგიურ და ტერმინოლოგიურ ცდომილებებს და სერიოზულ გადამუშავებას საჭიროებს; ხოლო, თუ ამ სახის ცვლილებები არ განხორციელდება, საქართველოს ეკლესია ტექსტს ხელს ვერ მოაწერს. გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებს, ასევე, დოკუმენტი „მართლმადიდებელი ეკლესიის მისია თანამედროვე მსოფლიოში“.**

წმინდა სინოდმა ერთსულოვნად დაადგინა:

**ა) საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ამა წლის 17-26 ივნისს კუნძულ კრეტაზე დაგეგმილ წმინდა და დიდ კრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს;**

**ბ) 2016 წლის 10 ივნისის წმინდა სინოდის დადგენილება დაეგზავნოს ყველა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებს.**

მიუხედავად ამისა, აი რას აცხადებს ეს ახალი იოანე ოქროპირი, გიორგი მთაწმინდელი — მეუფე ყანდური:

**„კრებაზე არწასვლით კი ჩვენ გავაძლიერებთ საზოგადოებაში ისედაც არსებულ ეჭვებს, რომ საქართველოს ეკლესია რუსეთის ეკლესიის ორბიტაზე რჩება და ამას ჩვენი ქვეყნისთვის, ეკლესიისთვის, სავარაუდოდ, ექნება შესაბამისი შედეგებიც, რაც არ იქნება კარგი. სამწუხაროდ, ჩვენ დღემდე აღგვიქვამენ, როგორც რუსული სააზროვნო სივრცის წარმომადგენლებს და შესაბამისად – როგორც რუსეთის ეკლესიის სატელიტს. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა ჩვენი ეკლესიისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს“.**



**მინდა, მეუფე ყანდურს ვკითხო: ვის ორბიტაზე ყოფნა სჯობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის — აშშ-ის, რომელსაც მთავარ საგარეო პრიორიტეტად ურცხვად აქვს გაცხადებული მთელი ქრისტიანული სამყაროს (და არა მხოლოდ) გარყვნა-გათახსირება ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებით, თუ ერთმორწმუნე რუსეთის, რომლის ეკლესია უძლიერესი ციტადელია მართლმადიდებლობისა, ხოლო საერო ხელისუფლება კანონმდებლობით კრძალავს გეიპროპაგანდას რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე?**

სრულიად მართლმადიდებელთა დიდი და წმინდა კრება, რომელიც, 1000 წელიწადია, არ გამართულა, კუნძულ კრეტაზე უნდა ჩატარებულიყო ა.წ. 16-27 ივნისს, მაგრამ თეოლოგიურ საკითხებში შეუთანხმებლობების გამო კრებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს ან მისი გადადება ითხოვეს **სერბეთის, ბულგარეთის, საქართველოს, ანტიოქიისა** და **რუსეთის** ეკლესიებმა.

მსოფლიოს პატრიარქი **ბართლომე** (კონსტანტინოპოლის პატრიარქი), რომლის ინიციატივაც არის მსოფლიო კრების მოწვევა, კი ატარებს ამ ტიტულს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მსოფლიო პატრიარქს ემორჩილება ადმინისტრაციულად ყველა მართლმადიდებელი ეკლესია. ასე მხოლოდ რომის პაპის შემთხვევაშია, როდესაც ვატიკანს უსიტყვოდ ემორჩილება მთელი კათოლიკური სამყარო — ბართლომე კი პირველია თანასწორთა შორის, მას მოიხსენიებენ ლოცვებში პირველად და ეს არის სულ კონსტანტინოპოლის პრივილეგიები!

ხსენებული თეოლოგიურ-დოგმატურ საკითხთა გარდა, კრებაში მონაწილეობაზე უარი იმიტომაც თქვეს ქვეყნებმა, რომ ბართლომეოსი აპირებდა, კრების სხდომების უცვლელი თავმჯდომარე ყოფილიყო ისე, როგორც ამას რომის პაპი გააკეთებდა და, აქედან გამომდინარე, იმედი ჰქონდა, ადმინისტრაციულადაც დაიქვემდებარებდა მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიებს.

**კონსტანტინოპოლის ეკლესია ყველაზე პატარაა მართლმადიდებელ სამყაროში. მას მაჰმადიანურ თურქეთში პრაქტიკულად არ ჰყავს მრევლი და, ძირითადად, აშშ-ზეა ორიენტირებული, სადაც 500-მდე ეკლესია ემორჩილება.**

უფრო მეტიც, სასულიერო სემინარიის პედაგოგ **პავლე კუზენკოვის** ცნობით, „ვიკილიქსის“ ვებგვერდზე დევს ბართლომეოსისა და ერთი ამერიკელი სენატორის საუბარი, ბართლომეოსი ღიად სთხოვს დახმარებას აშშ-ს იმის სანაცვლოდ, რომ კონსტანტინოპოლი ყოველმხრივ შეეწინააღმდეგება რუსული ეკლესიის გავლენის შეუქცევად მატებას მართლმადიდებელ სამყაროში.

ჰოდა, ამერიკელებიც, ათეული წლებია, ეხმარებიან ბართლომეს მატერიალურადაც და პოლიტიკურადაც — თურქეთი პერმანენტულად აშანტაჟებს კონსტანტინოპოლის ეკლესიას და ნატოს წევრი თურქეთიდან გაძევებით ემუქრება. აშშ კი, როგორც ნატოს მმბრძანებელი, ამ შანტაჟისგან იცავს.

**სტამბოლის საპატრიარქო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფილიალია, გნებავთ — ტროას ცხენი მართლმადიდებელ სამყაროში, ხოლო მართლმადიდებელი სამყარო გლობალიზაციის, აგრესიული ნეოლიბერალიზმისთვის ჯერჯერობით დაუძლეველი წინაღობაა მსოფლიოს ლგბტ-ზაციის გზაზე და ამ წინაღობის მთავარი სუბიექტი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საერო ხელისუფლება რომ არის, არაერთხელ გვითქვამს.**

რუსეთის ეკლესიამ ამას წინათ ყველანაირი კავშირი გაწყვიტა საფრანგეთისა და შოტლანდიის პროტესტანტულ ეკლესიებთან, რადგან ტაძრებში ერთნაირსქესიანი წყვილების ჯვრისწერა დაიწყეს...

აქედან გამომდინარე, **მინდა, მეუფე ყანდურს ვკითხო: ვის ორბიტაზე ყოფნა სჯობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის — აშშ-ის, რომელსაც მთავარ საგარეო პრიორიტეტად ურცხვად აქვს გაცხადებული მთელი ქრისტიანული სამყაროს (და არა მხოლოდ) გარყვნა-გათახსირება ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებით, თუ ერთმორწმუნე რუსეთის, რომლის ეკლესია უძლიერესი ციტადელია მართლმადიდებლობისა, ხოლო საერო ხელისუფლება კანონმდებლობით კრძალავს გეიპროპაგანდას რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე?..**

სამწუხაროდ, მეუფე ყანდური ერთადერთი არ არის — ჩვენს დედაეკლესიაში ყანდურიზმი მთავარი პრობლემაა!

ყანდურებს ვუწოდებ **ჭყონდიდის მიტროპოლიტ მეუფე პეტრეს და ქუთათელ-გაენათელ მეუფე კალისტრატეს, რომლებიც „ჩემი ყანდურის“ თანამოაზრენი არიან წმინდა სინოდში და რომლებსაც, მეუფე გრიგოლის მსგავსად, მიშა სააკაშვილის „ხატები ესვენათ“ ეკლესიებში და, უფლის მაგივრად, ამ სატანას უგალობდნენ 9 წლის განმავლობაში ოსანას.**

აბა, ამ ყანდურებისა და მიშას ნაცბანდის ურთიერთობას ერქვა თუ ერქვა კოაბიტაცია, ამიტომ ეს ვაჟბატონებიც თანამონაწილენი არიან იმ საშინელებებისა, რომლებიც თავს დაგვატეხეს ამ სატანისტებმა ქართველ ერს.

ყანდურებს, შეუძლებელია, არ სცოდნოდათ ის, რაც ციხეებსა თუ სამეგრელოს ტყეებში ხდებოდა, მაგრამ დუმდნენ.

ახლა ვიცი, ისეთებიც გამოჩნდებიან, რომლებიც დამამუნათებენ — არ შეიძლება სასულიერო პირებზე ასე საუბარი, მათზე სულიწმინდის მადლია გადმოსული და ცოდვააო. ასეთებს **კონსტანტინე გამსახურდიას** სიტყვების პერიფრაზით ვუპასუხებ და ამით დავასრულებ წერილს:

მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, ისე, როგორც კაცს, როგორც მამას, შვილს და ა.შ., მაგრამ ჩემი ქვეყნისთვის არასოდეს მიღალატნია და ჯანდაბას, ამ ცოდვასაც (თუ ეს მართლა ცოდვაა) ვიტვირთებ, რომელზეც მხოლოდ „იქ“ და „იმისგან“ მომეკითხება...

**დავით მხეიძე**

**დაცინვაა, როცა სასტიკად ნაწამები და მოკლული სანდრო გირგვლიანის ოჯახს იმავე სასამართლომ 50 ათასი ევრო მიაკუთვნა. ნუთუ ამდენი ღირს ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე? მაგრამ კიდევ უფრო სასაცილოა, როცა ვანო მერაბიშვილს 12 ათას ევროს აკუთვნებენ მისი დარღვეული უფლებების გამო და ეს თანხა მის მიერ უფლებააყრილი მოქალაქეების ჯიბიდან უნდა ამოიღონ.**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროსასამართალი, ორი გვამი და «პოლიტპატიმარი» ვანო

**„ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარია“! — საზეიმოდ გვამცნო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და, რა თქმა უნდა, „რუსთავი 2“-მაც. ახალი არაფერი უთქვამთ, მაგრამ ამჯერად სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლო დაიმოწმეს. ზუსტად ისე აფრიალეს სასამართლოს პრესრელიზი, როგორც სააკაშვილი აფრიალებდა შევარდნაძის მთავრობის სხდომაზე „კორუმპირებული“ მოხელეების სასახლეთა ფოტოებს. მერე კი გაირკვა, რომ ეს სულ სხვა ფოტოები იყო, მაგრამ იმწუთას ხომ მოახდინა ეფექტი!**



ნაციონალები ცდილობენ, შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება, როცა ხელს უწყობენ ინფორმაციის გავრცელებას, თითქოს „სტრასბურგის სასამართლომ მერაბიშვილი გაამართლა“. **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ არის სააპელაციო ინსტანცია, იგი ბრალდებულის ბრალს არ ადგენს და არც განაჩენს ცვლის. ის მხოლოდ ადამიანის უფლებათა კონვენციის მუხლების დარღვევას ადასტურებს.**

რთული მისახვედრი არ არის, რა რეაქციას გამოიწვევდა ქართველ საზოგადოებაში სასამართლოს გადაწყვეტილების ამგვარი ინტერპრეტაცია. **„ორი გვამი მჭირდება“ მერაბიშვილის უფლებებს ციმციმ იცავენ, მაშინ, როცა მისი და მის მიერ შექმნილი „წარმატებული და ეფექტიანი ხელისუფლების“ წყალობით საქართველოს ათასობით მოქალაქეს უფლებები აჰყარეს, აწამეს, აბუჩად აიგდეს და „გააკულაკეს“.**

არც იმის მიხვედრა არის რთული, რომ საზოგადოებაში „ნაციონალური მოძრაობის“ „გამარჯვების“ ყოველი დაანონსება კიდევ უფრო დიდ აგრესიას იწვევს იმ ევროპის მიმართ, რომელიც იცავს ვანო მერაბიშვილს და იმ სისტემას, რომელმაც ძალმომრეობა და სისასტიკე ნორმად აქცია. განა ნაციონალებმა ეს არ იციან? შესანიშნავად იციან, მაგრამ მაინც ხელს უწყობენ, რადგან ამით კიდევ ერთხელ ამტკიცებენ მოქმედი ხელისუფლების უნიათობას და წინასაარჩევნოდ მის გამოყენებას ცდილობენ.

რა ვქნათ ახლა — ოღონდ ნაციონალებს არ გაუხარდეთ და „ოცნება“ გავამართლოთ? **რა გამართლება აქვს იმას, რომ გახმაურებულ საქმეებზე სათანადო მტკიცებულებებს ქრონიკულად ვერ წარადგენს პროკურატურა, ან იმას, რომ ტრაგიკულიდან სასაცილომდე ყოველთვის იმ ერთ საბედისწერო ნაბიჯს დგამს? ყოფილ ხელისუფლებას და დღეს არასამთავრობოებად „გადაღებილ“ მის სახეებს სწორედაც ხელს აძლევს ადამიანის უფლებათა დამცველის მანტიის მორგება, მაგრამ სააკაშვილის ბებიის 14 წლის „ჰონდას“ დაყადაღება მართლაც საზოგადოების აბუჩად აგდებაა და სხვა არაფერი.**

განა ეს ყოველივე ყბადაღებული კოაბიტაციის გამო არ ხდება? სააკაშვილის გამოზრდილი პროკურორები, მოსამართლეები, სამართალდამცავები ამას უცოდინარობით აკეთებენ? იქნებ შეგნებულად? ან იქნებ აქ კიდევ უფრო ღრმა გარიგებაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს? აკი დაგვამუნათეს, — კოაბიტაცია ხალხმა დაგვავალაო! იმ ხალხს ერთი პარტიის სახელი ჰქვია და სწორედ ეს თავსმოხვეული კოაბიტაცია დახვდება წინ საარჩევნო ურნებთან „ქართულ ოცნებას“.

**ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილებაში არსად ჩანს მერაბიშვილის „პოლიტპატიმრობა“, რომ დადასტურდა მხოლოდ ორი ხარვეზი და რომ გადაწყვეტილება გასაჩივრდება. მაგრამ არავინ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ბოკერიასა და ბაქრაძეს მიზანმიმართულად შეჰყავთ საზოგადოება შეცდომაში. კერძოდ, მათ განცხადებაში ნათქვამია: „შეგახსენებთ, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ სფეროში კონტინენტზე, მათ შორის, საქართველოსთვის, უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა“.**

შეუძლებელია არ იცოდნენ, რომ **ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო სწორედაც არ წარმოადგენს უმაღლეს ინსტანციას კონვენციას მიერთებული სახელმწიფოების სასამართლო სისტემის მიმართ, ამიტომ მას არ შეუძლია ეროვნული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გაუქმება ან გადახედვა. იგი მხოლოდ კონკრეტულ საჩივრებს განიხილავს და აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში მატერიალური და მორალური ზიანის ფინანსური კომპენსაციის დანიშვნა შეუძლია.**

დაცინვაა, როცა სასტიკად ნაწამები და მოკლული სანდრო გირგვლიანის ოჯახს იმავე სასამართლომ 50 ათასი ევრო მიაკუთვნა. ნუთუ ამდენი ღირს ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე?! მაგრამ კიდევ უფრო სასაცილოა, როცა ვანო მერაბიშვილს 12 ათას ევროს აკუთვნებენ მისი დარღვეული უფლებების გამო და ეს თანხა მის მიერ უფლებააყრილი მოქალაქეების ჯიბიდან უნდა ამოიღონ.

ერთი პოზიტივი უთუოდ ახლავს ამ გადაწყვეტილებას: „ნაცმოძრაობის“ ყოფილ მაღალჩინოსანს და დღეს მერაბიშვილის ვექილს, **ოთო კახიძეს,** სტრასბურგმა ნათლად მიანიშნა, რომ მისი საადვოკატო კვალიფიკაცია 35 ათასი ევრო არ ღირს და 4 ათასი მიაკუთვნა, თუმცა ისიც ჩვენი ჯიბიდან.

**სიცრუის მატირაჟირებელ „ნაციონალურ მოძრაობას“ კი წაუგებელი თამაში მიჰყავს: იციან, რომ ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ გაუცრუებს ხალხს ევროპის იმედს და, სახელისუფლო ბელლიდან ჩამოცილებულები, ისევ „რუსულ პროპაგანდას“ დააბრალებენ ამას. ამ საქმეში დასავლეთი მსუყე გრანტებს რომ გადაიხდის, ესეც ცნობილია და, სტრასბურგისა არ იყოს, ახლა უკვე ასე აითვისებენ ფულს.** ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო, ამაზეა ნათქვამი. ახლა მთავარია, გამწარებულმა ხალხმა ჯამ-ჭურჭელი არ დაუმტვრიოს უტიფარ პარტიას, სხვა დანარჩენს მოევლება.

**ნანა დევდარიანი**

# «სადაა, ბატონო ბიძინა, თქვენი დაპირებები?»

**38 წლის შორენა ოქროჭელიძე, პროფესიით ექთანია. 14 წელია, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ცხოვრობს. ამჟამად მუშაობს მაღაზიაში, აგრეთვე, ადამიანების დამსაქმებელთა ოფისში — დამხმარედ და ოჯახში — ძიძად. ის ერთ-ერთია ქართველ ემიგრანტთაგან, რომლებმაც შვილის გადასარჩენად დატოვეს სამშობლო.**



**— ქალბატონო შორენა, რა იყო საქართველოდან თქვენი წასვლის მიზეზი?**

— საქართველოში ცხოვრება ძალიან რთული იყო, მუხლჩაუხრელად ვმუშაობდით მე და ჩემი მეუღლე, მაგრამ საშველი არ დაგვადგა, არ გაამართლა ჩვენმა მცირე ბიზნესმა და დაგვედო ვალი, რომელსაც საქართველოში მუშაობით ვერ გადავიხდიდით. გადავწყვიტე, საბერძნეთში წამოვსულიყავი... ხანდახან ცრემლს ამოაქვს გულიდან ის შხამი, რომელმაც ადამიანი შეიძლება ჭკუიდან შეშალოს. სამშობლოში დაბრუნების თემა დღეს ჩემთვის ყველაზე მტკივნეულია. არავის ვუსურვებ ემიგრანტობას. **უზომოდ მენატრება ჩემი სამშობლო, ჩემი ერთადერთი შვილი. ვერანაირი დრო და მანძილი ვერ გამინელებს ამ სიყვარულსა და მონატრებას. ველოდები იმ დღეს, როცა ფეხს დავდგამ ქართულ მიწაზე, გულში ჩავიკრავ 14 წლის უნახავ შვილს და უსაყვარლეს ადამიანებს.** დღეს ყველაზე დიდი გმირია ემიგრანტი ქართველი ქალი, ქართველი დედა.

როცა საბერძნეთში წამოსვლა გადავწყვიტე, საყვარელ ადამიანებთან განშორების შიშმა შემიპყრო. ძალიან მიძნელდებოდა ერთი წლის შვილის დატოვება, ვუყურებდი და გული მტკიოდა. სწორედ მაშინ არ ვიყავი მასთან, როდესაც ყველაზე მეტად ვჭირდებოდი. მეც ერთი მიამიტი გოგო გახლდით, რომელიც დაადგა შორეულ გზას. საბერძნეთში დამხვდა დეიდა, რომელიც ზრუნავდა ჩემზე და ყოველდღიურ ყოფას მიადვილებდა, მაგრამ ვერაფრით ვივიწყებდი ჩემი შვილის თვალებს, ავტობუში ასვლისას როგორ მიცქერდა ერთი წლის ბავშვი, რომელიც თითქოს ხვდებოდა, რომ მისგან შორს მივდიოდი. გზაში სულ ვტიროდი, ღმერთმა დედობის ღირსი გამხადა, მე კი შვილი დავტოვე-მეთქი. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ჩემ შემთხვევაში ჯერ ვერ ამართლებს ეს ნათქვამი. **დრო, უბრალოდ, ტკივილთან ერთად ცხოვრებას გვაჩვევს...**

**— ქართველებს აღარ სურთ სამშობლოში დარჩენა და უცხო ქვეყნებში მიეშურებიან. როგორც ვიცი, საბერძნეთმა წელს ქართველი ემიგრანტების ყველაზე დიდი ნაკადი მიიღო.**

— ამჟამად საბერძნეთში უფრო მეტი ქართველი ჩამოდის, ვიდრე წინა წლებში. მიუხედავად იმისა, რომ აქ ეკონომიკურად ძალიან დაძაბული სიტუაციაა. ქართველები გვეუბნებიან, თქვენ არ იცით, საქართველოში ხალხი რა დღეშია, იქ ცხოვრება შეუძლებელია. აქ კი, ლოდინის მიუხედავად, მაინც ვიპოვით სამუშაოს და გადავრჩენთ ჩვენს ოჯახებსო. **საქართველოში ისედაც ცოტანი დარჩით და ამ დაცოტავებულ ქვეყანასაც კი ვერ უვლის ხელისუფლება. ყველა ემიგრანტს გაგვიცრუა იმედი... ან რატომ იზრუნებენ ემიგრანტების დაბრუნებაზე, ჩვენ ხომ საქართველოსთვის „ბიზნესი“ გავხდით.** ჩვენზე მხოლოდ ჩვენი ოჯახები და ახლობლები დარდობენ. საქართველოში თავის რჩენა ჯერ კიდევ შეუძლებელია. აქაც როდემდე უნდა ვიყოთ?! გული მტკივა, მოხუც ქართველ ქალბატონებს რომ ვხედავ ქუჩაში. ისინი ხომ თავიანთ ოჯახებში, შვილებისა და შვილიშვილების სიყვარულში უნდა დაბერებულიყვნენ... იცით, ბერძნები რას ამბობენ? — საბერძნეთში ქართველებზე მეტი არც ერთი სხვა ერი არ ცხოვრობსო. ათ ბერძენს რომ შეეკითხო, რომელი ეროვნების არის თქვენი მოსამსახურეო, ცხრა იტყვის, ქართველიო. ბევრ ბერძენთან ვმეგობრობ, ძალიან კარგები არიან და, როცა საქართველოში დავბრუნდები, სურვილი აქვთ, გამომყვენ და დაათვალიერონ ჩემი სამშობლო. როდესაც რომელიმე ქართველი რაღაცას დააშავებს, ყველა ქართველზე ბრაზობენ ბერძნები.

**— ათენში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს თუ აინტერესებთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები?**

— **საქართველოს არ ჰყავს ხელისუფლება! საშინელი მდგომარეობაა ქვეყანაში.** ხალხი ისევ გაჭირვებულია, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ადამიანი ვართ ქვეყნიდან წამოსული და თითოეული ჩვენგანი, სულ მცირე, 500 ევროს მაინც ვგზავნით, რაც დღეს ფულად ითვლება საქართველოში, ჩვენი საშველი მაინც არ არის. სულ უკან-უკან მივდივართ. **„ქართული ოცნება“ რომ მოდიოდა ხელისუფლებაში, საბერძნეთში მცხოვრები ქართველები „ოცნების“ დროშებით გიჟებივით დავრბოდით პაპანაქება სიცხეში. სადაა, ბატონო ბიძინა, თქვენი დაპირებები?** რა გააკეთეთ საბრალო ემიგრანტებისთვის? ჩვენ კვლავ ძველებურად ვცხოვრობთ — დაუცველები და დაჩაგრულები! განა ფიქრობს ჩვენი ხელისუფლება, ვის როგორი დღე უთენდება? ერი გაუბედურდა, გადაშენებისკენ მივდივართ. **რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება? საქართველოს ვინ მისცა შვილი დასაკარგავი. კიდევ რამდენი ქართველი უნდა მიებაროს უცხო ქვეყნის მიწას, ზოგის საფლავიც კი დაიკარგა. ნუთუ არ შეიძლება ამაზე მაინც უზრუნოს ჩვენმა მთავრობამ?! იმედგაცრუებული ემიგრანტები ამ ხელისუფლებისგან სასიკეთოს აღარაფერს ველით...**

**— როგორ შეხვდა ბერძენი მოსახლეობა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას და რას ფიქრობთ, რა საფრთხე ელის ქართველებს ამ კანონის მიღების შემთხვევაში?**

— ბერძენთა უმრავლესობა ამ კანონს ძალიან აგრესიულად შეხვდა. ეს რა უბედურებაა, როგორ შეიძლება ქრისტიანულ ქვეყანაში მსგავსი რაღაცები ხდებოდეს! როდესაც საბერძნეთის ხელისუფლებამ ამ თემის განხილვა დაიწყო, ხალხი გაოცებას ვერ მალავდა. ვერ ხვდებოდნენ, რისთვის სჭირდებოდა მათ ხელისუფლებას ეს კანონი. ღმერთმა დაიფაროს ჩვენი ქვეყანა მსგავსი ნაბიჯისგან! ვისარგებლებ თქვენი გაზეთით და ჩემს დედას, მამას და ყველას, ვისაც ჩემი შვილის აღზრდაში წვლილი მიუძღვის, უღრმეს მადლობას გადავუხდი გაწეული სიკეთისთვის.

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველა მიხვდა, რომ ევროპული და ამერიკული კურსი ჩვენი პატარა ქვეყნისთვის დამღუპველია, რომ ჩვენ ევროპული ოჯახის წევრები ვერ გავხდებით, არავინ მიგვიღებს. ე.წ. ვიზალიბერალიზაციაც კი არ მოგვცეს. ხალხი მიხვდა, რომ ურუსეთოდ ქვეყანა წინ ვერ წავა“.**



# «მსგავსი არჩევნები არ მინახავს, ყველა პარტია ამბობს, მეორე ადგილისთვის ვიბრძვიო»

**ოთხ თვეში ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. წინასაარჩევნო მარათონი გახსნილად გამოცხადდა, თუმცა ამერიკულმა კვლევითმა ინსტიტუტებმა (ენ-დი-აიმ, აი-რა-იმ) უკვე გამოაცხადეს მომავალი არჩევნების შედეგები: პარლამენტში „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ უნდა შევიდნენ, თანაც მინიმალური პროცენტული სხვაობით — ასეთია საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორის“, ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონის — ამერიკის დაკვეთა. შეძლებს ხელისუფლება, წინ აღუდგეს ამერიკელთა ნება-სურვილს? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე გვესაუბრება:**

— „ოცნებასაც“ და „ნაცმოძრაობასაც“ სურთ, გაითამაშონ ის სცენარი, რომელიც ამერიკაში მოქმედებს: ხან ერთი პარტია იყოს ხელისუფლებაში, ხან — მეორე... მაგრამ ხალხს არც ერთი მოსწონს და არც მეორე, რადგან ერთისგან სიბინძურე ახსოვს და მეორისგან — არაფრის კეთება. ხალხი მესამე ძალას ითხოვს...

**— ხედავთ მესამე ძალას?**

— გაოცებული ვარ, მსგავსი არჩევნები არ მინახავს, ყველა პარტია ამბობს, მეორე ადგილისთვის ვიბრძვიო... ძალიან საინტერესოა, — პირველ ადგილზე გავალთო, არ ამბობს არც ახალი გაერთიანება თუ ბლოკი, რომელშიც ექვსი პარტიაა, არც **ბურჯანაძე,** არც **თოფაძე...** ერთდერთი, ვინც ამბობს, 95 კაცით შევალ პარლამენტშიო, **ბიძინა ივანიშვილია.**

**— „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ 8 ოქტომბერს „ოცნებას“ დაამარცხებენ...**

— ზუსტად მაგას ვამბობ, იბრძვის მხოლოდ ორი პარტია — „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“. დანარჩენი პირველობისთვის არ იბრძვის. ბიძინა ამბობს, რომ დაამარცხებს ნაცებს და ნაცები კი ამბობენ, რომ მოუგებენ ბიძინას... ყველაზე მეტად დასაფიქრებელი და საშიში არის ის, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ბრძოლა მართლაც ამ ორ პარტიას შორის წარიმართება. ეს ვითარება აჩენს ეჭვს — გარიგებულები ხომ არ არიან? სხვა რა უნდა იფიქრო, როდესაც კეთდება დიდი ბლოკი, მასში ერთიანდება ექვსი პარტია და მათ არ აქვთ არჩევნების მოგების ამბიცია?!

**— გინდათ, თქვათ, რომ ყველა ახალშექმნილმა პარტიამ თუ საარჩევნო ბლოკმა იცის, რომ წაგებულ თამაშს თამაშობს?**

— სხვა რა უნდა იფიქრო, როდესაც ყველა პარტია მეორე ადგილისთვის იბრძვის? **ნათელაშვილის** გარდა, არც ერთი ლიდერი არ ამბობს, არჩევნებს მოვიგებო.

**— ხელისუფლება დილემის წინაშეა — აუცილებლად უნდა მიაღწიოს შედეგს, რომელიც ენ-დი-აიმ და აი-რა-იმ გამოაქვეყნეს, მაგრამ ამ შედეგის წინააღმდეგია ქართველი ხალხი. შეძლებს კი ხელისუფლება ამ ბარიერის დაძლევას?**

— შედეგი, რომელიც წინასაარჩევნოდ ამერიკულმა ინსტიტუტებმა გამოაქვეყნეს, არავითარ შემთხვევაში არ დადგება. არ გამოვა ეგ ამბავი!.. ეს ხალხის დაკვეთა არ არის, თუმცა არავინ იცის, რა მოხდება. ნაცებს დასაკარგი არაფერი აქვთ, თუ ამ არჩევნებში ხმები ვერ აიღეს, დამთავრებულია მათი საქმე, ამიტომ ყველაფერს გააკეთებენ, რათა, რაღაც ფორმით მაინც ხელისუფლებაში დარჩნენ. ასეთივე მდგომარეობაშია „ოცნებაც“. აქედან გამომდინარე, ორივე პარტია ყველაფერზეა წამსვლელი.

## «ჩვენი ქვეყნის კურსი, პრაქტიკულად შეცვლილია. საქართველოს მოსახლეობა რუსეთისკენ იყურება»

**— ბოლო პერიოდში გამოჩნდა ბევრი პარტია, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ქვეყნის პოლიტიკურ კურსს. როგორ ფიქრობთ, ამ პარტიების წამოწევა ხელისუფლებასაც აძლევს ხელს? გვახსოვს დრო, როდესაც „პრორუსულად“ წოდებულ პოლიტიკოსებს არ აჭაჭანებდნენ და ხშირად გაურკვეველი მიზეზით აპატიმრებდნენ კიდეც.**

— ეს ყველაფერი ხალხის დაკვეთით ხდება. ყველა მიხვდა, რომ ევროპული და ამერიკული კურსი ჩვენი პატარა ქვეყნისთვის დამღუპველია, რომ ჩვენ ევროპული ოჯახის წევრები ვერ გავხდებით, არავინ მიგვიღებს. ე.წ. ვიზალიბერალიზაციაც კი არ მოგვცეს. ხალხი მიხვდა, რომ ურუსეთოდ ქვეყანა წინ ვერ წავა.

**— კურსის შეცვლა და ხალხის დაკვეთის ასრულება თავგანწირვის ტოლფასია. გაწირავს ბიძინა ივანიშვილი თავს?**

— ბიძინას მშვენიერი მიზეზი აქვს — ის პოლიტიკაში არ არის, მოქალაქეა. აქედან გამომდინარე, ვალდებუ- ▶

## «11 წელი შევარდნაძეს ვუყურეთ, 9 წელი — მიშას და, ახლა ბიძინას სურვილს თუ გავითვალისწინებთ, 2030 წლამდე მას უნდა ვუყუროთ»



# «ყველაფერი, რასაც «ოცნება» ახლა დაიწყებს, წინასაარჩევნო ფაფხურია, უკან მიდევნებული ლამპარი, რომელიც არჩევნებში გზას ვერ გაუნათებს»

გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2011 წლის 25 სექტემბერს დაღუპული პატიმრის — სერგო თეთრაძის ოჯახს რამდენიმე დღის წინათ მისი უდანაშაულობის დამადასტურებელი დოკუმენტი გადაეცა. პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე 2011 წლის 19 სექტემბერს ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს და გლდანის მე-8 საპყრობილეში წამებით მოკლეს. წამებაში ბრალდებული მაღალჩინოსნები – მეგის ქარდავა და ალექსანდრე მუხაძე — იმალებიან და მათი დაპატიმრება ვერ ხერხდება, ხოლო თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია, რომელსაც თეთრაძის ოჯახი პოლკოვნიკის წამება-მკვლელობის ორგანიზებაში ადანაშაულებს, ამ ეპიზოდზე ბრალდებული საერთოდ არ არის. არ არის დასჯილი არც პროკურორი, რომელმაც თეთრაძე დამნაშავედ სცნო. დაისაჯნენ მხოლოდ მწამებლები. გამოცდილი პოლიტიკოსებისგან ხშირად მოისმენთ ასეთ ფრაზას: „წინასაარჩევნოდ უამრავი სიგიჟის მომსწრენი გავხდებით“ და მართლაც, პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის უდანაშაულოდ ცნობა სწორედ ასეთი ფაქტია, რადგან, როგორც უფლებადამცველები ამბობენ, უდანაშაულოდ ცნო ადამიანი, როდესაც არ დაუსჯიათ, ვინც ის დამნაშავედ ცნო, წარმოუდგენელი სიგიჟეა. გვესაუბრება ადამიანის უფლებების დამცველი, ადვოკატი ლია მუხაშავრია.

**— ქალბატონო ლია, თქვენ ოთხი წლის განმავლობაში საყვედურობდით ხელისუფლებას ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით გაწეული, უფრო ზუსტად, გაუკეთებელი საქმეებისთვის. რა არ მოგწონდათ?**

— **იმის გამო, რომ ხელისუფლებამ ბევრი ვერაფერი გააკეთა და დღეს ამას იმკის კიდეც, მისი რეიტინგი დაეცა და არჩევნებში გამარჯვება ეჭვქვეშ დგას.** ამ ხელისუფლებას ვაკრიტიკებდი და ვაკრიტიკებ. მისი წინასაარჩევნო პროგრამა დაფუძნებული იყო სამართლიანობის აღდგენაზე, რომელიც საერთოდ იგნორირებულია. საზოგადოებამ „ოცნებას“ მხარი სწორედ ამ დაპირების გამო დაუჭირა და ხელისუფლებაში მოიყვანა, თუმცა დარღვეული უფლებები არ აღდგა და უსამართლობა არ დასრულდა. ახლა ცდილობენ, დაპირებების შეუსრულებლობა თვალში ნაცრის შეყრით გამოასწორონ.

**— ხელისუფლების წევრები ამბობენ, რომ ყველაფერი გააკეთეს: პატიმრები გამოუშვეს, ზოგიერთ შემთხვევაში, წართმეული ქონებაც დააბრუნეს და ა.შ.**

— პატიმრების ციხიდან გამოშვება გაკეთებული საქმე არ არის. ადამიანები ძალაში შესული კანონის საფუძველზე იყვნენ დაპატიმრებულები და დღეს ისინი ამბობენ, რომ გამამტყუნებელ განაჩენს არ იმსახურებდნენ. ეს ადამიანები მოითხოვენ საქმეების გადახედვას, შესაბამისად, უკანონო განაჩენების გამომტანთა დასჯას. **ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის თავზე გაახსენდათ „ოცნების“ უმაღლეს კანონმდებლებს, რომ სახელმწიფოს არ აქვს განაჩენის გადახედვის კანონიერი მექანიზმი. ამას კი მიხვდნენ, მაგრამ აქამდე არაფერი გაკეთებულა. მათ შეეძლოთ მიეღოთ კანონი და განაჩენები გადასინჯულიყო. ასევე, აუცილებელი იყო ნაწამები ადამიანების რეაბილიტაცია, კომპენსაცია და საზოგადოებაში მათი მდგომარეობის შეცვლა.**

**— თუ დაიწყებენ გახმაურებული საქმეების ხელახალ ძიებას? რამდენიმე დღის წინათ პოლკოვნიკი სერგო თეთრაძის ოჯახს მისი უდანაშაულობის დოკუმენტი გადასცეს...**

— პოლკოვნიკი თეთრაძის საქმე მეტად რთულია. მისი უდანაშაულოდ ცნობა არ არის საკითხის გადაწყვეტა. **არ არის დადგენილი, ვინ ცნო პოლკოვნიკი დამნაშავედ, ვინ დააპატიმრა, ვინ გასცა მისი წამების ბრძანება. ამ ადამიანებმა მხოლოდ სისხლის სამართლით კი არ უნდა აგონ პასუხი, არამედ სამოქალაქო წესითაც. თეთრაძის ოჯახს ზიანი მაქსიმალურად უნდა აუნაზღაურონ, უნდა ჩატარდეს მთელი რიგი ღონისძიებებისა ოჯახის რეაბილიტაციისთვის. ეს ხელისუფლების ვალია. ასევე, აუცილებელია, დამნაშავეებს მოსთხოვონ ზარალის ანაზღაურება. თეთრაძის ოჯახის წევრებს უდიდესი ტრავმა აქვთ გადატანილი, ისინიც მსხვერპლნი არიან.** მათ დარღვეული უფლებები უნდა აღუდგინონ. საქმე ის არის, რომ ზემოჩამოთვლილთაგან არც ერთი არ შესრულებულა.

ხელისუფლებას სხვა გამოსავალი აღარ აქვს, მიღებული შედეგისა და რეიტინგის გამო, ყველაფერზე წავლენ და გახმაურებული საქმეების ამოქექვით კვლავ შეეცდებიან ნდობის მოპოვებას, თუმცა არა მგონია, რომ დაზარალებულები, მათი ოჯახის წევრები ამ უსუსურ მცდელობას დასჯერდნენ. **„ოცნებას“ წინასაარჩევ-** ▶

## «ხელისუფლებას სხვა გამოსავალი აღარ აქვს, მიღებული შედეგისა და რეიტინგის გამო, ყველაფერზე წავლენ და გახმაურებული საქმეების ამოქექვით კვლავ შეეცდებიან ნდობის მოპოვებას»

**„ასეთი რამ მართლაც წარმოუდგენელია — ადამიანს სახნავი არ ჰქონდეს და დასტურდებოდეს, რომ მიწა დახნა. რაღაც პრობლემაა და იქ, ადგილზე, უნდა გავარკვიოთ“.**

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლია, ხალხის ნება აღასრულოს. მართალია, ბიძინას დასაკარგი ბევრი აქვს, მაგრამ უფრო მეტს დაკარგავს, თუ ხალხის ნებას გადაუვა. ივანიშვილი ცუდ დღეშია.

როდესაც პოლიტიკაში მიდიხარ, ან შევარდნაძესავით ჭკვიანი უნდა იყო, ან ზვიად გამსახურდიასავით შეგეძლოს თავგანწირვა. ბიძინას არც ერთი თვისება აქვს და არც — მეორე.

**— არჩევნების შემდეგ საქართველო ისევ იმავე კურსით ივლის, არაფერი შეიცვლება?**

**— ჩვენი ქვეყნის კურსი, პრაქტიკულად, შეცვლილია. საქართველოს მოსახლეობა რუსეთისკენ იყურება. ქართველმა ფერმერმა იცის, რომ მისი პროდუქციის გასაღების ბაზარი რუსეთშია; ყველა მიხვდა, რომ ეკონომიკა მხოლოდ რუსეთის ბაზრის დახმარებით შეიძლება აღორძინდეს.**

ახლა მთავარია, ხალხი სამზარეულოებში არ დაჯდეს და იქიდან არ უყუროს არჩევნებს. ყველამ კეთილი ინებოს და არჩევნებში მონაწილობა მიიღოს; აუცილებლად გადახედონ პოლიტიკოსების წარსულს, ბრმად არ ენდონ არავის. თუ ასე არ მოვიქცევით, მერე მთავრობის გინება გვიანი იქნება.

11 წელი შევარდნაძეს ვუყურეთ, 9 წელი — მიშას და, ახლა ბიძინას სურვილს თუ გავითვალისწინებთ, 2030 წლამდე მას უნდა ვუყუროთ. ხალხიც დაიღალა, მაგრამ ერთი გაბრძოლება აუცილებელია.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

◀**ნო ტრიუკი აღარ გაუვა, ხალხმა ეს უკვე გაიარა.**

ყველაფერი, რასაც „ოცნება“ ახლა დაიწყებს, წინასაარჩევნო ფაფხურია, უკან დადევნებული ლამპარი, რომელიც არჩევნებში გზას ვერ გაუნათებს.

**— რომ არ იყოს „უკან მიდევნებული ლამპარი“, რისი მოსწრება შეუძლიათ ოთხ თვეში?**

— მას, ვისაც სურს, ამომრჩევლის ხმა მიიღოს, პროგრამაში დეტალურად უნდა ჩაწეროს, როგორ მოხდება დარღვეული უფლებების აღდგენა; ზუსტად აღწეროს მექანიზმი, რომლითაც დაზარალებულებს დაეხმარება. ქვეყანაში არიან ფინანსურად, მორალურად, ფიზიკურად დაზარალებული ადამიანები, მათ მიხედვა სჭირდებათ. უცილებელია, დაენიშნოთ პენსია, უფასო სამედიცინო მომსახურება. ეს ყველაფერი სერიოზულ მიდგომებს საჭიროებს არა მხოლოდ საკანონმდებლო და პრაქტიკული, არამედ საბიუჯეტო სახსრების თვალსაზრისითაც, ამიტომ კრიტიკულად უნდა შევხედოთ ყველა პარტიის წინასაარჩევნო პროგრამას და შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება.

არარეალურს არაფერს ვამბობ, რაც ჩამოვთვალე, იმის გაკეთება შესაძლებელია, მხოლოდ კეთილი ნებაა საჭირო. **უნდა შეიკვეცოს სამთავრობო, ბიუროკრატიული ხარჯები და დაზარალებული ადამიანებისკენ წავიდეს.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# რატომ ჩავარდა ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მცხოვრებთა დიდი ნაწილისთვის საგაზაფხულო სამუშაოები

## ხარვეზი საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში, რომლის გამოსწორებასაც ფერმერები ითხოვენ

**სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ, მთავრობის ინიციატივით, 2013 წელს დაიწყო საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი. წელს სამწლიანი პროგრამის ბოლო ეტაპია. სამთავრობო პროგრამა ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბების მიზნით სოფელში მცხოვრებთა ხელშეწყობას ითვალისწინებდა. გასული წლებისგან განსხვავებით, წელს ფერმერები დახმარებას შეცვლილი სახით მიიღებენ. ბენეფიციარები, რომლებსაც აქვთ სახნავი მიწის ფართობი 0.25-1.25 ჰექტარი, მიიღებენ მხოლოდ ხვნის ბარათს —1 ჰექტარზე 140 ლარის გაანგარიშებით. ფერმერები, რომლებსაც აქვთ 0.25-მდე მიწის ფართობი, წელს ისარგებლებენ 50-ლარიანი აგრობარათით. ბენეფიციარები, რომლებიც 0.25 დან 1.25 ჰას ჩათვლით მიწის ფართობს იყენებენ მრავალწლიანი კულტურების მოსაყვანად, 1 ჰაზე 140 ლარის ოდენობის სასოფლო-სამეურნეო საქონელს მიიღებენ. ნიადაგის ხვნის სამუშაოებს შპს „მექანიზატორი“ და კონტრაქტორი კომპანიები უზრუნველყოფენ. ერთი შეხედვით, ბრწყინვალე პროექტია, ფერმერებს დიდი დახმარება უნდა გაუწიოს, მაგრამ, როგორც ყველა სფეროში და, ყველა ხელისუფლების აზრით, „წარმატებულ“ პროექტში, აქაც აღმოჩნდა ხარვეზი, რომელიც პროექტის წარმატებაზე ნამდვილად არ მეტყველებს. ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მცხოვრებთა დიდი ნაწილისთვის საგაზაფხულო სამუშაოები ჩავარდა, თუ რატომ, ამაზე თვითონ კახათელები გვესაუბრებიან.**

**კუკური ბიჭია:**

— უკვე სამი წელიწადია, მიწის სახნავი ბარათი მაქვს, მაგრამ არაფერში მჭირდება, რადგან სახნავი მიწა არ მაქვს. ყოველ წელიწადს მიწევს ბარათის გადაცვლა, ეს პროცესი ჭიანურდება. ზოგჯერ ისეთ დროს მიბრუნდება უკან, რომ ველარ ვიყენებ. შეწამვლისა და თესვის დრო გასულია. წელს ცარიელზე დავრჩი, მეუბნებიან, რომ მიწა აპრილში დავხანი, მაგრამ სახნავი მიწა საერთოდ რომ არ მაქვს — ეს როგორ და ვის დავუმტკიცო? ჩემსავით ბევრი ოჯახი წვალობს.

**კანდიდ თოლორაია:**

— ჩემი ოჯახიც ამ დღეშია. შარშან საერთოდ ვერაფერი მივიღეთ.

**— ასე რომ მოხდა, ვისი ბრალია?**

— ვერ გეტყვით, არ ვიცი. სოფლის რწმუნებული ადგენდა სიებს, მან ყველა ოჯახის ამბავი იცის, შეკითხვაც არ სჭირდება, მაგრამ ასე რატომ მოხდა, არავინ იცის. სოფელში თითქმის ყველა ოჯახს არეული აქვს ბარათები, ვისაც სახნავი სჭირდება — იმას სათესი აქვს და პირიქით. ეს პროექტი რომ დაიწყო სოფლის გამგებელი ნაციონალი იყო, ვფიქრობთ, საბოტაჟია...

**ჯონი დარასელია:**

— იქნებ ხმა მიაწვდინოთ ვინმეს. მოგვხედონ, ხარვეზი აღმოსაფხვრელია, ყოველ წელიწადს ასე ხომ ვერ ვიწვალებთ?!

**სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე ალექსანდრე ნასარიძე:**

**— მცირემიწიან ფერმერთა საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ სარგებლობს იმ სიკეთეებით, რომლებიც მთავრობამ საგაზაფხულო სამუშაოებისთვის 2013 წლიდან დააწესა. ხშირად დახმარება გამოყოფილია სახნავი მიწის დასამუშავებლად, მაგრამ გლეხს სულ სხვა რამ სჭირდება, მაგალითად, შესაწამლი ნივთიერება...**

— მოკლედ მოგახსენებთ პროექტის შესახებ, რათა ნათლად დაგანახვოთ, რომ ეს მართლაც საუკეთესო დახმარებაა ფერმერთათვის.

პროექტი, სახელწოდებით „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობა“ ქართულ რეალობაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ჩვენ გვყავს 800 ათასი ბენეფიციარი, რომლებსაც დახმარებას ვუწევთ, ამ საქმეში ჩართულია 500-მდე მაღაზია, აგრეთვე, 100-ზე მეტი სატრაქტორო კომპანია.

თქვენ საუბრობთ სიებსა და ბენეფიციარებზე, რომლებსაც დახმარება საჭიროებისამებრ არ მისდით, მაგრამ ჩვენი ბრალი აქ უმნიშვნელოა. სიებს გვაწვდის რაიონის ხელმძღვანელობა და გვებნება, ვის რა სჭირდება. დახმარებას იღებს ის ფერმერი, რომელსაც აქვს მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთი შეიძლება იყოს ერთწლიანი კულტურისთვის და ასეთ შემთხვევაში ჩვენ მას დახვნაში ვეხმარებით — 1 ჰექტარზე 140 ლარს ვაძლევთ. მრავალწლიანი კულტურების მქონე ფერმერებს, ხვნის ბარათის ნაცვლად, აგროქულებს ვურიცხავთ და მას შესაძლებლობა აქვს, საჭიროებისამებრ გამოიყენოს ის. ვფიქრობთ, ეს საუკეთესო დახმარებაა.

**— ზოგმა ფერმერმა დარგო თხილი და, ვიდრე წამოიზრდებოდა, იმ ადგილას სიმინდს თესავდა. რამდენიმე წლის შემდეგ თხილი გაიზარდა და იქ სიმინდის მოყვანა შეუძლებელი შეიქნა. გლეხს მანამდე სახნავი ბარათი სჭირდებოდა, ორი წლის შემდეგ კი აღარ დასჭირდა, მაგრამ ის მაინც სახნავ ბარათს იღებს და ვერაფერში იყენებს. ბარათის გადაცვლას დრო სჭირდება, ამასობაში თხილის შეწამვლის დროც გადის.**

— გასაგებია, რასაც მეუბნებით, მაგრამ ჩვენ ამ ხარვეზის აღმოფხვრა არ შეგვიძლია, ეს ადგილზე მოსაგვარებელი პრობლემაა. წარმოუდგენელია, რომ საქართველოს მასშტაბით სამინისტრომ აკონტროლოს, ვის რა სჭირდება. პროგრამაში ბევრი სტრუქტურაა ჩართული და ყველას თავისი მოვალეობა აქვს. რაიონული თვითმმართველობის მოვალეობაა, ჩვენამდე მოიტანონ ინფორმაცია, ვის რა სჭირდება.

**— ზუგდიდის რაიონში ბევრი ოჯახისთვის თქვენი „საუკეთესო“ პროგრამა ჩავარდნილია. მიიღებთ თუ არა ზომებს, რომ დამნაშავეები დაისაჯონ?**

— ჩავარდნილი რატომ არის? მოუგვარებელი პრობლემა არ არსებობს. ბარათის გადაცვლა ყოველთვის შეიძლება.

**— მაგრამ გვიანდება. წინა წელს ბევრმა ოჯახმა ველარ გამოიყენა.**

— ვერ დაგეთანხმებით, რადგან ჩვენ საუკეთესო პირობები გვაქვს. მაგალითად, თუ ოჯახმა საკუთარი სახსრებით დახნა მიწა, მაშინ კონვერტაციას ვაკეთებთ და ფერმერს აგროქულებს ვაძლევთ. არც ერთი ფერმერი არ რჩება სახელმწიფოს დახმარების გარეშე.

**— თქვენ რომ გგონიათ, ყველაფერი ისე არ ხდება სინამდვილეში, სამწუხაროდ. ბევრი ოჯახი წვალობს, რათა კუთვნილი მიიღოს. მეტსაც გეტყვით: არიან ოჯახები, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ სახნავი მიწა, მაგრამ სახნავი მიწისთვის გამოყოფილ დახმარებას იღებენ.**

— წარმოუდგენელ რამეს ამბობთ. შემიძლია, სტატისტიკა მოგიყვანოთ, თუ რა რაოდენობის მიწაა დახნული, რა ნათესებია, რამდენი ოჯახი სარგებლობს, თანაც — წარმატებით. თქვენ, ალბათ, კონკრეტულ შემთხვევებზე საუბრობთ, რომლებიც გამოსაკვლევია. ძალიან ცუდია, თუ მსგავსი შემთხვევები ხდება. ჩვენთან ცხელი ზარიც კარგად მუშაობს, გვირეკავენ და ჩვენც ყველას ვაკვალიანებთ.

**— დიახ, ცხელ ხაზზე გვითხრეს, რომ კუკური ბიჭიას ამა წლის 27 აპრილს მიწა დაუხნავს, მაგრამ ბიჭიას სახნავი მიწა საერთოდ რომ არ აქვს?**

— რას ამბობთ?! ამაზე პასუხი ნამდვილად არ მაქვს. ასეთი რამ მართლაც წარმოუდგენელია — ადამიანს სახნავი არ ჰქონდეს და დასტურდებოდეს, რომ მიწა დახნა. რაღაც პრობლემაა და იქ, ადგილზე, უნდა გავარკვიოთ.

მითხრეს, რომ კუკური ბიჭიას ნამდვილად აქვს განაღდებული „ლიბერთი ბანკში“ ბარათი, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ მას სახნავი მიწა საერთოდ არ ჰქონდა. ბარათის განაღდებისას ხელს თვითონ აწერს. ვერ ვხვდები, რა უნდა მომხდარიყო და რასთან გვაქვს საქმე.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«სოფელში თითქმის ყველა ოჯახს არეული აქვს ბარათები. ვისაც სახნავი სჭირდება — იმას სათესი აქვს და პირიქით. ეს პროექტი რომ დაიწყო, სოფლის გამგებელი ნაციონალი იყო, ვფიქრობთ, საბოტაჟია»**

**«მეუბნებიან, რომ მიწა აპრილში დავხანი, მაგრამ სახნავი მიწა საერთოდ რომ არ მაქვს?!»**



# გერმანია გზაჯვარედინზე: ახალი შეტაკებები დორტმუნდში

**გერმანიაში ჰიტლერის „მაინ კამპფი“ გაყიდვის რეკორდებს ხსნის, ქუჩებში კი პოლიციელებს ცემენ. მძიმე მიგრაციული კრიზისის გამო, რომელიც ევროკავშირს მხრებზე დააწვა, განგაშის ზარის დარისხების გარდა, თითქოს სხვა აღარაფერია დარჩენილი. ამ ვითარებაში ოქროს შუალედის მოძებნა შეუძლებელია. ადამიანებს უწევთ არჩევა გარკვეული პოზიციისა, მკვეთრად განსხვავებულის, ამ საბედისწერო საკითხზე.**

გერმანია, როგორც ჩანს, განსახიერებაა ამ მოგონილი ტოლერანტული რეჟიმისა კანცლერ ანგელა მერკელის სახით. ამდენი წლის განმავლობაში მულტიკულტურიზმის სასარგებლო აგიტაცია, ახლა კი მის კრახზე საუბარი ძალიან ძვირი საფასურია ევროპისთვის და, კერძოდ, გერმანიისთვის.

სახელმწიფოს ხელისუფლება მიგრაციული ქაოსის ფონზე ისე გამოიყურება, თითქოს არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს. ადამიანები კი მხარეს ირჩევენ. მკვეთრად იზრდება ულტრამემარჯვენე მოძრაობების, ნეონაცისტების პოპულარობა, რომლის ფონზეც კითხვას — რატომ იქცა ჰიტლერის „მაინ კამპფი“ ბესტსელერად? — უკვე აღარავინ სვამს.

მოიმატა საზოგადოების მხარდაჭერამ ნეონაცისტური პარტიების მიმართ, იარაღით მოვაჭრე მაღაზიებში კი მყიდველებს ველარ აუდიან, პიკი კი იმ მომენტებზე მოდის, როცა მიგრანტები ახალ თავდასხმას მოაწყობენ — ლტოლვილების უმრავლესობას არ სურს ახალ გარემოში ინტეგრაცია.

თუმცა რაზეა ლაპარაკი, როდესაც ნეოფაშისტების საწინააღმდეგოდ გამართული საპროტესტო აქცია ხშირად პოლიციელებთან შეტაკებით მთავრდება, როგორც ეს რამდენიმე დღის წინათ დორტმუნდში მოხდა. არეულობების გამო ბლოკირებული იყო ქუჩები და რკინიგზა, გაჩერდა მატარებლები. შედეგად ადამიანები შეეცადნენ, გაერღვიათ პოლიციელთა კორდონები, ესროდნენ მათ ბოთლებს, ქვებს; რამდენიმე სამართალდამცველი დაიჭრა კიდეც.

აღშფოთებული გერმანელი საზოგადოების დამშვიდებას კი ხელისუფლება თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანთან საეჭვო გარიგებით ცდილობს. საზოგადოდ, როგორც გაირკვა, ევროპას, ვიდრე ერდოღანთან შეთანხმებაზე დაიწყებდა ლაპარაკს, ჯერ თურქეთის ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულების გარკვევაზე უნდა ეფიქრა, მაგრამ ამაში ხელი შეუშალა მეტისმეტმა ტოლერანტობამ, რომელმაც ერდოღანს ხელები გაუხსნა ორმაგი პოლიტიკის საწარმოებლად.

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ხალხი ვერ აკეთებს სწორ ანალიზს. ჟურნალისტებიც ვერ აკეთებენ სწორ ანალიზს. ვერც ექსპერტები აკეთებენ სწორ ანალიზს. „ოცნებამ“ რომ არჩევნები წააგო რამდენიმე უბანზე, ეს იმის შედეგია, რომ ვერავინ აკეთებს სწორ ანალიზს. ხალხი რომ გამწარებულია და ხელისუფლებას აღარ ენდობა, ესეც იმის ბრალია, რომ ის ვერ აკეთებს სწორ ანალიზს. ხელისუფლებაში მოსვლიდან მეოთხე წელიწადს უკვე საბოლოოდ რომ გაფარჩაკდა „ოცნება“, ეს იმიტომ მოხდა, რომ სამყაროში ვერავინ აკეთებს სწორ ანალიზს... ერთადერთი არსება, ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს, სოკოებს, უცხოპლანეტელებსა და ზებუნებრივ არსებებს შორის, რომელსაც აქვს უნარი, გააკეთოს სწორი ანალიზი, მხოლოდ და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილია!**

# ვაზელინბერალიზაცია და ორი ლაკმუსი — მურუსიძე და «რუსთავი 2»

**ქვეყანა მხოლოდ მას შემდეგ დაწყნარდა, როდესაც ვიზალიბერალიზაციაზე დაპირება პირადად ბიძინა ივანიშვილმა მოგვცა. „ამ წლის ბოლოს, ასპროცენტიანი ალბათობით, მივიღებთ ვიზალიბერალიზაციას, მანამდე კი მისი მიღების ალბათობა 70 პროცენტია“, — ალბათობის თეორიის ფუძემდებელივით ბრძნულად დაგვილაგა მოსალოდნელი ხდომილების პროცენტები დიადმა მილიარდერმა და წამს გამოცოცხლდა მანამდე ყურებჩამოყრილი ახალი სექტის — „მეოცნებე ტუტუცების“ წევრთა სრული უმრავლესობა.**

აიო, ხომ თქვა ბიძინამ, ვიზალიბერალიზაცია 100 პროცენტით იქნებაო! ახლა რაღას იტყვითო? — ისეთი დაქადნებით კითხულობდნენ სოციალურ ქსელებში, გეგონება, ბიძინას ჯერაც არასოდეს უთქვამს არაფერი „100-პროცენტიანი ალბათობით“, რაც, შემდეგ 1-პროცენტიანი ხდომილებითაც („ხდომილება“ მეცნიერული ალბათობის თეორიის ოფიციალური ტერმინია და შესრულებულ მოსალოდნელობას ნიშნავს) არ შესრულებულა.

ანდაც, მე შენ გეტყვი, ძალიან გაუჭირდება მამა-მარჩენალს, წლის ბოლოს მიამიტურად განაცხადოს, — ეგ კი ვთქვი ეგრე, მაგრამ ეგ, დაპირება კი არა, წამოცდენა იყოო.

აკი, მისი „წამოცდენების“ სიცარიელე, აგერ, ამას წინათ, ყველამ „საკუთარ ჯიბეზე“ გამოვცადეთ.

სავარაუდოდ, გარკვეული დროის შემდეგ იმასაც შევიტყობთ, მოსამართლე **მურუსიძისადმი** ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულებაც „წამოცდენებია“ თუ ის რეალურად ფიქრობს „ნაცების“ ყოფილ ჯიბის მოსამართლეზე იმას, რასაც ამბობს ხოლმე მის შესახებ, უფრო ზუსტად — მის დასაცავად და „გასაპრავებლად“.

საზოგადოდ, „ნაცების“ ამა თუ იმ განშტოების „გაპრავება“ და დაცვა ერთგვარ მოდად იქცა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დღეს მკვეთრად გამოირჩევა ორი ლაკმუსი — „მურუსიძე“ და „რუსთავი 2“.

არიან პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც სასტიკად უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩევიან „რუსთავი 2“-ისა და განსაკუთრებით მისი გენერალური დირექტორის — **ნიკა გვარამიას** მიმართ, მაგრამ კბილებით იცავენ და ამართლებენ **ლევან მურუსიძეს.**

მეორე მხრივ, არსებობენ პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც მურუსიძის სასამართლოს არსებობას „ქართული ოცნების“ მიერ სამართლიანობის არ და ვერ აღდგენის უმთავრეს სიმბოლოდ მიიჩნევენ, მაგრამ, პარალელურად, კბილებით იცავენ და წინ ეფარებიან „რუსთავი 2“-სა და მის გენერალურ დირექტორს — ნიკა გვარამიას.

არგუმენტი — „მიშას დროს იგი სისტემის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი, დამცველი, მამოძრავებელი და დანაშაულებრივი დავალებების უშუალო შემსრულებელი იყო!“ — ერთი ნაწილისთვის მხოლოდ მურუსიძის მიმართ მოქმედებს და გვარამიას მიმართ — არა! მეორეთათვის კი პირიქით — ეს არგუმნენტი მხოლოდ გვარამიას მიმართაა „წყალგაუვალი“, მურუსიძის მიმართ კი — არა!

„რას ერჩით მურუსიძეს? ის უკვე გამოვიდა ნაციონალების გავლენიდან, აღარ ემორჩილება მათ. კიდევ არიან სხვებიც, რომლებიც ნაცებს აღარ ემორჩილებიან. ეს ჩვენ უნდა გვიხაროდეს. პრობლემა ის არის, ვინც დღესაც ემორჩილება ნაციონალებს“ — აი, ასეთი საოცარი არგუმენტი წარმოგვიდგინა და ასეთი საოცარი მორალი წაგვიკითხა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

**ანუ, „ბიძინური“ ლოგიკა მარტივი ამოსაცნობია: ვინც ნაცებს კოცნიდა ერთ ადგილზე და ახლა მე მკოცნის ერთ ადგილზე, კარგია, გადასარევია და მას პასუხი არაფერზე უნდა მოვთხოვოთ; ხოლო, ვინც არ მემორჩილება და არ მკოცნის ერთ ადგილზე, აი მათ კი უნდა მოვთხოვოთ პასუხიო.**

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ „ბიძინურ ლოგიკაში“ საერთოდ არანაირი ადგილი — არც დადებითი და არც უარყოფითი — არ უჭირავთ ადამიანებს, რომლებმაც მაშინვე — 2007 თუ 2008 წელს გამოხატეს პროტესტი, არ დაემორჩილნენ „ნაცებს“, არ იკადრეს მათთან თანამშრომლობა...

ასეთი ადამიანებისთვის ადგილი არსად არის. თუნდაც შიმშილით დახოცილან!

გამოდის, **ბიძინასა და მისი ე.წ. ოპოზიციისთვის საქართველოს მოქალაქეები ორ კატეგორიად იყოფიან — „ყოფილი ნაცები“ და „ახლანდელი ნაცები“. სხვა დანარჩენი სათვალავშიც არ ვართ ჩასაგდები.**

ის ადამიანები, რომლებიც არც ადრე ყოფილან „ნაცები“, არც ახლა არიან და არც მომავალში იქნებიან, ადამიანები, რომლებიც წარსულშიც ებრძოდნენ „ნაცების“ რეჟიმს და ახლაც ებრძვიან, საერთოდ „დაკარგული“ ხალხია — არავის აინტერესებს, არც თვითონ ბიძინას და არც ბიძინას წინააღმდეგ ბოლო პერიოდში ამეტყველებულ „არანაც“ ოპოზიციას.

საბოლოო ჯამში, **მურუსიძისა და „რუსთავი 2“-ის ერთადერთ დადებით მხარედ შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ მათ აშკარა ლაკმუსის როლი შეასრულეს ქართული საზოგადოებისთვის — თვალნათელი გახდა, რომ მთელი ეს პოლიტიკური სპექტრი, ლიდერებიანად, ამა თუ იმ პერსონას მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის ებრძვის.**

როგორც კი დაინახავს, რომ მისთვის მურუსიძის დაცვა ხელსაყრელია, იმწამსვე იწყებს მურუსიძის დაცვას, თუ დაინახავს, რომ მისთვის „რუსთავი2“-ის დაცვა რაიმე სარგებლის მომტანია, მყისვე იწყებს „რუსთავი2“-ის და ნიკა გვარამიას დაცვას და ასე...

ყველაზე კომიკურია წამოძახებები:

„განა სწორედ მურუსიძისა და მისნაირების წინააღმდეგ არ ვიბრძოდით, როდესაც 2012 წელს ყველანი ერთად დავდექით? მაშინ რომ გეთქვათ, 2016 წელს მურუსიძის დაცვას დაიწყებდით, დაგიჭერდათ ვინმე მხარს?“ — ნამუსზე აგდებს ბიძინა ივანიშვილს რომელიღაც პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ორიოდე წუთის შემდეგ თვითონ იწყებს „რუსთავი 2“-ისა და ნიკა გვარამიას დაცვას და აუცილებლად დააღებს პირს რომ შეეკითხო — **„კი მაგრამ, განა სწორედ ნიკა გვარამიას და მისნაირების წინააღმდეგ არ ვიბრძოდით 2012 წელს, ყველანი ერთად რომ დავდექით? მაშინ რომელიმე თქვენგანს რომ ეთქვა, 2016 წელს ნიკა გვარამიას დაცვას დაიწყებდა, დაგიჭერდათ ვინმე მხარს?“**

საქმეც ეგაა, რომ **ქართველი საზოგადოება 2012 წელს ორივეს წინააღმდეგ იბრძოდა — როგორც „ლევან მურუსიძეების,“ ასევე, „ნიკა გვარამიების“ წინააღმდეგ და დღეს საოცრად მეცოდება ქართველი ხალხი, რომელსაც ნაციონალები, რა თქმა უნდა, ჭირის დღესავით ეზიზღება, მაგრამ სამაგიეროდ არჩევანის გაკეთება „მურუსიძისტებსა“ და „გვარამიისტებს“ შორის უწევს!**

ასეთ ვითარებას დიდი გაანალიზება და „ჩაჭიდება“ არ სჭირდება და ბუნებრივია, ასეთი ობიექტური და არგუმენტირებული ნიჰილიზმით შეპყრობილი საზოგადოება აღზევანს უფრო დიდი ხალისით წავა მარილის მოსატანად, ვიდრე არჩევნებზე.

მაგრამ არა! ჩვენი დიადი ახალი მილიარდერი ბელადი აქაც ხალხს ადანაშაულებს. თურმე, ნუ იტყვით და, სწორედ ხალხს არ ჰქონია სწორი ანალიზის უნარი.

აი, მაგალითად, ნაწყვეტი ივანიშვილის მოძღვრებიდან:

**„თქვენ უნდა გააკეთოთ სწორი ანალიზი. ხალხის პრობლემა არის ის, რომ მათ ჯერ ვერ ისწავლეს სწორი ანალიზის გაკეთება. თუკი მთავრობა აშავებს რამეს, ეს ხალხმა მას უნდა მიუთითოს და გააკრიტიკოს, ოღონდ ეს უნდა იყოს სწორი ანალიზი. აი მე, მაგალითად, მითხრეს და წამაკითხეს, რომ ბევრი ამბობს, თითქოს ეს მთავრობა მოქმედებს არასწორად, მაგრამ ეს არ არის სწორი ანალიზი. აი ამას ვამბობ. ხალხმა აუცილებლად უნდა ისწავლოს სწორი ანალიზის გაკეთება. სხვათა შორის, ჟურნალისტებმაც უნდა ისწავლონ სწორი ანალიზის გაკეთება. ჟურნალისტის პირველი ფუნქცია, რა თქმა უნდა, არის, მიუთითოს მთავრობას შეცდომები და ჩაჭიდებულად იყოს განწყობილი მთავრობასთან, მაგრამ ეს უნდა კეთდებოდეს სწორი ანალიზით. მე ვნახე, არაერთი ჟურნალისტი ჩემი მისამართითაც წერდა რაღაც უარყოფით კრიტიკას, მაგრამ ეს არანაირად არ იყო სწორი ანალიზი. ასევე, არაერთხელ მინახავს, რომ ჩვეულებრივი მოქალაქეები დადებითად აფასებენ ჩვენს, ჩვენი მთავრობის, ჩვენი ხელისუფლების გაკეთებულ საქმეებს და გადადგმულ ნაბიჯებს. აი, ეს კი ნამდვილად არის სწორი ანალიზი“,** ანუ **„ბიძინლოგიკა“ დაახლოებით ასეთია:**

**ხალხი ვერ აკეთებს სწორ ანალიზს, ჟურნალისტებიც ვერ აკეთებენ სწორ ანალიზს, ვერც ექსპერტები აკეთებენ სწორ ანალიზს. „ოცნებამ“ რომ არჩევნები წააგო რამდენიმე უბანზე, ეს იმის შედეგია, რომ ვერავინ აკეთებს სწორ ანალიზს. ხალხი რომ გამწარებულია და ხელისუფლებას აღარ ენდობა, ესეც იმის ბრალია, რომ ის ვერ აკეთებს სწორ ანალიზს. ხელისუფლება-**





**ში მოსვლიდან მეოთხე წელიწადს უკვე საბოლოოდ რომ გაფარჩაკდა „ოცნება“, ეს იმიტომ მოხდა, რომ სამყაროში ვერავინ აკეთებს სწორ ანალიზს. ივანიშვილს უკვე „ერთკაციანი“ პარტიების რომ ეშინია, როგორიც არის, მაგალითად, კახა კუკავას პარტია, და რომ ბატონმა ბიძინამ უკვე ღიად გამოხატა შიში, შესაძლოა, ხმები ამ „ერთკაციანმა“ პარტიებმა წაგვართვანო, ესეც იმის ბრალია, რომ გალაქტიკაში საერთოდ ვერავინ აკეთებს სწორ ანალიზს. ღმერთიც კი ვერ აკეთებს სწორ ანალიზს! ერთადერთი არსება, ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს, სოკოებს, უცხოპლანეტელებსა და ზებუნებრივ არსებებს შორის, რომელსაც აქვს უნარი, გააკეთოს სწორი ანალიზი, მხოლოდ და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილია!**

## სოციალურ ქსელებში ბიძინათი აღფრთოვანებულთა პოსტებისა და კომენტარების კითხვისას აშკარაა — საქართველომ ვიზალიბერალიზაცია ვერ მიიღო, მაგრამ ვაზელინბერალიზაცია გვაქვს და, ალბათ, მსოფლიოში პირველებიც კი ვართ ამ მიმართულებით. ვაზელინის ულევი მარაგია ჩვენს ქვეყანაში და საზოგადოების ერთი ნაწილი მას ყოველთვის ეფექტიანად იყენებს საკუთარი ქვეყნის დაღუპვისა და გაჩანაგების ფასად

ნამდვილად ვერ გეტყვით, ასეთ მძიმე სისულელეებს რომელიმე მრჩეველი ალაპარაკებს ბიძინა ივანიშვილს თუ იგი თვითონ მოიფიქრებს ხოლმე, მაგრამ ვერც ერთ და ვერც მეორე შემთხვევაში, ქვეყნისა და ხალხისათვის შეღავათს ვერ ვხედავ.

მით უფრო, იმ ფონზე, როდესაც საზოგადოების არც ისე მცირე ნაწილი დღემდე პრიმიტიულად აზროვნებს. **სოციალურ ქსელებში ბიძინათი აღფრთოვანებულთა პოსტებისა და კომენტარების კითხვისას აშკარაა — საქართველომ ვიზალიბერალიზაცია ვერ მიიღო, მაგრამ ვაზელინბერალიზაცია გვაქვს და, ალბათ, მსოფლიოში პირველებიც კი ვართ ამ მიმართულებით.**

ვაზელინის ულევი მარაგია ჩვენს ქვეყანაში და საზოგადოების ერთი ნაწილი მას ყოველთვის ეფექტიანად იყენებს საკუთარი ქვეყნის დაღუპვისა და გაჩანაგების ფასად!

**ამ ოპერაციას „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებმა და მათმა სატელიტებმა მიანიჭეს კოდური სახელწოდება „გედების ტბა". ეს გაკეთდა დამაგვირგვინებელი ბანკეტის აღსანიშნავად, რომელიც გაიმართება პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში, სადაც დაბრუნებულ პრეზიდენტს აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მუხლებზე ხოხვით მიეახლება და ნებაყოფლობით დაუთმობს უფლებამოსილებასაც და რეზიდენციასაც.**

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თუნდაც ის, რომ დღემდე ძალიან აქტუალურია ყოვლად სულელური თეორია — „ჭკვიანი რომ არ იყოს, ამდენ ფულს ვერ იშოვიდა" — უკვე ნათლად მეტყველებს დღევანდელი ქართველი საზოგადოების პრიმიტიული განვითარების, უფრო ზუსტად — ვერგანვითარების დონეზე.

აკი, **თეორია, რომ უჭკუო და უინტელექტო ადამიანი მილიარდებს ვერ იშოვის, მსოფლიოში არსებობს მხოლოდ უჭკუო და უინტელექტო ადამიანებისთვის. მსოფლიომ იცის ბევრი მილიარდერი, რომელთაც სამი კლასის განათლებაც კი არ აქვთ. რა თქმა უნდა, არსებობენ ინტელექტუალი და ჭკვიანი მილიარდერებიც, ანუ ჭკუასა და ინტელექტს პირდაპირი კავშირი არ აქვს ფულის შოვნასთან — არც დადებითი და არც უარყოფითი კუთხით.**

ამიტომ, კეთილგონივრულად **ვურჩევ ივანიშვილს, სასწრაფოდ მოიშოროს გვერდიდან ის მლიქვნელები, რომლებიც მას სწორედ ასეთი უაზრო თეორიებითა და მლიქვნელური ფრაზებით კვებავენ.**

მეც და არაერთი სხვაც, რომლებიც დაინტერესებულნი ვართ არა ბიძინას მილიარდებით, არამედ საზოგადოების სწორი განვითარებითა და სწორი ზნეობის ჩამოყალიბებით, მზად ვართ, სრულიად უანგაროდ ვურჩიოთ ბიძინა ივანიშვილს, რა უნდა ილაპარაკოს და რა — არა, რა უნდა გააკეთოს და რა — არა!

გარწმუნებთ, ბატონო ბიძინა, არც თქვენი ათიათასიანი ხელფასები გვინდა და არც არაფერი!

უბრალოდ, **გულით გთხოვთ, ნუ დალუპავთ ქვეყანას ასეთი არაადეკვატური აზრებითა და საქციელით!**

**პირველ რიგში კი, სწორედ ის ადამიანები მოიშორეთ, რომლებიც აი, ამ ყოველივეს წაკითხვისას ირონიულად მეტყვიან — შენ რა უნდა ურჩიო დიად ბიძინას, შენ რომ მასზე მეტი ტვინი გქონოდა, მილიარდებს შენ იშოვიდი და არა ისო!**

აი, ასე მოაზროვნე ადამიანები განსაკუთრებით ტუტუცები და, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით საშიშები არიან...

თუმცა, რომ დაფიქრდე კაცი, **ღირს კი რამე ურჩიო ადამიანს, რომელიც სრული სერიოზულობით ამბობს:**

**„ოქტომბრის არჩევნებში „ნაციონალურ მოძრაობას" ბარიერის გადალახვის სერიოზული პრობლემა ექნება!"**

და ეს იმ ვითარებაში, როდესაც „ქართულ ოცნებას" „ნაციონალურმა მოძრაობამ" ახლახან 7 საარჩევნო უბნიდან 2 მოუგო, ხოლო დანარჩენ 5-ში სერიოზული პრობლემები შეუქმნა?

რა ვიცი, განა აქვს რაიმე მნიშვნელობა, ასეთ სისულელეებს ეს ადამიანი საკუთარი ინიციატივით ლაპარაკობს თუ ვინმე არწმუნებს?

კითხვა, რა თქმა უნდა, რიტორიკულია...

# 9 ოქტომბრის აჯანყება კოდური სახელწოდებით «გედების ტბა»

**2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. „ნაციონალური მოძრაობა" ირწმუნება, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდება. ჩვენმა ტრადიციულმა წყარომ შემთხვევით მოიპოვა ის გეგმა, რომელიც 9 ოქტომბერს დაიწყებს მოქმედებას.**



გეგმაში ვკითხულობთ: „2016 წლის 9 ოქტომბრიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, ქვეყანაში ნამდვილი გამოცოცხლება დაიწყება. 9 ოქტომბრის დილიდან სწრაფად მოხდება პარლამენტის უმრავლესობის დამტკიცება. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს გაუხანგრძლივდება უფლებამოსილება და სწორედ ის აღადგენს მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო სტატუსს. 9 ოქტომბრის 12 საათზე სპეცრეისით ჩამოფრინდებიან **ზურაბ ადეიშვილი, ერეკლე კოდუა, დავით კეზერაშვილი, დათა ახალაია** და **სოსო თოფურიძე.** 13:00 საათზე ოკუპირებული რეგიონების გავლით შემოსვლას გეგმავს **მეგის ქარდავა,** რომელსაც შეეგებებიან **მეგი გოცირიძე** და **ზვიად კუპრავა.** 14:00 საათზე ქვეყნის მასშტაბით გადაიკეტება ყველა შემოსასვლელი და დაიხურება ქართული საჰაერო სივრცე, სპეცრეისით მოფრინავს დევნილი და დაჩაგრული პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი.** მას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გაბადრული სახეებით და ბელას ტორტით დახვდებიან **ირინე სარიშვილი, ირაკლი წერეთელი, მაია ორჯონიკიძე და ჰელენ ხოშტარია.** 15:00 საათზე უფლებამოსილებააღდგენილი პრეზიდენტი სამების ტაძარში ღვთის სამადლოს აღავლენს და გაემგზავრება „რუსთავი 2"-ის შენობისკენ, სადაც **ნიკა გვარამია, გიორგი გაბუნია და ზაალ უდუმაშვილი** პირზე კოცნით შეეგებებიან. მზად არის „ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალური შტაბიც. უკვე წინასწარ არის შედგენილი მენიუ, რომლითაც სააკაშვილს გაუმასპინძლდებიან. „მარაზილკაში" საგანგებოდ შეინახეს ღორის თავი, რომელიც **ხათუნა გოგორიშვილმა** სოფლიდან ჩამოიტანა. „თავისუფალი ზონის" ოფისში **კობა ხაბაზი** და მისი მეკობრეები დიდი მასკარადის გამართვას გეგმავენ.

ამ დღეს საგანგებოდ თეთრ რაშზე ამხედრებულ ლიდერ **დავით ბაქრაძეს** სიმბოლურად გაახსნევინებენ საზეიმო ღონისძიებას. ამავე ღონისძიებაზე იგეგმება ლიდერობის გადაცემა, რომელსაც ბაქრაძე დევნილ პრეზიდენტს გადასცემს. აჭარაში საკრუიზო ლაინერით შემოიჭრება **ლევან ვარშალომიძე**, რომელიც მოსახლეობას მიშას დაბრუნებას პიპინით ამცნობს.

დიზაინერები უკვე მუშაობენ **შალვა ნათელაშვილის** ბაზალეთის ვილაშიც, სადაც მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე დღეს დაჰყოფს. როგორც წყარო გვატყობინებს, ნათელაშვილმა თავისი ვილა განუსაზღვრელი დროით დაუთმო დევნილ ოდესელს, თვითონ კი მთელი ოჯახით ქირით გაიხიზნა.

19:00 საათზე გაიმართება გრანდიოზული კონცერტი ბოტანიკურ ბაღში, სადაც საგანგებოდ ამ დღისთვის იმღერებენ: **ნიკა მელია, ნატა ფერაძე** და **ალეკო ელისაშვილი.**

20:00 საათზე იგეგმება საზოგადოებრივი მაუწყებლის შტურმით აღება და „ქართული ოცნების" მხარდამჭერი ყველა თანამშრომლის დემოკრატიული კინწისკვრით გამოყრა. საინფორმაციო სამსახურს კვლავ **ხათუნა ბერძენიშვილი** უხელმძღვანელებს, რომელსაც საჰაერო ბურთით მიაბრძანებენ მაუწყებლის შენობაში. დღის ბოლოს კი მიხეილ სააკაშვილი ძალოვანი უწყების წარმომადგენლებთან ერთად საპატიმრო დაწესებულებებს მოინახულებს.

ჩვენი გაოგნებული წყარო გვაცნობებს, რომ მთელ ამ ოპერაციას „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებმა და მათმა სატელიტებმა მიანიჭეს კოდური სახელწოდება **„გედების ტბა".** ეს გაკეთდა დამაგვირგვინებელი ბანკეტის აღსანიშნავად, რომელიც გაიმართება პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში, სადაც დაბრუნებულ პრეზიდენტს აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი** მუხლებზე ხოხვით მიეახლება და ნებაყოფლობით დაუთმობს უფლებამოსილებასაც და რეზიდენციასაც.

ბანკეტის ბოლოს კი სპეციალურად ამ დღისთვის დაწერილ საოპერო არიას „რუსთავი ორი — დემოკრატიის შტორი!" იმღერებს **პაატა ბურჭულაძე**, ხოლო ნიკა გვარამია ირაკლი ალასანიასა და შალვა ნათელაშვილთან ერთად ბალეტიდან „გედების ტბა" ცნობილ ცეკვას შეასრულებს.

უკვე მომზადებულია კვასკვასა წითელი ვარდები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილმა ამ ღონისძიების დასასრულს ლოჟიდან თავზე უნდა გადმოაყაროს მონაწილეებს, — გვატყობინებს ჩვენი გადარეული კორესპონდენტი.

**რევო ლუცია**

# ზაფხული ივანიშვილმა იყიდა!

**უკვე ზაფხულია, მაგრამ საქართველოში ამას ნაკლებად გრძნობს ხალხი — დიდი ხანია, ადამიანები უშედეგოდ ნატრობენ მზის სხივებს. ინფორმაცია, რომელსაც ახლა წაიკითხავთ, საიდუმლოდ შეინახეთ და არავის გაანდოთ, რადგან მისმა გამჟღავნებამ, შესაძლოა, თქვენს სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას. როგორც ჩვენს წყაროს „ნაციონალური მოძრაობის" ანონიმმა დეპუტატმა განუცხადა, საქართველოს ზაფხული ბიძინა ივანიშვილმა იყიდა.**

წყაროს ინფორმაციით, ოლიგარქმა ზაფხულის სამივე თვე საკმაოდ დიდ თანხად შეიძინა გარემოს დაცვის სამინისტროსგან და სოლოლაკში, სპეციალურ კოლბაში ინახავს. **როგორც ნასყიდობის დოკუმენტშია აღნიშნული, შეძენილია 40 გრადუსამდე ჰაერის ტემპერატურა, მზის სხივები, ჩიტების ჭიკჭიკი, ჭრიჭინის ხმა და დილის სუფთა ჰაერი.**

ამიტომაც არის ყოველი დილა წვიმიანი, ღრუბლიანი და ბნელი. მზე სოლოლაკის შუშის სასახლეშია გამოკეტილი და მიმართულია მხოლოდ ბერას ოთახებისა და ბიძინა ივანიშვილის ბაღ-ბოსტნებისკენ. აგრეთვე, ცნობილია, რომ მზის სხივების ნაწილი გადანახულია ბიზნესმენის ახალშეძენილი ტიტასთვისაც, რომელიც აკლიმატიზაციის პროცესშია და ბევრი სხივი ესაჭიროება.

ივანიშვილი მომავალი ზაფხულის რეზერვებსაც შეიძენს, რომლებსაც რუსეთს მიჰყიდის ციმბირში გადასანაწილებლად, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ ივანიშვილი რუსი ოლიგარქია, — ამბობს წყარო-დეპუტატი.

„ნაციონალური მოძრაობა" ამ ინფორმაციის გასაჯაროებას არჩევნებამდე 1 დღით ადრე გეგმავს და დარწმუნებულია, რომ 9 ოქტომბერს უკვე თავად ჩაუდგება სათავეში ხელისუფლებას.

„ჩვენი მოსვლით დავაბრუნებთ ძველ დიდებას, ზაფხულს, მცხუნვარე მზეს, ჩიტების ჭიკჭიკსა და ჭრიჭინების ხმას", — ამბობენ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები. ამასთანავე, ისინი უკვე იმასაც ეჭვობენ, რომ, შესაძლოა, ზამთარიც ივანიშვილმა შეიძინა, რადგან საახალწლოდ თბილისში არც თოვლი ყოფილა და არც — ყინვა.

„ამჯერად ვმუშაობთ იმაზე, რომ დავადგინოთ, იყიდა თუ არა ზამთარიც ივანიშვილმა. გაიხსენეთ, როგორი ამინდები იყო ამ ზამთარს. ჩვენი ინფორმაციით, თოვლისა და ყინვის ნაცვლად, ივანიშვილმა დაბალი ხარისხის მზე და ყინვა რუსეთისგან იყიდა და ამით გადაგვატარა ეს სეზონი, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ, ვამხელთ მის რუსულ გეგმებს და ერთხელ და სამუდამოდ დავუსვამთ წერტილს მის ბოგინს ამ ქვეყანაში", — ამბობენ ოპოზიციონერი პარლამენტარები.

**ონორე დე კუტატი**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არ მგონია, რომ ამ მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ ვითარება გაუმჯობესდა, რუსეთს აშკარა უპირატესობა აქვს დროსა და სივრცეში. ამჟამად ნატოს არ შეუძლია წარმატებით დაიცვას თავისი ყველაზე მოწყვლადი წევრების ტერიტორიები“, — განაცხადა კარპენტერმა აშშ-ის სენატში გამართულ მოსმენაზე.**

# «გასაკვირი ის იქნებოდა, ვერ შეგვენიშნათ!»

## როგორ «აღმოაჩინეს» ბრიტანელებმა რუსული წყალქვეშა ნავი

**„გასაკვირი იქნებოდა, ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს ვერ შეენიშნა. დღისით-მზისით წყლის ზედაპირზე მცურავი, ბუქსირზე გამობმული წყალქვეშა ნავი „სტარი ოსკოლი“, რომელიც შავი ზღვის ფლოტისკენ მიემართება“, — ნათქვამია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებაში.**

რამდენიმე დღის წინათ ბრიტანულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ გაერთიანებული სამეფოს სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებმა ჩრდილოეთის ზღვაში რუსული წყალქვეშა ნავი აღმოაჩინეს. ბრიტანელმა სამხედროებმა კი განაცხადეს, რომ რუსული წყალქვეშა ნავის აღმოჩენა მათი და ნატოელი მოკავშირეების საერთო ძალისხმევის შედეგია და სამხედრო-საზღვაო ძალები პოტენციური საფრთხეების თავიდან ასაცილებლად სადარაჯოზე დგანან.

**„რუსეთის სამხედრო უწყება გაკვირვებულია, რომ საბუქსირე გემის თანხლებით წყლის ზედაპირზე ნელა მცურავი წყალქვეშა ნავის აღმოჩენას დიდი ბრიტანეთისა და ნატოს ერთობლივი ძალისხმევა დასჭირდა“,** — ნათქვამია რფ-ის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.




# პენტაგონის წარმომადგენელი: რუსეთს შეუძლია 60 საათში გაანადგუროს ნატოს ჯარები

**„რუსეთის არმიას სულ 60 საათი ან უფრო ნაკლები დასჭირდება ბალტიისპირეთში ნატოს ჯარების წინააღმდეგობის დასაძლევად და ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის დედაქალაქების დასაკავებლად“, — წერს ამერიკული გამოცემა The Weekly Standard-ი აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანაშემწის — მაიკლ კარპენტერის სიტყვებზე დაყრდნობით.**




თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად ამერიკელ მაღალჩინოსანს, რომელიც პენტაგონში რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიის საკითხებს კურატორობს, მოჰყავს ამა წლის თებერვალში სტრატეგიული კვლევების ამერიკული ცენტრის — RAND-ის მიერ გამოქვეყნებული მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთის არმიას სამი დღე-ღამე დასჭირდება რიგაში, ვილნიუსსა და ტალინში შესასვლელად და ამაში მას ნატოს ჯარები ხელს ვერ შეუშლიან.

**„არ მგონია, რომ ამ მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ ვითარება გაუმჯობესდა, რუსეთს აშკარა უპირატესობა აქვს დროსა და სივრცეში. ამჟამად ნატოს არ შეუძლია წარმატებით დაიცვას თავისი ყველაზე მოწყვლადი წევრების ტერიტორიები“,** — განაცხადა კარპენტერმა აშშ-ის სენატში გამართულ მოსმენაზე.

აშშ-ის სამხედრო უწყების მაღალჩინოსანმა ხაზი გაუსვა რუსეთის არმიის ძლიერებას,

**დამარცხებისთვის წინასწარგანწირული რიტორიკის აზრი გამჟღავნდა მაშინ, როდესაც კარპენტერმა განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მუშაობს თავისი თავდაცვითი პოტენციალის გაძლიერებაზე აღმოსავლეთ ევროპაში და სენატორებს მოუწოდა, იქ დამატებით კიდევ 7 ბრიგადა გაგზავნონ**

მაგრამ არ უთქვამს, რატომ უნდა დაესხას თავს ის ბალტიისპირეთს. დამარცხებისთვის წინასწარგანწირული რიტორიკის აზრი გამჟღავნდა მაშინ, როდესაც კარპენტერმა განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მუშაობს თავისი თავდაცვითი პოტენციალის გაძლიერებაზე აღმოსავლეთ ევროპაში და სენატორებს მოუწოდა, იქ დამატებით კიდევ 7 ბრიგადა გაგზავნონ.

შეგახსენებთ, რომ 6 ივნისს პოლონეთში დაიწყო ნატოს ჯარების სწავლება „ანაკონდა“. ამ სწავლებაში, რომელიც ყველაზე მასშტაბურია ცივი ომის დასრულების შემდეგ, 24 ქვეყნის 31 ათასი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს.

# ატომური წყალქვეშა ნავების «მკვლელი» სირიის ცაში



**რუსული Ту-142, ატომურ წყალქვეშა ნავებზე მონადირე თვითმფრინავი, პირველად შეამჩნიეს სირიის ცაში. „ისლამური სახელმწიფოს“ მედიააქტივისტებმა ვიდეოკამერით გადაიღეს საზღვაო მონადირის ფრენა პროვინცია იდლიბის ცაზე.**

Ту-142 (ნატოს კოდიფიკაციით — Bear-F „დათვი-ეფ“) — ეს არის საბჭოთა-რუსული შორსმოქმედი წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო თვითმფრინავი, რომლის დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ატომური წყალქვეშა ნავების პოვნა და განადგურება. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ამ თვითმფრინავს ოკეანეების დასაზვერად და საძიებო-სამაშველო სამსახურის დასახმარებლად იყენებს, აგრეთვე, სტრატეგიული დანიშნულების რაკეტმზიდი წყალქვეშა ნავების აღმოსაჩენად და გასანადგურებლად. ამას გარდა, თვითმფრინავს შეუძლია ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები დაუშინოს მოწინააღმდეგის ფლოტს.

**სამხედრო ექსპერტები ვარაუდობენ, რომ Ту-142-ის გამოჩენა სირიის ცაზე დაკავშირებულია რუსეთის სამხედრო ხომალდების ახლოს ნატოს წყალქვეშა ნავების გამოჩენასთან, მეორე ვერსიით — ხმელთაშუა ზღვაში მცურავი ამერიკული ავიამზიდიდან „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებზე განხორციელებულ დარტყმებთან, რომელიც ბოლო 13 წლის განმავლობაში აშშ-ის პირველი ასეთი სამხედრო ოპერაციაა — ამერიკული ავიამზიდიდან აფრენილმა სამხედრო-საზღვაო თვითმფრინავებმა ბოლოს 2003 წელს გაუხსნეს ცეცხლი მოწინააღმდეგეს.**

წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო „დათვი“ — Ту-142 შექმნილია ლეგენდარული ბომბდამშენის — Ту-95А-ს ბაზაზე. 2015 წლის ნოემბერში რუსმა პილოტებმა Ту-95А-ს მოდიფიცირებული თვითმფრინავებით არაერთხელ მიიტანეს იერიში სირიაში ტერორისტების პოზიციებზე.

„ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებთან ბრძოლაში მონაწილეობენ რუსეთის შავი და კასპიის ზღვების ფლოტები. კასპიის ზღვის ფლოტი სირიის ნაპირებთან მორიგეობს და რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფებისთვის სხვადასხვა ტვირთი გადააქვს.

**Ту-142**, ერთი შეხედვით, თითქმის არაფრით განსხვავდება თავისი „მშობლისგან“ — ბომბდამშენ Ту-95-ისგან, მაგრამ გამოქვეყნებულ ვიდეოკადრებზე თვითმფრინავის ზედა ნაწილზე ჩანს წაგრძელება, რომელიც მხოლოდ Ту-95-ის ნავსაწინააღმდეგო მოდიფიკაციას აქვს. ამასთანავე, ფიუზელაჟის ქვეშ ჩანს ნაწილი რადიოსალოკაციო სადგურისა, რომელიც ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავებს დიდ სივრცეზე დაკვირვების საშუალებას აძლევს.

სამხედრო ექსპერტების აზრით, ვიდეოკადრებზე გამოსახულია ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავების ბოლო მოდიფიკაცია — **ТУ-142М3**, რომლის კუდშიც მოწინააღმდეგის ხომალდების აღმოსაჩენად როგორც წყლის ზედაპირზე, ასევე წყალქვეშ დამონტაჟებულია რადიოელექტრონული დაზვერვისა და ბრძოლის ანტენები.

რუსეთის შეიარაღებულ ძალებს 27 ასეთი თვითმფრინავი ჰყავს.



## ТУ-142М3-ის ტექნიკური მახასიათებლები

ამ თვითმფრინავის დანიშნულებაა მოწინააღმდეგის სტრატეგიული დანიშნულების რაკეტმზიდი წყალქვეშა კრეისერების აღმოჩენა და განადგურება მათი პატრულირების ზონებში. Ту-142-ის პირველი გაფრენა განხორციელდა 1968 წლის 18 ივნისს, სერიული წარმოება კი 1972 წელს დაიწყო, მისი მოდიფიკაციის — Ту-142М3-ის სერიული წარმოება კი — 1985 წელს.

* **Ту-142М3-ის ეკიპაჟი** შედგება 10 წევრისგან, ესენია: საჰაერო ხომალდის მეთაური, მეთაურის თანაშემწე, შტურმანი, შტურმან-ოპერატორი, შტურმან-ნავიგატორი, ბორტინჟინერი, კავშირგაბმულობის ინჟინერი, თვითმფრინავის ბოლოში განლაგებული საცეცხლე წერტილების 3 ოპერატორი.

არის, აგრეთვე, ადგილები შტურმან-ინსტრუქტორისა და ბორტინჟინერ-ინსტრუქტორებისთვის.

*** თვითმფრინავის ფრენას უზრუნველყოფს 4 ტურბოხრახნული ძრავა HK-12MN, რომელთა სიმძლავრე 15 ათასი ცხ. ძალაა.**

*** ფრთების განშლა — 50,2 მ.**

*** სიგრძე — 51,55 მ**

*** სიმაღლე — 14,7 მ**

*** მასა: მაქსიმალური ასაფრენი — 185 ტ.**

*** შეიარაღება:**

**ძებნის სისტემები: „ბერკუტის“ სისტემის რადიოჰიდრობუი, რადიოჰიდრობუი „კარშუნი“. ტორპედოები და ხომალდსაწინააღმდეგო საავიაციო რაკეტები, აგრეთვე, წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ბომბები და ნაღმები.**

**2 ქვემეხი და რადიოწინააღმდეგობის გადასალახავი საშუალებები.**

*** სიჩქარე (მაქსიმალური) — 855 კმ/სთ**

*** ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 13500 მ**

*** მოქმედების რადიუსი — 5200 კმ.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

რესტორანში კერძებს, მათ შორის, ვეგეტარიანულს, არა ელექტრო ან აირღუმელში, არამედ ცეცხლზე ამზადებენ. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ღვინო კონსერვანტების გარეშე. ჭურჭელი და ავეჯი ხელით არის დამზადებული, ინტერიერს კი ელექტრონათურების ნაცვლად სანთლები ანათებს. მსოფლიოში პირველ ნუდისტურ რესტორანში სტუმრებს შიშველი ოფიციანტები ემსახურებიან — მათ მხოლოდ ლეღვის ფოთლები აქვთ აფარებული სასქესო ორგანოებზე.

## ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები" კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს" ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ლონდონში ნუდისტური რესტორანი გაიხსნა

**ლონდონის სამხრეთში ახალგახსნილ ნუდისტურ რეატორან Bunyadi-ში შესასვლელ სიაში უკვე 40 ათასი ადამიანი ჩაეწერა.**

რესტორნის მესვეურები ამბობენ, რომ ასეთი გასტრონომიული დაწესებულება მსოფლიოში პირველია და განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სურთ, თავი „ჭეშმარიტად თავისუფლად" იგრძნონ. რესტორნის მევეურები სტუმრებს სთავაზობენ, განთავისუფლდნენ თანამედროვე ცხოვრების ატრიბუტებისგან — ტელეფონებისგან, ელექტრონათურებისგან და ტანსაცმლისგანაც კი. Bunyadi ჰინდის ენაზე ბუნებრივს ნიშნავს და „შიშველი" რესტორანი ამ სიტყვას სრულიად შეესაბამება.

რესტორანში კერძებს, მათ შორის, ვეგეტარიანულს, არა ელექტრო ან აირღუმელში, არამედ ცეცხლზე ამზადებენ. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ღვინო კონსერვანტების გარეშე. ჭურჭელი და ავეჯი ხელით არის დამზადებული, ინტერიერს კი ელექტრონათურების ნაცვლად სანთლები ანათებს. მსოფლიოში პირველ ნუდისტურ რესტორანში სტუმრებს შიშველი ოფიციანტები ემსახურებიან — მათ მხოლოდ ლეღვის ფოთლები აქვთ აფარებული სასქესო ორგანოებზე. უჩვეულო გასტრონომიული ობიექტის მორცხვმა კლიენტებმა თავი უხერხულად რომ არ იგრძნონ, მაგიდები ტიხრებითაა გამოყოფილი. ფართოდ რეკლამირებულმა ნუდისტურმა რესტორანმა სწრაფად მოიხვეჭა პოპულარობა და ახლა იქ შემსვლელთა სიაში უკვე 40 ათასამდე კაცია ჩაწერილი.







## კუნძული ცოლქმრული ღალატის მოყვარულთათვის

**გსურთ, უღალატოთ მეუღლეს? ამას მალე უპრობლემოდ მოახერხებთ — ცოლქმრული ღალატის მომხრეებს თავიანთი კუნძული ექნებათ.**

ერთ-ერთი ბრიტანული ვებგვერდი, რომელიც დაკავებულია ადამიანების ურთიერთგაცნობით, ნისლიანი ალბიონის სანაპიროსთან კუნძულის შეძენას გეგმავს. ეს იქნება საიდუმლო და უსაფრთხო ადგილი ღალატისთვის. კუნძულზე კურორტის შექმნის ორგანიზატორები პირობას დებენ, რომ კუნძულზე გართობის მსურველს ვერავინ დააბეზღებს მეუღლესთან.

კურორტს, რომელიც 2017 წელს გაიხსნება, უკვე შეურჩიეს სახელი — „უკანონო დასვენება". ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ქალაქ პორტსმუტიდან 161 კმ-ით დაშორებული კუნძულის შესაძენად.

კუნძულზე ერთკვირიანი დასვენება მსურველს 6-დან 18,5 ათას ევრომდე დაუჯდება. კურორტზე ააშენებენ საიდუმლო ოთახებს, სპასალონებსა და ლაბორატორიასაც კი, რომელშიც ახალჩასულს საფუძვლიან გამოკვლევას ჩაუტარებენ, აქვს თუ არა რომელიმე ინფექცია. კუნძულის სტუმრებს საშუალება ექნებათ, სკაიპით დაუკავშირდნენ თავიანთ ცოლებსა და ქმრებს, რათა მათ არაფერი იეჭვონ და აუხსნან, რომ „სამსახურში საქმით არიან დაკავებულნი".



## ევროპული კულტურა — შვეიცარიაში გამართული თავისუფლებისა და სხეულის ფესტივალის ამსახველი კადრები

პოსტსაბჭოთა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს, მოქალაქეთა საკმაო ნაწილს, განსაკუთრებით — ახალგაზრდებს, სურთ, ევროპელებს დაემსგავსონ. მათგან ბევრი ახლავე გაემგზავრებოდა ევროპაში სამუშაოდ ან რომელიმე პროფესიის დასაუფლებლად, მაგრამ იმისათვის, რომ ევროპელი გახდე, უნდა მიიღო ევროპული კულტურა ისეთი, როგორიც არის. ამჟამინდელი ევროპული კულტურა კი დიდწილად ისეთია, როგორიც ამ ფოტოებზეა აღბეჭდილი.

ეს არის 2015 წლის სექტემბერში შვეიცარიაში გამართული თავისუფლებისა და სხეულის ფესტივალის ამსახველი კადრები.







გრიგოლ ოনიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„მართალია, სხვა ავტორებთან შედარებით, ჩემს წიგნში უფრო მეტი ადგილი ეთმობა ი.ბ. სტალინს, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგან სხვა ხელმძღვანელი არც მყოლია. შორეულ ბომბდამშენთა დივიზიის საბრძოლო მოქმედებებთან არც გენერალურ შტაბს, არც თავდაცვის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობას, არც უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილეებს შეხება არ ჰქონიათ, ყველაფერი ხორციელდებოდა მხოლოდ სტალინის უშუალო მითითებებითა და ხელმძღვანელობით. ეს უნიკალური შემთხვევაა, ამგვარი მაგალითი არც ვიცი“.**

# სტალინი და მარშალი გოლოვანოვი

## «სიმართლისთვის მზად ვარ, დავიკისრო პასუხისმგებლობა!»

**„ა.ე. გოლოვანოვის წერილი კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ლ.ი. ბრეჟნევს და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოში — ა.ნ. კოსიგინს!**

8 აპრილი 1975 წელი.

პატივცემულო ამხანაგებო!

მალე მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავს. ყველა, ვინც იბრძოდა ამ გამარჯვების მოსაპოვებლად, შეძლებისდაგვარად ცდილობს ყოველი საბჭოთა ადამიანისთვის ამ უმნიშვნელოვანესი თარიღის აღნიშვნას.

მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომლებიც ახალგაზრდობიდანვე იარაღით იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისთვის — ვმონაწილეობდი სამოქალაქო, ხალხინ გოლის, ფინეთისა და დიდ სამამულო ომებში.

დავწერე მოგონებები დიდი სამამულო ომის ბრძოლებზე სახელწოდებით „შორეული ბომბდამშენები“, რომელიც 1969 წლიდან იბეჭდება ჟურნალ „ოქტომბერში“. ამ ხნის განმავლობაში გამოვიდა ჟურნალის 5 ნომერი, რომელიც მოიცავს 1941—42 წლების პერიოდს და მე არ ვარ დამნაშავე, რომ ჩემი მოგონებების ბეჭდვა ჯერაც არ დამთავრებულა.

გამოქვეყნებული მასალა დაედო საფუძვლად წიგნს, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა რუსეთში“ გამოსაცემად მომზადდა 1972 წელს სახელწოდებით „შორეული ბომბდამშენების დივიზიის მეთაურის ჩანაწერები“. წიგნი უნდა გამოსულიყო 1974 წელს.

1974 წლის მაისში წიგნი ჩაეშვა წარმოებაში ყველა შენიშვნისა და რეკომენდაციის გათვალისწინებით, მაგრამ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავლიტის ხელმძღვანელმა პ.კ. რომანოვმა წიგნის გამოცემა შეაჩერა, რის გამოც ვუჩივლე. 1974 წლის ოქტომბერში მიმიწვიეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებაში, სადაც გამაცნეს შენიშვნები, რომლებიც დაიწერა სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დასაწყისში, მთავლიტის მიერ წიგნის დაბრუნების შემდეგ.

დამატებით შენიშვნებში აღნიშნულია, რომ ავტორი ხაზგასმით ბევრს წერს უმაღლეს მთავარსარდალზე — მრავალრიცხოვან შეხვედრებზე ი.ბ. სტალინთან, მის მითითებებზე, შეფასებებზე, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვს ბომბდამშენთა საბრძოლო მოქმედებებთან, ხოლო მეთაურები, პოლიტმუშაკები, მფრინავები ავტორის ყურადღების მიღმა რჩებიან, აღნიშნულია მხოლოდ სტალინის გადაწყვეტილებები, რომლებითაც იჩრდილება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, სახალხო კომისარიატის, უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის როლი შორეულ ბომბდამშენთა დივიზიის შექმნის, მოქმედებისა და ხელმძღვანელობის საქმეში.

დასასრულ აღნიშნულია, რომ ა. ე. გოლოვანოვის მემუარებში შექებულია ი. ბ. სტალინის მუშაობის სტილი, შორსმჭვრეტელობა, ყურადღება ადამიანებისადმი და ა.შ. რაც მთავარია, ეს შეფასებები მეტად არაობიექტურია, რასაც მოსდევს წინადადებები წიგნიდან გარკვეული ნაწილების ამოღების, შემოკლების, შეცვლის შესახებ.

ძირითადად ასეთია დამატებითი შენიშვნების არსი, რომელსაც ვერ დავეთანხმები, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მითითებული ადგილები წიგნში საერთოდ არ არის, არც სტალინის მოქმედებებია შეფასებული; მეორეც, მკითხველებისგან მიღებული წერილები, მკითხველთა კონფერენციის, აგრეთვე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ოფიციალური შეფასებები საწინააღმდეგოს ადასტურებს.

მართალია, სხვა ავტორებთან შედარებით, ჩემს წიგნში უფრო მეტი ადგილი ეთმობა ი. ბ. სტალინს, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგან სხვა ხელმძღვანელი არც მყოლია. შორეულ ბომბდამშენთა დივიზიის საბრძოლო მოქმედებებთან არც გენერალურ შტაბს, არც თავდაცვის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობას, არც უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილეებს შეხება არ ჰქონიათ, ყველაფერი ხორციელდებოდა მხოლოდ სტალინის უშუალო მითითებებითა და ხელმძღვანელობით. ეს უნიკალური შემთხვევაა, ამგვარი მაგალითი არც ვიცი. რაც შეეხება დივიზიის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში თავდაცვის სახელმწიფო კომისარიატისა და სხვა უმაღლესი ინსტანციების როლს, ეს წიგნში სათანადოდაა აღნიშნული.

შტაბში ყოფნისას ხშირად ვიყავი თვითმხილველი და მონაწილე მრავალი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისა, რაც აღვნიშნე კიდეც ჩემს წიგნში, რადგან, როგორც ავტორს, მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი საინტერესო და მნიშვნელოვანია. რაც შეეხება სტალინის მოღვაწეობას, მისი მუშაობის სტილს, ადამიანებთან ურთიერთობას, აბსოლუტური სიმართლეა და არა უბრალო „ხოტბა-დიდება“. იმ მრავალრიცხოვანი ფაქტებიდან და ეპიზოდებიდან წიგნში მოყვანილია მხოლოდ რამდენიმე, რომლებიც ჩემთვის ცნობილია, რომლებიც ჩემს წიგნში შევიდა და გამოვაქვეყნე კიდეც ჟურნალ „ოქტომბერში“. აქამდე არავის გამოუხატავს უარყოფითი დამოკიდებულება ამ პუბლიკაციებისადმი. რაც შეეხება სიტყვა „ხოტბას“, მას აქვს გარკვეული მნიშვნელობა, რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ პიროვნებისადმი ისეთი თვისებების მიწერას, ამ პიროვნებას რომ არ ახასიათებს, არ შეესაბამება სინამდვილეს, გამოგონილია.

ჩვენმა პარტიამ შეაფასა ი. ბ. სტალინის მოღვაწეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. სამამულო ომის პერიოდში მისი როლი შეფასებულია, როგორც პოზიტიური, დადებითი. ჩემი წიგნი სწორედ ამ პერიოდს ეხება, ამიტომ, როცა იქ სტალინის როლი დადებითადაა შეფასებული, არ ნიშნავს ხოტბა-დიდებას მის მიმართ, მაგრამ დამატებითი შენიშვნების მიღების შემდეგ დავწერე წინასიტყვაობა, რომელშიც მივუთითე, რატომ დაიწერა წიგნი ასე და არა სხვანაირად.

პატივცემულო ლიონიდ ილიჩ და ალექსეი ნიკოლაევიჩ!

[illegible] თუ არა მე, როგორც მოქალაქეს, კომუნისტს უფლება, დავწერო ჩემს წიგნში განვლილ ომზე ისე, როგორც ვხედავდი, ისე, როგორც ვიცხოვრე; დავწერო ის, რაც ვნახე; დავწერო სიმართლე ჩემს ქვეყანაზე, ჩემს ხალხზე, საბჭოთა მშრომელებზე, ჯარისკაცზე; იმ სიძნელეებზე, რომლებიც მათ გადაიტანეს; ჩვენს მხედართმთავრებსა და უმაღლეს მთავარსარდალზე, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლზე, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელობაზე, რომელმაც მიგვიყვანა კიდეც კაცობრიობის უბოროტესი მტრის — ფაშიზმის და მისი წარმმართველი ძალის — ჰიტლერული გერმანიის განადგურებამდე.

გთხოვთ, აგრეთვე, მიპასუხოთ, რამდენად სწორია იმ ამხანაგების მოქმედებები, რომლებიც მაიძულებენ, გადავაკეთო უკვე დაწერილი და ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა იმ მოტივით, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა არ შეიძლება შევიდეს წიგნში, რის გამოც ფერხდება წიგნის გამოცემა მათი მითითებების განხორციელებამდე.

არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ვითარება ცნობილი და სანქცირებულია ჩვენი პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელობის მიერ.

გთხოვთ, მომცეთ საშუალება, გამოვაქვეყნო წიგნი, რომლის სიმართლეზე პასუხისმგებლობას მთლიანად ვიღებ საკუთარ თავზე.

პატივისცემით ა. ე. გოლოვანოვი“.



მარშალი ალექსანდრე გოლოვანოვი

**იმ ადამიანთა შორის, რომლებთან ერთადაც სტალინმა თავისი ცხოვრება გამოიარა გორის სემინარიის სასწავლო მერხიდან კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობის პრეზიდიუმის ტრიბუნამდე, არც ერთთან ისეთი ახლო, თბილი და მეგობრული ურთიერთობა არ ჰქონია, როგორიც ავიაციის მარშალ**

„მისი ერთგული თანამგზავრი მთელი ცხოვრების განმავლობაში, ულამაზესი და უკეთილშობილესი მეუღლე თამარა ვასილის ასული მიყვებოდა: „მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „რა საშინელება ცხოვრება!“

ეს სიტყვები მან სამჯერ გაიმეორა, მე ვკითხე:

— რა დაგემართა, რატომ ამბობ ასე? რატომ არის ცხოვრება საშინელი?

მან მიპასუხა:

— შენი ბედნიერებაც ის არის, რომ ეს არ იცი“ (ალექსეი ტიმოფეევი, მწერალი, ისტორიკოსი).

იმ ადამიანთა შორის, რომლებთანაც სტალინმა თავისი ცხოვრება გამოიარა გორის სემინარიის სასწავლო მერხიდან კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობის პრეზიდიუმის ტრიბუნამდე, არც ერთთან ისეთი ახლო, თბილი და მეგობრული ურთიერთობა არ ჰქონია, როგორიც ავიაციის მარშალ გოლოვანოვთან.

მარშალი გოლოვანოვი თავის ჩანაწერებში ხშირად აღნიშნავს, რომ კარგად იცის საქართველოს უძველესი თუ უახლესი ისტორია, რომ მას სტალინი უყვებოდა საქართველოს ისტორიას ანტიკური დროიდან დღემდე და ამაყობდა, რომ საქართველოს ჰყავდა ისეთი უძლეველი მეფეები, როგორებიც იყვნენ **ვახტანგ გორგასალი** და **დავით აღმაშენებელი, თამარი** და **ერეკლე მეორე.** გარდა იმისა, რომ მარშალმა გოლოვანოვმა, სტალინის გადმოცემით, ზედმიწევნით კარგად იცოდა საქართველოს ისტორია და მისი კულტურა, ასევე თითქმის წვრილმანებამდე იცოდა სტალინის ოჯახური გარემოცვა და ოჯახში მიმდინარე პროცესები (სვეტლანა ალილუევას სასიყვარულო თავგადასავლების ჩათვლით).

**ვიაჩესლავ მოლოტოვი** მწერალ **ფელიქს ჩუევთან** საუბრისას აღნიშნავდა: „სტალინი თავისი ბუნებით არავის ენდობოდა, თვით ღმერთსაც კი“.

მაშ, რატომ უნდა იყოს გამონაკლისი მარშალი გოლოვანოვი ან რით უნდა დაემსახურებინა მას ბელადის ასეთი ნდობა?

საკითხავი ისიც არის, როგორ უნდა მოეპოვებინა ბელადის ისეთი ნდობა არცთუ კარგი სოციალური და პოლიტიკური წარსულის მქონე ოჯახის შვილს, რომელსაც 1939 წლიდან სტალინის გარდაცვალების დღემდე, სტალინის გარდა, სხვა უფროსი და მბრძანებელი არ ჰყოლია.

სწორედ ამ კაცზე მინდა მოგითხროთ, ძვირფასო მკითხველო. მიუხედავად იმისა, რომ თხრობა გაგვიგრძელდება, დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი თქვენთვის ინტერესმოკლებული არ იქნება.

ყველაფერი ასე დაიწყო:

სამოქალაქო ავიაციის მფრინავი სამხედრო ოპერაციებშიც მონაწილეობდა (ხანხილ გოლი, თეთრ ფინელებთან ბრძოლა და სხვ.), მაგრამ ის მაინც სამოქალაქო ავიაციის წამყვან მფრინავად ითვლებოდა.

1940 წელს საახალწლოდ (თენდებოდა მძიმე 1941 წელი) მფრინავებისთვის ვახშამი მოეწყო „მფრინავთა სახლში“, შემდგომ კი — სასტუმრო „სოვეტსკაიაში“.

მფრინავები მეუღლეებთან, მეგობრებთან თუ შეყვარებულებთან ერთად მხიარულობდნენ. ერთ-ერთ მაგიდასთან სხვებთან ერთად ისხდა ულამაზესი ცოლ-ქმარი — ალექსანდრე გოლოვანოვი და მისი ცოლი, სილამაზით გამორჩეული **თამარა ვასილის ასული.** მათ მაგიდასთან ისხდნენ ავიამრეწველობის მინისტრი **ალექსი შახურინი** მეუღლითურთ, სამოქალაქო ავიაციის გენერალური ინსპექტორი **იაკობ სუშკევიჩი,** სამოქალაქო ავიაციის ფლოტის უფროსის მოადგილე **ფიოდორ კარტუშევი.**

„იაკობ სუშკევიჩი ძალიან სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა, მეც სწორედ მისკენ გამიწია გულმა და საუბარიც საინტერესო და საქმიანი გამოგვივიდა. მუსაიფი დიდხანს გაგვიგრძელდა, რის გამოც თვალი მეუღლისკენ ►

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მარშალი გოლოვანოვი თავის ჩანაწერებში ხშირად აღნიშნავს, რომ კარგად იცის საქართველოს უძველესი თუ უახლესი ისტორია, რომ მას სტალინი უყვებოდა საქართველოს ისტორიას ანტიკური დროიდან დღემდე და ამაყობდა, რომ საქართველოს ჰყავდა ისეთი უძლეველი მეფეები, როგორებიც იყვნენ ვახტანგ გორგასალი და დავით აღმაშენებელი, თამარი და ერეკლე მეორე.

**«დღეს სრულიად ნათელია, რომ აუცილებლად გვჭირდება ისეთი ავიაცია, რომელიც იმუშავებს თითქმის ყოველგვარ პირობებში, ზუსტად მიაღწევს დასახულ მიზანს, მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მივაღწევთ გამარჯვებას საომარ ოპერაციებში — გამოვიწვევთ დეზორგანიზაციას მტრის ღრმა ზურგში, მის მრეწველობაში, ტრანსპორტში, საწვავით უზრუნველყოფაში და ა.შ. რომ არაფერი ვთქვათ სადესანტო ოპერაციების განხორციელებაზე»**

◀ გავაპარე და ვიგრძენი საყვედური, მისდამი უპატივცემულობის გამოჩენის გამო, რამაც მაიძულა, ყურადღება მეუღლეზე გადამეტანა. თამარა ვასილევნასთან საუბრის შემდეგ საშუალება მომეცა, უფრო გაბედულად მოვქცეულიყავი და საქმიანი ურთიერთობა დამემყარებინა ახალგაცნობილ იაკობ სუშკევიჩთან. საუბრისას თანდათან ძალას ვიკრებდი და შამპანურის დახმარებითაც უფრო გამბედავი და თამამი ვხდებოდი. გავიდა დრო და ჩვენი საუბარი შეწყდა, — იგონებს ალექსანდრე გოლოვანოვი, — ჩავუფიქრდი, ხომ არაფერი წამოვროშე ისეთი, რომ საქმიანი საუბარი დუმილში გადაიყვანა. თითქოს არაფერი უნდა შემშლოდა. ვაანალიზებდი ჩემს საუბარს იაკობ სუშკევიჩთან. ცოტა ხნის შემდეგ წამოვიწიე, ბოდიში მოვუხადე თანამოსაუბრეს, ამდენ ხანს რომ მოვაცდინე და წასვლა დავაპირე, რომ მან თავი ასწია, თვალებში შემომხედა და მითხრა:

— ოდესმე გიფიქრიათ ჩვენი ავიაციის ბრძოლისუნარიანობაზე ხალხინ გოლზე ან ფინელებთან ბრძოლების დროს?

— ღმერთო ჩემო, ნუთუ არსებობს ადამიანი, რომელიც ახალი წლის წინა ღამესაც ფიქრობს ბრძოლისუნარიანობის საკითხებზე?! — გავიფიქრე მე.

— ნუთუ თქვენ, ამხანაგო გოლოვანოვ, ასე წვრილმანებამდე იცით საფრენოსნო და საბრძოლო საქმეები?! და თქვენ ფიქრობთ, შემოუფრინოთ დედამიწის სფეროს? თქვენთან საუბარი ძალზე საინტერესო იქნება. გადავდოთ ცეკვები და ვისაუბროთ საქმეზე, სწორედ აქ, ახლავე, — მტკიცედ მომმართა სუშკევიჩმა.

ჩემი მეუღლის მიმართულებით გავიხედე. ის უკვე ადგილზე აღარ იყო, ალბათ, მეგობრებთან ერთად ცეკვავდა, მეც თავისუფლად დავიწყე საუბარი".

ორმა მფრინავმა სიღრმისეულად განიხილა საფრენოსნო საქმე, ავიაციის დაბალი ბრძოლისუნარიანობა და მისი გამოსწორების გზები და მეთოდები.

იაკობ სუშკევიჩი ალექსანდრე გოლოვანოვთან ბევრ ისეთ საკითხს იხილავდა, რომლებთანაც გოლოვანოვს, როგორც სამოქალაქო ავიაციის მფრინავს, წესით, შეხება არ უნდა ჰქონოდა, ამიტომ ის უფრო დუმდა, ვიდრე პასუხობდა. ბოლოს კი დუმილი დაარღვია და გაბედულად ჰკითხა:

„— იაკობ ვლადიმერის ძევ, იმ საკითხებთან, რომლებზეც მელაპარაკებით, რა შეხება მაქვს, მე ხომ სამოქალაქო ავიაციის შეფ-პილოტი ვარ და სხვა არაფერი?

— თქვენ, ამხანაგო გოლოვანოვ, გევალებათ, წერილი დაწეროთ სტალინის სახელზე.



მარშალი გოლოვანოვი

— სტალინის სახელზე?! — ვიფიქრე, მომესმა-მეთქი.

— დიახ, მის სახელზე, — მშვიდად მომმართა იაკობ სუშკევიჩმა.

— და რა უნდა დავწერო სტალინის სახელზე?

— ყველაფერი, რაც მე მომიყევით.

— თქვენ რატომ არ სწერთ ამის შესახებ, თქვენ ხომ საჰაერო თავდაცვის გენერალური ინსპექტორი ხართ, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და უდიდესი ავტორიტეტი, რომელსაც მხრებზე გაწევთ ესპანეთი და ხალხინ გოლი?"

პაუზის შემდეგ იაკობ სუშკევიჩმა ასე უპასუხა მფრინავს:

„— მე არ მაქვს, ამხანაგო გოლოვანოვ, ისეთი მდგომარეობა, რომ წერილი მივწერო სტალინს და საეჭვოა, მას ჩემს წერილზე რეაგირება ჰქონდეს. რაც შეგეხებათ თქვენ, ტყუილად ფიქრობთ, რომ არავინ გიცნობთ. თქვენი გაბედული ფრენების საქმის კურსში არიან **სტალინი, გრიგორი კულიკი და ლევ მეხლისი.** ასე რომ, სტალინისადმი მიწერილი თქვენი წერილი დიდი ყურადღების ქვეშ მოექცევა.

ცეკვების შემდეგ ჩვენი საუბარი შეზარხოშებული სუფრის წევრების გამოჩენამ შეწყვიტა. ჩემმა მეუღლემ საცეკვაოდ გამიწვია, ცოტა ხნის შემდეგ კი შენიშვნა მომცა, ჩემთან ასე არასოდეს გიცეკვია, ისე მოუქნელად იქცევი, ფეხზეც კი დამაბიჯეო.

რა იცოდა თამარა ვასილევნამ, რა განცდებსა და ფიქრებში ვიყავი, ჰაერში ვფრენდი თუ მასთან ტანგოს ვცეკვავდი.

ვახშამიც დამთავრდა. წასვლის წინ ჩემთან კვლავ მოვიდა იაკობ ვლადიმიროვიჩი და მითხრა:

— მაშ ასე, ამაღამ წერილს დაწერთ და ხვალ მე გადმომცემთ!

გვიან საღამოს საწერ მაგიდას მივუჯექი, მაგრამ აზრი და სიტყვა ერთმანეთს ვერ მივაბი. მთელი ღამე არ მძინებია. უხალისოდ და ნერვიულობაში გავატარე მეორე დღეც, თითქოს ყველა ჩემი ჩანაფიქრი ქარს გაჰყვა და გონებაში არაფერი დარჩენილა. სტალინის სახელის შიშმა თუ დიდმა პასუხისმგებლობამ სრულიად გამთიშა. მეორე საღამოს ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. იაკობ სუშკევიჩი რეკავდა.

— არის თუ არა წერილი მზად და, თუ არ არის, როდის იქნება? — მკაცრად მომმართა სუშკევიჩმა.

თავშეკავებულად ვუთხარი, წერილი ხვალ იქნება მზად-მეთქი.

— მითხარით თქვენი მისამართი, ხვალ თვითონ მოვალ წერილის წასაღებად.

ყურმილი დავკიდე და მწარედ შევაგინე ჩემს თავს, რომ კატეგორიული უარი არ განვაცხადე წერილის დაწერაზე. ან რა უნდა დამეწერა, ან რა უნდა გამეკეთებია? ის, რასაც ვამბობდი, ჩემი ემოცია და სურვილები იყო და ხომ შეიძლებოდა არარეალური ყოფილიყო? და ეს ყველაფერი სტალინისთვის უნდა მიმეწერა?

გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ მიცემული სიტყვის გატეხა არ მჩვეოდა. ყველაფერი ვიფიქრე, ცუდით დაწყებული, კარგით დამთავრებული. ბოლოს კი გადავწყვიტე, შემესრულებინა დავალება.

ავიღე ფურცელი და კალამი, დავჯექი საწერ მაგიდასთან და გაბედულად, ჩემს თავში დარწმუნებულმა დავწერე სიტყვები: „ამხანაგ სტალინს!"

დიდხან ვუყურე წერილის სათაურს, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ დავამატე. ათასგვარ სიტყვას ვარჩევდი ქაღალდზე გადასატანად, მაგრამ აზრს თავი ვერა და ვერ მოვუყარე.

ჩემი წვალება შეწყვიტა ტელეფონის ზარმა. ყურმილში გაისმა ბრძანება:

— ხვალ დილით უნდა გაფრინდეთ ურუმჩიში, დასავლეთ სინძიანში. უნდა წაიყვანოთ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ავიაციის ასოციაცის ახალდანიშნული თავმჯდომარე ა.ს გოლოვანოვი. იჩქარეთ, დრო ძალიან ცოტაა.

უკან დასახევი გზა აღარ დამრჩა. უცბად საიდანღაც უჩინარი ძალა ვიგრძენი, წერილი ერთი ამოსუნთქვით დავწერე, კონვერტში მოვათავსე და საწერ მაგიდაზე დავდე. მეუღლე გავაფრთხილე, თუ მოვლენ წასაღებად, წერილი მაგიდაზეა-მეთქი. ავიღე ჩემი ხელბარგი, რომელიც ყოველთვის გამზადებული მქონდა და სასწრაფოდ აეროდრომისკენ გავემგზავრე.

მეორე დღეს წერილს იაკობ სუშკევიჩმა მიაკითხა. აი რა მისწერა ალექსანდრე გოლოვანოვმა სტალინს:

„ამხანაგო სტალინ!

ომმა ევროპაში აჩვენა, რა დიდი როლის შესრულება შეუძლია ავიაციას, თუ მას გონივრულად გამოიყენებენ. ინგლისელები შეუცდომლად დაფრინავენ ბერლინის, კელნისა და სხვა მიმართულებით, დაუბრკოლებლად აღწევენ მიზანს ამინდისა და დროის მიუხედავად.

ფინეთის ომის დასაწყისში მე წამოვაყენე იდეა მტრის ღრმა ზურგში ფრენისა რადიონავიგაციის გამოყენებით, რომელიც ბომბდამშენების მიყვანისა საჭირო ფურცლების გავრცელების საშუალებას მოგვცემდა საჭირო ობიექტებთან. ეს იდეა გაგაცნეს თქვენ და მოწონების შემდეგ შევუდექით მის განხორციელებას. ჩვენ ყოველგვარი შეიარაღებისა და თანხლების გარეშე დავფრინავდით „დუგლასით", დავფრინავდით მხოლოდ ცუდი მეტეოპირობების დროს და მხოლოდ რადიონავიგაციის გამოყენებით.

ბევრი გაფრენა შევასრულეთ ფინელების ზურგში, თითქმის ბოტნიის ყურემდე. როგორც დღე, ისე ღამე, გადაგვქონდა მრავალი ტონა ფურცელი და გადაგვყავდა დესანტი ზუსტად მითითებულ ადგილას, რაც კარგად ადასტურებს რადიონავიგაციის ეფექტიანობასა და მნიშვნელობას.

ამხ. ჟდანოვთან შეხვედრისას, დავაყენე ჩვენთვის ბომბდამშენების გადმოცემის საკითხი. ამხ. ჟდანოვმა დაავალა განეხილათ ეს საკითხი, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს, ამიტომ ამოცანის მეორე ნაწილი შეუსრულებელი დარჩა.

დღეს სრულიად ნათელია, რომ აუცილებლად გვჭირდება ისეთი ავიაცია, რომელიც იმუშავებს თითქმის ყოველგვარ პირობებში, ზუსტად მიაღწევს დასახულ მიზანს მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მივაღწევთ გამარჯვებას საომარ ოპერაციებში — გამოვიწვევთ დეზორგანიზაციას მტრის ღრმა ზურგში, მის მრეწველობაში, ტრანსპორტში, საწვავით უზრუნველყოფაში და ა.შ. რომ არაფერი ვთქვათ სადესანტო ოპერაციების განხორციელებაზე.

რადგან მაქვს ცოდნა და გამოცდილება ამ საკითხებში, შემიძლია ორგანიზება 100-150 თვითმფრინავის თანამედროვე ავიაციის მოთხოვნების შესატყვისი გაერთიანებისა 100-150 თვითმფრინავით, რომლებიც ტოლს არ დაუდებს ინგლისელებისა და გერმანელების ავიაციას და ბოლოს — იქნება ბაზა ჩვენი სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის კადრების მომზადებისა და თვითმფრინავების რაოდენობის გაზრდის მხრივ.

მესმის, რომ ეს ძალიან საპასუხისმგებლო და სერიოზული საქმეა და ყველაფრის გათვალისწინების შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ, თუ დამეხმარებიან, შემიძლია ასეთი გაერთიანების შექმნა. ამიტომაც გადავწყვიტე, მოგმართოთ თქვენ, ამხანაგო სტალინ!

მფრინავი გოლოვანოვი

სამუშაო ადგილი — „აეროფლოტი". განსაკუთრებული დანიშნულების ესკადრილია".

**გაგრძელება იქნება**

**ავიღე ფურცელი და კალამი, დავჯექი საწერ მაგიდასთან და გაბედულად, ჩემს თავში დარწმუნებულმა დავწერე სიტყვები: «ამხანაგ სტალინს!» დიდხან ვუყურე წერილის სათაურს, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ დავამატე**




## ყურადღება!

„ბიბლუსისა" და „ლიბრას" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი", „რუსთაველი", „თავისუფლების მოედანი" შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი", რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყოფილი სენატორი ბარი გოლდუოტერი თავის წიგნში „ბოდიშის გარეშე“ წერს, რომ ორგანიზაცია „სამმხრივი კომისიის“ მოღვაწეობა არის მცდელობა, „გააერთიანოს ძალაუფლების 4 ცენტრი: პოლიტიკური, ფულადი, ინტელექტუალური და სულიერი, მიზანი კი არის შექმნა მსოფლიოს ეკონომიკური ძალისა, რომელიც უნდა აღემატებოდეს პოლიტიკური მთავრობების ძალაუფლებას“.**

# «მსოფლიოს მთავრობა» ხუთი გავლენიანი საიდუმლო ორგანიზაცია



**მსოფლიო წესრიგის დაგეგმვასა და ორგანიზებას ხშირად მიაწერენ დახურულ ორგანიზაციებს, რომლებშიც ჩართულნი არიან მსოფლიოს ელიტის წარმომადგენლები. სააგენტო Sputnik-მა 5 ყველაზე ცნობილი საიდუმლო ორგანიზაციის სია გამოაქვეყნა.**




## ბილდერბერგის კლუბი

ბილდერბერგის კლუბის ყოველწლიურ სხდომებზე, რომლებშიც ძლიერნი ამა ქვეყნისანი მონაწილეობენ, არ იწერება ოქმები და არ დაიშვებიან ჟურნალისტები. კონფერენციაზე დასწრება მხოლოდ პირადი მოწვევით შეიძლება, სხდომაზე გამართული დისკუსიების შინაარსის გასაჯაროება კი აკრძალულია. ბილდერბერგის კლუბის მორიგი, 64-ე სხდომა გაიმართა 9-12 ივნისს დრეზდენში (გერმანია) სასტუმრო Tashenbergpalais-ში. მასში მონაწილეობდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი **კრისტინ ლაგარდი,** აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი **ჰენრი კისინჯერი,** აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორი **დევიდ პეტრეუსი,** ევროპაში ნატოს გაერთიანებული ჯარების ყოფილი სარდალი **ფილიპ ბრიდლავი** და ბრიტანეთის დაზვერვა MI-6-ის ყოფილი შეფი **ჯონ სოერსი.**

საერთოდ კი, ბილდერბერგის კლუბის წევრია 130 კაცი, მათ შორის, **მორგანების, როკფელერებისა** და **როტშილდების** დინასტიის წარმომადგენლები, ყოფილი და მოქმედი პრემიერმინისტრები, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთისა და ნიდერლანდების მონარქები, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნები და მეგაკორპორაციების პრეზიდენტები.

ამ კლებას მიაწერენ **რიჩარდ ნიქსონის** (1974 წ.) და მარგარეტ ტეტჩერის გადადგომის (1990), იუგოსლავიის კონფლიქტში ჩარევისა და ერაყში აშშ-ის შეჭრის ორგანიზებას.

## ბოჰემური კლუბი

ყოველ ივლისს, 1899 წლიდან დაწყებული, კალიფორნიაში ელიტურ დასასვენებელ ადგილს — „ბოჰემურ ჭალას“ სტუმრობენ მხოლოდ მამაკაცები — დახურული „ბოჰემის კლუბის“ წევრები.

კლუბის დევიზია: „ობობები, რომლებიც ქსელს ქსოვენ, აქ არ მოდიან“.

ბოჰემური ჭალის ტერიტორიაზე შექმნილია „ბანაკები“ იმის მიხედვით, რომელი სფეროს წარმომადგენლებმა უნდა იცხოვრონ იქ. არის 2000 კაცზე გათვლილი ამფითეატრი, რომლის სცენაზეც იმართება თეატრალური წარმოდგენები. ბოჰემური ჭალის სიმბოლო არის ბუ — ცემენტის 9-მეტრიანი სკულპტურა, რომელთანაც ტარდება სხვადასხვა რიტუალი. იქვეა კათოლიკე წმინდანის — **იან ნეპომუცკის** სტატუა, რომელიც კლუბის მფარველად ითვლება. ლეგენდის თანახმად, მან ჩეხეთის მეფეს — ვაცლავ IV არ გაუმხილა აღსარების საიდუმლო დედოფლისა, რომლის მოძღვარიც იყო და ამისათვის აწამეს. ბოჰემური კლუბის წევრები არიან მაღალჩინოსანი პოლიტიკოსები (აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტები), ხელოვნების მუშაკები და მედიასაშუალებების მფლობელები.

ეს ორგანიზაცია ცნობილია ე.წ. მანჰეტენის პროექტით, რომელიც 1942 წელს შეიმუშავეს და რომლის შედეგადაც შეიქმნა ატომური ბომბი.

„ბოჰემური კლუბის“ წევრი იყო ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი **ერნესტ ლოურენსი.** ცნობილია, რომ ამ კლუბს ხშირად სტუმრობდნენ აშშ-ის პრეზიდენტები: **ჯორჯ ბუში** (უმცროსი), **ბილ კლინტონი, რონალდ რეიგანი, ჯიმი კარტერი, ჯერალდ ფორდი, რიჩარდ ნიქსონი, დუაიტ ეიზენჰაუერი** და **თეოდორ რუზველტი;** აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი **დიკ ჩეინი,** აშშ-ის თავდაცვის ყოფილი მინისტრი **დონალდ რამსფელდი,** აშშ-ის ფედერალური სარეზერვო ფონდის ყოფილი თავმჯდომარე **ალან გრინსპენი,** ჰარვარდის უნივერსიტეტის, „სტანდარტ ოილისა“ და „ჯენერალ ელექტრიკის“პრეზიდენტები; მსახიობები: **არნოლდ შვარცენეგერი, კლინტ ისტვუდი;** მილიარდერები: **დევიდ** და **ნელსონ როკფელერები** და სხვ.




## საერთაშორისო ურთიერთობების საბჭო

ეს კერძო ამერიკული ორგანიზაცია საერთაშორისო პოლიტიკური საკითხების კვლევითაა დაკავებული და 2 თვეში ერთხელ გამოსცემს ჟურნალ Forign Affairs-ს.

საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს, რომელიც 1921 წელს შეიქმნა, აშშ-ის ყველაზე გავლენიან გონებრივ ცენტრს უწოდებენ, ზოგჯერ მას მსოფლიოს მთავრობის შექმნაშიც ადანაშაულებენ.

საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს წევრია 4900 ადამიანი, 2003 წლიდან ხელმძღვანეოლობს **რიჩარდ ჰაასი.**

ოფისი მდებარეობს ნიუ იორკში.

ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ და არიან: **დევიდ როკფელერი, ჰენრი კისინჯერი, ზბიგნევ ბჟეზინსკი** (აშშ-ის პრეზიდენტის — ჯიმი კარტერის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში), **მადლენ ოლბრაიტი** (აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი), **კოლინ პაუელი** (აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი), **ჯეიმს ვულფერსონი** (მსოფლიოს ბანკის ყოფილი პრეზიდენტი), **ჯორჯ სოროსი** (ფინანსისტი), **კონდოლიზა რაისი** (აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი) და სხვ. ამ ორგანიზაციაში ამუშავებენ ეკონომიკისა და ფინანსების გლობალიზაციის გეგმებს, ანუ მსოფლიოს რომელ კუთხეში უნდა იყოს კეთილდღეობა, რომელში — სიღატაკე.







## სამმხრივი კომისია

ეს ორგანიზაცია 1973 წელს ნიუ იორკში შექმნა ამერიკელმა ფინანსისტმა **დევიდ როკფელერმა.** სამმხრივი კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთი ევროპისა და აზიის (სამხრეთი კორეა და იაპონია) პოლიტიკური, საქმიანი და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. მიზანი: „საერთაშორისო სისტემაში საერთო ლიდერული ვალდებულებების მქონე მსოფლიოს საკვანძო რეგიონებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის ხელის შეწყობა“.

ყოფილი სენატორი **ბარი გოლდუოტერი** კი თავის წიგნში „ბოდიშის გარეშე“ წერს, რომ ორგანიზაცია „სამმხრივი კომისიის“ მოღვაწეობა არის მცდელობა, „გააერთიანოს ძალაუფლების 4 ცენტრი: პოლიტიკური, ფულადი, ინტელექტუალური და სულიერი; მიზანი კი არის მსოფლიოს ეკონომიკური ძალის შექმნა, რომელიც უნდა აღემატებოდეს პოლიტიკური მთავრობების ძალაუფლებას“.

სამმხრივი კომისიის პრეზიდენტია **დევიდ როკფელერი,** აღმასრულებელი დირექტორი — **ზბიგნევ ბჟეზინსკი.** ორგანიზაციის წევრები არიან პრეზიდენტები, ელჩები, უოლ-სტრიტელი ინვესტორები, ბანკირები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფონდების ხელმძღვანელები, ნატოსა და პენტაგონის მაღალჩინოსნები, ცნობილი პროფესორები, სენატორები და კონგრესმენები.



## კომერციული ენერგეტიკის საკითხების სამუშაო ჯგუფი

Commercial Energi Working Group-ი აშშ-ში გავლენიანი ლობისტური ჯგუფია. ამ ჯგუფის შესახებ არ არსებობს ზუსტი ცნობები — არ აქვს არც ვებგვერდი და არც აკაუნტი სოციალურ ქსელებში.

როგორც ჟურნალისტებმა გაარკვიეს, ჯგუფი მოქმედებს ვაშინგტონში დაარსებული იურიდიული ფირმა Sutherland Asbill & Brenan-ის სახელით.

**Sputniknews.com**

**„ბოჰემური კლუბის“ წევრი იყო ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ერნესტ ლოურენსი. ცნობილია, რომ ამ კლუბს ხშირად სტუმრობდნენ აშშ-ის პრეზიდენტები: ჯორჯ ბუში (უმცროსი), ბილ კლინტონი, რონალდ რეიგანი, ჯიმი კარტერი, ჯერალდ ფორდი, რიჩარდ ნიქსონი, დუაიტ ეიზენჰაუერი და თეოდორ რუზველტი, აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი დიკ ჩეინი, აშშ-ის თავდაცვის ყოფილი მინისტრი დონალდ რამსფელდი, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო ფონდის ყოფილი თავმჯდომარე ალან გრინსპენი, ჰარვარდის უნივერსიტეტის, „სტანდარტ ოილისა“ და „ჯენერალ ელექტრიკის“ პრეზიდენტები; მსახიობები: არნოლდ შვარცენეგერი, კლინტ ისტვუდი; მილიარდერები: დევიდ და ნელსონ როკფელერები და სხვ.**

**P.S. სააგენტო „სპუტნიკის“ წერილის გარდა, მასალაში გამოყენებულია ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალებიც.**

**P.P.S. სააგენტო „სპუტნიკის“ წერილში მოხსენიებული 5 კლუბის გარდა, მსოფლიოს წესრიგის დაგეგმვასა და ორგანიზებას მიაწერენ, აგრეთვე, „300-თა კომიტეტსა“ და იელის უნივერსიტეტის კლუბს „თავის ქალასა და ძვლებს“. ამ ორგანიზაციების ფასადების უკან დგას ვიღაცის პატივმოყვარეობა, ფანტაზია და, რა თქმა უნდა, ფულისა და ძალაუფლების მოხვეჭის სურვილი.**

მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა მდიდარი უცხოელების ქონება ისეთი ოფშორული თავშესაფრებიდან, როგორიც არის ბაჰამის კუნძულები, გადადის როტშილდის მიერ მართულ კომპანიებში — ნევადაში, სადაც, ბაჰამის კუნძულებისგან განსხვავებით, არ ვრცელდება ახალი საერთაშორისო მოთხოვნა ინფორმაციის გამჟღავრების შესახებ.**

# Mossack Fonseca: ნაცისტები, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, კავშირი ნევადასთან... და რატომ დადგა როტშილდის რიგი

**„პანამის დოკუმენტებში“ ფირმა Mossack Fonseca-ს კლიენტების მოხსენიების გამო მასმედიაში ატეხილი აჟიოტაჟის მიუხედავად, ეს არ არის ისტორია, რომელშიც სუპერმდიდრებმა ყველაფერი ილონეს, როგორც კანონიერად, ისე უკანონოდ, რათა თავიდან აეცილებინათ გადასახადების გადახდა, შეენარჩუნებინათ ფინანსური ანონიმურობა და, საერთოდ, ქონება. ბოლოს და ბოლოს, ეს ის არის, რასაც ისინი აკეთებენ, და არ უნდა გვიკვირდეს, რომ ყოველთვის ასე მოიქცევიან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჟურნალისტური გამოძიების საერთაშორისო კონსორციუმმა (უგსკ) გამოაქვეყნა (2015 წელს) ბანკ HSBC-ს (მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი საფინანსო კონგლომერატი. შტაბ-ბინა აქვს ლონდონში) სია 100 ათასი კლიენტისა, რომლებიც „კეთილსინდისიერად“ ართმევენ თავს გადასახადებს.**

სინამდვილეში, **„პანამის დოკუმენტები“ — ეს არის მღვრიე ისტორია გადასახადებისგან თავის არიდების ოფშორულ თავშესაფრებზე, რომლებშიც, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ცენტრალური ბანკების მონაცემებით, 21-დან 23 ტრილიონ დოლარს მალავენ და დარეგისტრირებული სუპერმდიდრების უფლებამოსილი პირები, ყალბი ფირმების მეშვეობით, ფულის „გათეთრებისა“ და ციფრებს უკვალოდ გაქრობის საშუალებას აძლევენ მათ.**

ვებგვერდი Fusion-ი საინტერესო მასალას აქვეყნებს პანამური საადვოკატო ფირმა Mossack Fonseca-ს დამფუძნებლებისა და კომპანიის მოღვაწეობის საკვანძო მომენტებზე. კომპანიის დამფუძნებელთა შორის არიან **ნაცისტები, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლები, მექსიკელი ნარკობარონები და სხვ.**

თავდაპირველად — **ნაცისტებისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კავშირზე:**

გერმანელი **იურგენ მოსაკის** ოჯახი პანამაში 1960-იან წლებში ჩავიდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მისი მამა ნაცისტური პარტიის „ვაფენ ეს-ეს-“ში მსახურობდა, აშშ-ის არმიის დაზვერვის დოკუმენტების თანახმად, რომლებიც ხელში ჩაიგდო უგსკმა, **პანამაში ჩასული უფროსი მოსაკი დათანხმდა, კუბაზე წასულიყო, იქაური კომუნისტებისთვის თვალყური ედევნებინა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სასარგებლოდ ეჯაშუშა** (ფირმა Mossack Fonseca-მ განაცხადა, რომ „არ უპასუხებს შეკითხვებს კერძო ინფორმაციის შესახებ, რომელიც დაკავშირებული იქნება კომპანიის დამფუძნებლებთან).

აი მექსიკელი ნარკობარონის — **რაფაელ კარო კინტეროს** კავშირი აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოსთან.

2005 წელს იურგენ მოსაკმა ელექტრონული წერილების შინაარსის გაცნობის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ის მითითებულია, როგორც დირექტორი კომპანიისა, რომელსაც აკონტროლებს მექსიკელი ნარკობარონი რაფაელ კარო კინტერო.

კარტელ „გვადალახარას“ თანადამფუძნებელი მექსიკაში 1985 წელს გაასამართლეს აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს აგენტის — **ენრიკე „კიკი“ კამარენის** მკვლელობისთვის (კინტერო 2013 წელს გამოვიდა ციხიდან და დღესაც ძებნილად ითვლება აშშ-ში).

„პაბლო ესკობარი ანგელოზი იყო რ. კარო კინტეროსთან შედარებით! მე არ მინდა იმ ადამიანებს შორის ვიყო, რომლებსაც ის მოინახულებს საპყრობილიდან გამოსვლის შემდეგ“, — დაწერა იურგენ მოსაკმა, როდესაც ბანას ციხიდან გამოსვლის ამბავი შეიტყო.

ახლა კი — **ნევადის შტატზე:**

2013 წელს არგენტინელი პროკურორის მოხსენებით ბარათში ლაპარაკი იყო ნევადაში რეგისტრირებულ ცრუ ფირმებზე, რომლებიც Mossack Fonseca-სთან ერთად დიდ კორუფციულ სკანდალში გაეხვია. როდესაც ამ ფირმებმა ნევადის ფედერალური სამმართველოს ყურადღება მიიპყრო, Mossack Fonseca-ს თანამშრომლები შეეცადნენ, გაენადგურებინათ დოკუმენტები, კომპიუტერული ფაილები და ზარების ჟურნალები ლას ვეგასის ოფისში. Mossack Fonseca-მ განაცხადა, რომ კატეგორიულად უარყოფს დოკუმენტების დამალვასა და განადგურებას, იურგენ მოსაკმა კი 2015 წელს სასამართლოს განუცხადა, რომ მის ფირმას კავშირი არ აქვს MF Nevada-სთან, მას არ აკონტროლებს და, საერთოდ, „ნევადაში არასოდეს ჰქონია ოფისი“. მაგრამ ჟურნალისტური გამოძიების საერთაშორისო კონსორციუმის გამოძიების შედეგების მიხედვით, ფირმის დოკუმენტები საწინააღმდეგოს ამტკიცებს და მოწმობს, რომ ფირმის პანამა-სიტიში მდებარე შტაბ-ბინა აკონტროლებდა MF Nevada-ს საბანკო ანგარიშებს, და რომ ფირმის თანადამფუძნებლებისა და კომპანიის ერთ თანამშრომელს MF Nevada-ს წილის 100% ეკუთვნოდათ.

და **რატომ არის ნევადა ასე მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ „ბლუმბერგის“ ცოტა ხნისწინანდელი გამოძიების შედეგების მიხედვით, „გადასახადების თავიდან ასარიდებელ თავშესაფრებს შორის უპირატესობას ანიჭებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს“. ასეთია, კონკრეტულად, რამდენიმე შტატი — ნევადა, ვაიომინგი და სამხრეთი დაკოტა.**




სხვა ქვეყნების მრავალწლიანი კრიტიკის შემდეგ, რომ ისინი მდიდარ ამერიკელებს ოფშორულ ზონებში ფულის დამალვაში ეხმარებიან, აშშ თვითონ იქცა მდიდარი უცხოელების კონფიდენციალურ თავშესაფრად — ეწინააღმდეგება რა ინფორმაციის გასაჯაროების გლობალურ სტანდარტებს, აშშ უცხოელთა ქონების დამალვის საყვარელი ადგილია.

ყველა, დაწყებული ლონდონელი ადვოკატებითა და დასრულებული შვეიცარიული სატრასტო კომპანიებით, უერთდება ამ სარფიან საქმეს და ეხმარება მსოფლიოს ყველა მდიდარ ადამიანს, გადაიტანოს თავისი ანგარიშები ბაჰამისა და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებიდან ნევადაში, ვაიომინგსა და სამხრეთ დაკოტაში.

**„როგორი ირონიაა, არა, როგორი უზნეობაა, რომ აშშ, რომელიც ასე ფარისევლურად მსჯელობდა შვეიცარიულ ბანკებზე, საბანკო საიდუმლოებების ახლო იურისდიქციის ტერიტორიად იქცა“. გესმით შესრუტვის ხმამაღალი ბგერები? ეს არის ხმა იმ ფულისა, რომელიც აშშ-ში მიედინება“,** — დაწერა ციურიხის საადვოკატო ფირმა Anaford AC-ის ადვოკატმა **პიტერ ა. კოტორსეანუმ** ერთ-ერთ ჟურნალში.

ეს ფული აშშ-ში მიედინება ერთი უბრალო მიზეზის გამო: **უცხოურ და ადგილობრივ ბინძურ ფულს მიესალმებიან აშშ-ში. ეს ფული დაცულია ყველაზე გაუმჭვირვალე საგადასახადო საიდუმლოებით პლანეტაზე. დღეს აშშ არის ახალი შვეიცარია თუ ბაჰამის კუნძულები ან, თუნდაც, პანამა. უფრო მეტიც — ახლა უკვე, როდესაც აშშ-ში მიიღეს კანონი უცხოური ანგარიშებიდან გადასახადების ამოღების შესახებ, ამერიკელთათვის ოფშორულ საგადასახადო ოაზისებში ბინძური ფულის დაბანდება აზრს კარგავს.**




ჟენევაში მოქმედმა **CISA TRUST CO. SA**-მაც, რომელიც მდიდარ სამხრეთამერიკელებს უწევს კონსულტაციებს, მოამზადა დოკუმენტები სამხრეთ დაკოტის შტატის ქალაქ პირში ოფისის გასახსნელად. ოფშორული მომსახურების სფეროს მსოფლიოში უდიდესმა კომპანია **TRIDENT TRUST CO**-მ კი შვეიცარიიდან, კაიმანის კუნძულებიდან და სხვა ადგილებიდან ათეულობით ანგარიში გადაიტანა სამხრეთ დაკოტის შტატის ქალაქ სუფოლსში.

აღსანიშნავია, რომ **არის ერთი კონკრეტული ფირმა, რომელიც აშშ-ის პანამად გადაქცევის ინიციატორია — „როტშილდი“. ამ ძველმა ევროპულმა საფინანსო ორგანიზაციამ სატრასტო კომპანია გახსნა ნევადის შტატის ქალაქ რენოში, კაზინო HARRAH'S-სა და ELDORADO-დან რამდენიმე კვარტლის მოშორებით.** და ახლა მდიდარი უცხოელების ქონება ისეთი ოფშორული თავშესაფრებიდან, როგორიც არის ბაჰამის კუნძულები, გადადის როტშილდის მიერ მართულ კომპანიებში — ნევადაში, სადაც, ბაჰამის კუნძულებისგან განსხვავებით, არ ვრცელდება ახალი საერთაშორისო მოთხოვნა ინფორმაციის გამჟღავრების შესახებ.

Mossack Fonseca შეიძლება უკვე ისტორიის კუთვნილებაა, მისი კლიენტები კი — მხილებულნი, მაგრამ ამით ყველაზე მეტად, ალბათ, როტშილდია გახარებული, რადგან Mossack Fonseca-ს ადგილს იკავებს.

**შეთქმულების თეორიის ბევრი მომხრე, ალბათ, იმასაც იფიქრებს, რომ პანამის ოფშორული ინდუსტრიის თავიდან მოცილება მიზანმიმართულად დარტყმა იყო „საგადასახადო თავშესაფრების“ სფეროში მომსახურების ადგილობრივი მიმწოდებლების კონკურენციის შესასუსტებლად... როტშილდის სასარგებლოდ.**

**უცხოურ და ადგილობრივ ბინძურ ფულს მიესალმებიან აშშ-ში. ეს ფული დაცულია ყველაზე გაუმჭვირვალე საგადასახადო საიდუმლოებით პლანეტაზე. დღეს აშშ არის ახალი შვეიცარია თუ ბაჰამის კუნძულები ან თუნდაც პანამა. უფრო მეტიც — ახლა უკვე, როდესაც აშშ-ში მიიღეს კანონი უცხოური ანგარიშებიდან გადასახადების ამოღების შესახებ, ამერიკელთათვის ოფშორულ საგადასახადო ოაზისებში ბინძური ფულის დაბანდება აზრს კარგავს**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კვლევის პროცესში გაირკვა, რომ დაპირებული გამათეთრებელი ეფექტის საქმე არც ისე კარგად არის. OKO-TEST-ი გვაფრთხილებს: „ნუ ელით საოცრებას კბილების მათეთრებელი პასტებისგან, თუმცა მნიშვნელობა არ აქვს, მათეთრებელია ეს პასტა თუ ჩვეულებრივი. მთავარია, კბილის პასტა შეიცავდეს კარიესისგან დამცავ ფტორიდს. ის კი, ვისაც სურს, ძალიან თეთრი კბილები ჰქონდეს, უნდა მივიდეს სტომატოლოგთან და პროფესიულად გაიწმინდოს კბილები ქვებისა და ნადებისგან.**

# ჟურნალი Oko-Test-ი გვაფრთხილებს: ეს პასტები კბილებს კი არ ათეთრებს, არამედ საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას

**ყველას სურს, თეთრი და ლამაზი კბილები ჰქონდეს, ამიტომ ბევრი ყიდულობს სპეციალურ კბილის პასტებს, რომლებიც, როგორც რეკლამაშია ნათქვამი, გათეთრების ეფექტს უზრუნველყოფს, მაგრამ მართლა ასეა? გერმანულმა ჟურნალმა Oko-Test-მა 19 პოპულარული კბილის პასტის შემადგენლობა და გამოყენების შედეგები გამოიკვლია.**



**Oko-Test**-მა გამოიკვლია **Colgate**-ს, **Odol-Med3**-ისა და **Blend-A-Med**-ის პროდუქცია. მათგან ვერც ერთმა ვერ დაიმსახურა შეფასება „ძალიან კარგი“ და „კარგი“. მიზეზი: საეჭვო შემადგენლობა და რეკლამის შინაარსში თვისებების გადაჭარბება.

ადამიანები ყოველდღიურად ზრუნავენ თავიანთი კბილების ჯანმრთელობასა და სისუფთავეზე, მაგრამ ბევრს ეს არ აკმაყოფილებს. მათ სურთ, რომ ძალიან თეთრი კბილები ჰქონდეთ და ამიტომ იყენებენ სპეციალურ პასტებს. **Oko-Test**-ის ექსპერტებმა 19 კბილის პასტა გამოიკვლიეს და შედეგებით უკმაყოფილონი დარჩნენ.

**პასტების უმეტესობა შეიცავდა პოლიეთილენგლიკოლს ან მისგან ნაწარმოებ ნივთიერებას. მწარმოებლები ემულგატორების წყალობით კბილის პასტას კონსისტენციას უნარჩუნებენ, მაგრამ, ამასთანავე, ემულგატორები აღიზიანებს ლორწოვან გარსს და მას მავნე ნივთიერებების მიმართ მედეგობას უკარგავს. ზოგიერთი პროდუქტი კი შეიცავს ნატრიუმის ლაურილსულფატს, რომელიც ქაფის წარმომქმნელ ნივთიერებად ითვლება.**

**Oko-Test**-ი აკრიტიკებს, აგრეთვე, ორ კბილის პასტას ალუმინის მაღალი შემცველობის გამო.

„კბილის პასტა ერთ-ერთი წყაროა, რომლისგანაც მომხმარებელს შეუძლია ყოველდღიურად მიიღოს მსუბუქი ლითონი“, — გვაფრთხილებს გამოცემა. „ჯერ ბოლომდე დამტკიცებული არ არის, როგორ მოქმედებს ჯანმრთელობაზე ალუმინის დიდი რაოდენობა, ამიტომ, სიფრთხილის გამო, დოზის შემცირებაა საჭირო. სხვა კბილის პასტების გამოკვლევის შედეგები კი მიუთითებს, რომ მათ გარეშეც შეიძლება ცხოვრება.

ექსპერტთა ცუდი შეფასებები დაიმსახურეს შემდეგმა კბილის პასტებმა:

1. **Signal White now**
2. **Blend-A-Med 3D Withe Luxe Brillianter Glanz**
3. **Blend-A-Med Okal-B Pro Expert Gesundes Weiss**
4. **Odol-Med3 Extra White**
5. **Perlweiss Schonheits Zahnweiss Strahlender Glanz**
6. **Lacalut White & Repair**
7. **Colgate Max White One Optic**
8. **R.O.C.S. Sensation Whitening Extreme Frisch**

კვლევის პროცესში გაირკვა, რომ დაპირებული გამათეთრებელი ეფექტის საქმე არც ისე კარგად არის. **Oko-Test**-ი გვაფრთხილებს: „ნუ ელით საოცრებას კბილების მათეთრებელი პასტებისგან, თუმცა მნიშვნელობა არ აქვს, მათეთრებელია ეს პასტა თუ ჩვეულებრივი. მთავარია, კბილის პასტა შეიცავდეს კარიესისგან დამცავ ფტორიდს. ის კი, ვისაც სურს, ძალიან თეთრი კბილები ჰქონდეს, უნდა მივიდეს სტომატოლოგთან და პროფესიულად გაიწმინდოს კბილები ქვებისა და ნადებისგან.

**FOCUS (გერმანია)**

**პასტების უმეტესობა შეიცავდა პოლიეთილენგლიკოლს ან მისგან ნაწარმოებ ნივთიერებას. მწარმოებლები ემულგატორების წყალობით კბილის პასტას კონსისტენციას უნარჩუნებენ, მაგრამ, ამასთანავე, ემულგატორები აღიზიანებს ლორწოვან გარსს და მას მავნე ნივთიერებების მიმართ მედეგობას უკარგავს. ზოგიერთი პროდუქტი კი შეიცავს ნატრიუმის ლაურილსულფატს, რომელიც ქაფის წარმომქმნელ ნივთიერებად ითვლება**

# ამერიკელი მწარმოებლები მალავენ, რომ მათი პროდუქტები გენმოდიფიცირებულ ინგრედიენტებს შეიცავს




**თუ ნატურალური პროდუქტის შეძენა გსურთ, პირველ რიგში, უნდა მოერიდოთ პროდუქტს, რომელსაც აწერია „ნატურალური“. არაკომერციულმა ორგანიზაციამ, რომელიც დაკავებულია სამომხმარებლო პროდუქტების ექსპერტიზით, დაადგინა, რომ ასეთი მარკირების მქონე პროდუქტების უმეტესობა სინამდვილეში გენეტიკურად მოდიფიცირებული ინგრედიენტების შემცველია.**






2014 წელს ორგანიზაცია Consumer Reports-მა სიმინდისა და სოიას შემცველი 80-ზე მეტი დასახელების ნახევარფაბრიკატები გამოიკვლია. ეს არის აშშ-ში ყველაზე მეტად გავრცელებული 2 გენმოდიფიცირებული კულტურა. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პრაქტიკულად ყველა პროდუქტი, რომლებსაც ეწერა „ნატურალური“, დიდი რაოდენობით შეიცავდა გენეტიკურად მოდიფიცირებულ ინგრედიენტებს. ასეთ პროდუქტებს შორის აღმოჩნდა **ბატიბუტი, ჩიფსები** და **ბავშვთა კვების პროდუქტებიც** კი.

ასეთი ვითარება შეიქნა სასურსათო პროდუქტების წარმოების სფეროში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის გამო. ევროპისგან განსხვავებით, აშშ-ში არ არის კანონები, რომლებიც განსაზღვრავდა, კვების რომელი პროდუქტი უნდა ჩაითვალოს ნატურალურ პროდუქტად.

**„კომპანიები არ არღვევენ კანონმდებლობას იმიტომ, რომ არ არსებობს კანონი, რომელიც სასურსათო სფეროში განსაზღვრავდა ცნებას „ნატურალური“. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ მომხმარებელს ატყუებენ. აუცილებლად უნდა იყოს შემოღებული გენმოდიფიცირებული ინგრედიენტების შემცველი პროდუქტების მარკირება, რათა ყველა მომხმარებლისთვის ცნობილი გახდეს ეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია“,** — განაცხადა ორგანიზაცია Cunsumer Reports-ის თანამშრომელმა **ჯინ ჰალორანმა.**

კვლევების თანახმად, ამერიკელთა 93% სურს, რომ ფედერალურმა მთავრობამ მწარმოებლებს დაავალდებულოს გენმოდიფიცირებული ინგრედიენტების შემცველი ან ბიოტექნიკური გზით მიღებული პროდუქტების მარკირება, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ტრანსნაციონალური კორპორაცია „მონსანტო“ — გენმოდიფიცირებული და ტრანსგენური მარცვლეულის უდიდესი მწარმოებელი მსოფლიოში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ამ კომპანიამ მილიარდობით დოლარი დახარჯა თავისი ინტერესების ლობირებისთვის — არ დაუშვან გენმოდიფიცირებული პროდუქტების მარკირება აშშ-ში.

2016 წლის მაისში კი აშშ-ის მეცნიერების, ტექნიკისა და მედიცინის აკადემიამ დაასკვნა, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტები უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის. დასკვნაში აღნიშნულია, რომ გენმოდიფიცირებული ინგრედიენტების შემცველ და ანალოგიური ნატურალურ პროდუქტებს შორის, განსხვავება, პრაქტიკულად, არ არის (?!). რაც შეეხება მარკირებას, ამერიკელი მეცნიერების აზრით, ინფორმაცია პროდუქტში გენმოდიფიცირებული ინგრედიენტების არსებობაზე საჭიროა, ოღონდ მხოლოდ იმისთვის, რომ მომხმარებელმა ზუსტად იცოდეს პროდუქტის შემადგენლობა.

ამერიკელი მეცნიერების ამ დასკვნამ არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, აშშ-ის მეცნიერების, ტექნიკისა და მედიცინის აკადემიის თანამშრომლებმა ძალიან ცოტა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოიკვლია, რომლებიც გენმოდიფიცირებულ საკვებს იღებდნენ. მათი აზრით, გენმოდიფიცირებული პროდუქტებით კვება, გაცილებით მეტ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, ვიდრე ეს დასკვნაშია აღნიშნული.

**„ხალხების მასობრივი გადასახლების საშინელი გეგმის გამო, რომელიც დასავლეთის ძლიერთა ამა ქვეყნის გონებაში გაჩნდა, შეიძლება ისე წარიმართოს პროცესები, რომ მსგავსი რამ ევროპამ საკუთარ თავზე გამოსცადოს“, — წინასწარმეტყველებს კაშუკი. ამის თავიდან აცილება შეიძლება, მაგრამ მიგრანტებს მფარველობენ აშშ-სა და ევროპის ხელისუფლებები, რომლებიც ხელს უწყობენ აფრიკელი და ახლო აღმოსავლელი იმიგრანტების ნაკადების შედინებას ევროპაში, რათა იქ გამეფდეს ქაოსი, რომელიც უკვე დაიწყო ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, შემდეგ კი ვითარების განმუხტვის საბაბით დაამყარონ ტოტალური დიქტატურა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კლინტონი — არაპოპულარული, კორუფციაში ჩაფლული მატყუარა, კანდიდატი, რომელსაც იმსახურებენ დემოკრატები

**ამერიკული ინტერნეტგამოცემა Townhall.com-ი აფასებს საპრეზიდენტო პრაიმერიზის ბოლო შედეგებს, რომელთა მიხედვითაც აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ლიდერობა განიმტკიცა.**

და აი ეს მოხდა: 8 ივნისის ღამეს ჰილარი კლინტონი ოფიციალურად გახდა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან. 23 შტატში დამარცხების მიუხედავად, ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ამომრჩეველთა 3,7 მლნ-ით მეტი ხმა მოაგროვა, ვიდრე სენატორმა ვერმონტიდან — **ბერნი სანდერსმა.**

ფაქტი, რომ კლინტონმა სანდერსის წინააღმდეგობა კენჭისყრის ბოლო დღემდე ვერ დაძლია, ხაზს უსვამს მისი, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის, სისუსტეს. ჰილარი კლინტონი საარჩევნო კამპანიის საფინალო ეტაპს იწყებს ისეთი პოლიტიკური მოღვაწის რანგში, რომელიც ბევრს არ უყვარს, არ ენდობა და პრეზიდენტობის ერთ-ერთი ნაკლებად პოპულარული კანდიდატია აშშ-ის ისტორიაში.

რამდენიმე კვირის წინათ დემოკრატების მხარდამჭერები ბოროტად ხუმრობდნენ **დონალდ ტრამპზე,** რესპუბლიკური პარტია იმსახურებს ისეთ კანდიდატს, რომელიც აირჩიაო. ახლა სწორედ ასეთი ფორმულირების გამოყენება შეიძლება დემოკრატების მიმართაც. **მათ არჩევანი გააკეთეს კორუფცირებული, ჩუმჩუმელა, ანგარებიანი, ცივი, პოლიტიკურად უსულგულო, დაბადებიდან ცრუ კანდიდატის სასარგებლოდ, რომელსაც სრულიად იმსახურებენ.**

8 ივნისს ჰილარი კლინტონს მართლაც ისტორიული მიღწევა ჰქონდა — გახდა დიდი პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატი, რომლის მიმართაც გამოძიების ფედერალურ ბიუროს დაწყებული აქვს გამოძიება ელექტრონული ფოსტის კერძო სერვერის გამოყენების სკანდალურ საქმეზე, რომლის ყოველ ასპექტში აღმაშფოთებლად იტყუებოდა.




**თავისი გამარჯვების აღსანიშნავად გამოსვლაში, მხარდამჭერთა აპლოდისმენტების ფონზე, ჰილარი კლინტონმა განაცხადა: „მე თქვენ ყოველთვის დაგიცავთ“. საინტერესოა, როგორ აღიქვეს ეს სიტყვები ოჯახის წევრებმა ოთხი ამერიკელისა, რომლებიც 2012 წლის 11 სექტემბერს ტერორისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს, როცა სახელმწიფო დეპარტამენტმა კლინტონის ხელმძღვანელობით ყურადღება არ მიაქცია არაერთგზის გაფრთხილებას უსაფრთხოების ზომების გამკაცრების შესახებ.**

თავდასხმის შემდეგ კი კლინტონმა იცრუა ამერიკელი ხალხისა და დაღუპულთა ოჯახის წევრების წინაშე, როდესაც თავდასხმის ნამდვილი მიზეზები დამალა. ხოლო როდესაც 4 დაღუპულიდან სამის ოჯახის წევრებმა განაცხადეს სახელმწიფო მდივნის ტყუილებზე, კლინტონმა თვითონ ისინი დაადანაშაულა სიცრუეში. ამა წლის მარტში მან სატელევიზიო აუდიტორიას განუცხადა, რომ „აშშ-ს ლიბიაში არც ერთი კაცი არ დაუკარგავს“.

კლინტონმა თავისი გამოსვლა ბრუკლინში იმისთვის გამოიყენა, რომ გააფთრებით დასხმოდა თავს დიდი ფულისა და გავლენის მქონე ადამიანებს აშშ-ის პოლიტიკურ სისტემაში. არადა, კლინტონის სიტყვებისთვის კადრს მიღმა სიცილი უნდა დაედოთ. კლინტონების საოჯახო ფონდი გაავსო უცხოეთიდან წამოსულმა მილიონობით შემოწირულობამ. ფონდი თანხებს იღებდა კერძო პირებისა და კომპანიებისგან, რომლებსაც სურდათ, ერთგულება დაემტკიცებინათ კლინტონისთვის. მათ შორის იყო უამრავი ფირმა, რომელთა ბიზნესიც დამოკიდებული იყო სახელმწიფო დეპარტამენტზე კლინტონის მეთაურობით და ამით გამუდმებით ირღვეოდა ინტერესთა კონფლიქტის წესი.

ჰილარი კლინტონმა და მისმა ქმარმა 2001 წელს თეთრი სახლიდან წასვლის შემდეგ 100 მლნ დოლარზე მეტი მიითვისეს საჯარო გამოსვლებისთვის მიღებული ჰონორარების სახით. ამ საჯარო გამოსვლების სტენოგრამების გამოქვეყნებაზე კი დღემდე უარს ამბობენ. ჰილარი კლინტონი, უკვე ათი წელია, დგას ეთიკურად საეჭვო დიდი ფულისა და უზარმაზარი ძალაუფლების გზაჯვარედინზე.

ჰილარი როდჰემ კლინტონი თანამიმდევრულად მიგვანიშნებს თავის უვარგისობაზე პრეზიდენტისა და მთავარსარდლის რანგში.

**Townhall.com**

**კლინტონების საოჯახო ფონდი გაავსო უცხოეთიდან წამოსულმა მილიონობით შემოწირულობამ. ფონდი თანხებს იღებდა კერძო პირებისა და კომპანიებისგან, რომლებსაც სურდათ, ერთგულება დაემტკიცებინათ კლინტონისთვის. მათ შორის იყო უამრავი ფირმა, რომელთა ბიზნესიც დამოკიდებული იყო სახელმწიფო დეპარტამენტზე კლინტონის მეთაურობით და ამით გამუდმებით ირღვეოდა ინტერესთა კონფლიქტის წესი. ჰილარი კლინტონმა და მისმა ქმარმა 2001 წელს თეთრი სახლიდან წასვლის შემდეგ 100 მლნ დოლარზე მეტი მიითვისეს საჯარო გამოსვლებისთვის მიღებული ჰონორარების სახით**

# ნატოს მთვრალმა ჯარისკაცებმა ტაქსის სახურავზე იცეკვეს

**8 ივნისს, ღამით, რიგის პოლიციამ დააკავა ორი ბრიტანელი, რომლებმაც ტაქსის სახურავი დააზიანეს. ადგილობრივი მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 1994 და 1996 წლებში დაბადებული ხულიგნები ნატოს სამხედრო მოსამსახურეები არიან.**

ტაქსის მძღოლი ლიტვის დედაქალაქის ცენტრში ყავის დასალევად კაფეში შევიდა, დაბრუნებულმა დაინახა, რომ მისი ავტომობილის თავზე კაცი ცეკვავდა, მეორე კი მანქანის სახურავზე აძრომას ცდილობდა, კიდევ ორი ამ ყველაფერს ტელეფონის კამერით იღებდა. შედეგად ავტომობილს დაზიანებული აქვს კაპოტი, სახურავი და კარი მძღოლის მხარეს.

ის, რომ დაკავებული მთვრალი ჯარისკაცები ნატოს სამხედრო მოსამსახურეები არიან, ლატვიის თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა.



# დადგება დრო, როდესაც ევროპელები თავის გადასარჩენად რუსეთს მიაშურებენ

**„სამომავლოდ მხოლოდ რუსეთს შეუძლია იქცეს თავშესაფრად ნორმალური ევროპელებისთვის, რომლებიც დამონებული არ ჰყავს „ტოლერანტულობის“ ფარისევლურ იდეოლოგიას. და როდესაც ევროკავშირის ხელისუფლების ხელშეწყობით შესეული შავი ურდოები ბებერ კონტინენტს დაანგრევენ, თეთრი ევროპელები იძულებულნი იქნებიან, ახალი სამშობლო ყინულოვან ციმბირსა და მაგადანში ეძებონ“, — დაწერა ჩეხმა ჟურნალისტმა ლადისლავ კაშუკამ გამოცემა Czech Free Press-ის ფურცლებზე.**

თავისი პროგნოზის გასამყარებლად ჩეხი ჟურნალისტი მკითხველს სთავაზობს, ყურადღება მიაპყროს ერაყელი და სირიელი ქრისტიანების, ათეისტებისა და იეზიდების სავალალო მდგომარეობას. ამ ადამიანების კულტურული მემკვიდრეობა სრულიად გაანადგურეს ისლამისტმა ფუნდამენტალისტებმა, თვითონ ქრისტიანებსა და იეზიდებს კი ფანატიკოსები უმოწყალოდ ხოცავენ.

**„ხალხების მასობრივი გადასახლების საშინელი გეგმის გამო, რომელიც დასავლეთის ძლიერთა ამა ქვეყნის გონებაში გაჩნდა, შეიძლება ისე წარიმართოს პროცესები, რომ მსგავსი რამ ევროპამ საკუთარ თავზე გამოსცადოს“,** — წინასწარმეტყველებს კაშუკი.

ამის თავიდან აცილება შეიძლება, მაგრამ მიგრანტებს მფარველობენ აშშ-სა და ევროპის ხელისუფლებები, რომლებიც ხელს უწყობენ აფრიკელი და ახლო აღმოსავლელი იმიგრანტების ნაკადების შედინებას ევროპაში, რათა იქ გამეფდეს ქაოსი, რომელიც უკვე დაიწყო ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, შემდეგ კი ვითარების განმუხტვის საბაბით დაამყარონ ტოტალური დიქტატურა.

წერილის ავტორი ევროპული ცივილიზაციის დასასრულს წინასწარმეტყველებს: **„ყველაფერი, რასაც კი ჩვენი წინაპრები იარაღით ხელში იცავდნენ, შეიძლება განადგურდეს: დამპყრობლები ევროპას თავს არ დაესხმიან არმიებით, ისინი პატარა ჯგუფებად დაიყოფიან და გულმოწყალებაზე მოლაპარაკე ფარისეველი მოღალატეების ნებართვით შემოაღწევენ ჩვენს ქვეყნებში“.**



ლადისლავ კაშუკას აზრით, უკლებლივ ყველა ლტოლვილი, რომელიც ომებისა და გადატრიალებების შედეგად დაზარალდა, ამერიკაში უნდა გაიგზავნოს, რადგან სწორედ აშშ-მა გააპარტახა მათი სამშობლო.

ევროპაში იმიგრანტების შესვლაზე უარის თქმა, რაც ევროპელებს გადაარჩენდა, ხელს არ აძლევს გლობალურ ოლიგარქიას, რომელიც სწრაფად ამყარებს თავის ძალაუფლებას მსოფლიოზე.

და, როდესაც ევროპა საბოლოოდ დაეცემა ახალი ბარბაროსების ურდოების წინაშე, ევროპელებს მოუწევთ, თავშესაფარი რუსეთს სთხოვონ.

„რუსეთი ხომ ბოლო ძლიერი და დიდი ევროპული ქვეყანაა, რომელიც არ შედის ევროკავშირში და ვალდებული არ არის, შეასრულოს ბრიუსელელი გიჟების ბრძანებები“, — წერს ჩეხი პუბლიცისტი და დასძენს, რომ „ძლიერი არმიის გარდა, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს მსოფლიო ქაოსს, რუსეთის ფედერაციას აქვს ტერიტორიები, რომლებზე შეუძლია ევროპიდან დევნილები დაასახლოს“.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თითოეულმა ჯარისკაცმა თავისი წვლილი შეიტანა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებაში. დავამარცხეთ მსოფლიოს დაუძინებელი მტერი — ფაშიზმი. ამ ომში დაიღუპა 20 მილიონი ადამიანი, მათ შორის, საქართველოდან წარგზავნილი 300 ათასი მეომარი. ნუთუ შეიძლება ასეთი დიადი წარსულისა და ამ ადამიანების დავიწყება?**



ტარასი იჩქიტიძე

# 75 წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს, დიდი სამამულო ომი დაიწყო

**ჩემო კეთილო თანამემამულენო,
მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებო!
75 წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს, სრულიად ახალგაზრდები ჩავებით ომის ფერხულში და 1945 წლის 9 მაისს ფაშისტები თავიანთ ბუნაგში გავანადგურეთ. ომის შემდგომ დანგრეულ-დამწვარ სახელმწიფოს ფეხზე დაყენება სჭირდებოდა და ამ საქმეშიც ღირსეული წვლილი შევიტანეთ.**



მე 1942 წლის ბოლოსა და 1943 წლის დასაწყისში ქალაქ სტალინგრადს ვიცავდი და გერმანელი დამპყრობლების შემოტევებს სნაიპერის შაშხანით ვუპირისპირდებოდი. უბრალო ჯარისკაცმა ღირსეული წვლილი შევიტანე სტალინგრადის დაცვის საქმეში ჩემს ლეგენდარულ 62-ე არმიასთან ერთად სარდალ **ვასილი ჩუიკოვის,** საბჭოთა კავშირის ორიგზის გმირის, ხელმძღვანელობით. სწორეთ 62-ე არმიის მხრებზე გადაიარა სტალინგრადის დაცვის ტვირთმა და ვამაყობ, რომ ამ არმიის ჯარისკაცი ვიყავი ომის დაწყებიდან დამთავრებამდე.

მინდა, გავიხსენო სტალინგრადის დაცვის ყველაზე კრიზისული მომენტი, როდესაც ცეცხლის ალში გახვეული ქალაქი თავგანწირული ბრძოლის შედეგად გადაურჩა დაცემას:

**1942 წლის ბოლოს გაძლიერდა გერმანელთა შემოტევა ჰაერიდან და ხმელეთიდან. ყოველდღიურად ათასზე მეტ საბრძოლო გაფრენას ახორციელებდნენ გერმანელები თავიანთი ბომბდამშენებით. გადმოლახეს დანაღმული ველები, რამდენიმე ადგილას გარღვიეს 62-ე არმიის დაცვის ხაზი, 2-3 კილომეტრით შემოიჭრნენ ქალაქში და ცეცხლის ალში გაახვიეს სტალინგრადი. ჩვენი ნაწილი იბრძოდა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე. მეც იქ ვიყავი და იარაღით ვიცავდი ქალაქს.**

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო სასტიკი ყინვები. გაიყინა მდინარე ვოლგა, ქალაქი გაივსო ლტოლვილებითა და დაჭრილი მეომრებით, რომელთა გადაყვანა მეორე ნაპირზე ძნელი შეიქნა, რადგან არასაკმარისი რაოდენობით იყო ყინულმჭრელი კატერები და სხვა ტექნიკური საშუალებები. გერმანელების გააფთრებული შემოტევების გამო იხოცებოდნენ მოქალაქეები, მძიმედ დაჭრილი მებრძოლები. ჰიტლერელები წინ მოიწევდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ მალე გატეხდნენ ჩვენ წინააღმდეგობას, მაგრამ მაშინ დაკარგეს გამარჯვების იმედი, როდესაც ქალაქის დამცველებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გავუწიეთ და გადავედით შეტევაზე. შედეგად დიდი დანაკარგი განიცადეს გერმანელებმა და უკუგდებული იქნენ.

**გაჭირვებამ, გაუსაძლისმა პირობებმა გამოგვაწრთო საბჭოთა მეომრები და გაგვხადა უფრო ძლიერები. სწორედ ამან განაპირობა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ყველა ეროვნების მებრძოლებმა შეუდრეკელი მხედართმთავრის — იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მეთაურობით, ბრძოლით გაიარეთ მანძილი სტალინგრადიდან ბერლინამდე.**

დიახ, სტალინგრადის ეპოპეამ გადაწყვიტა მეორე მსოფლიო ომის ბედი. საბჭოთა კავშირის გამარჯვებასა და ფაშისტური გერმანიის დამარცხებაში კი უდიდესი წვლილი შეიტანა 62-ე არმიამ.

ჰიტლერელებმა 1943 წლის 2 თებერვლიდან დაიწყეს უკან დახევა, მაგრამ დიდ ზარალს გვაყენებდნენ: სპობდნენ, წვავდნენ, ანგრევდნენ შენობებს, ხიდებს, გვირაბებს, გზებს, რკინიგზის რელსებს შპალებთან ერთად თხრიდნენ. ტოვებდნენ დამტვრეულ და დამწვარ ტანკებს, ქვემეხებს, მანქანებს, მატარებლის ვაგონებსა და სხვ. დიდი ძალიხმევა სჭირდებოდა ტერიტორიების გაწმენდას გერმანელთა სამხედრო ტექნიკის ნარჩენებისგან. ეს ნარჩენები ჯართად ზარდებოდა ზაპოროჟიესა და დნეპროპეტროვსკის მეტალურგიურ ქარხნებში. აღსადგენი იყო ხიდები, გვირაბები, გზები, წყლის, ელექტროენერგიის სისტემები და, საერთოდ, მთელი ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია ისიც, რომ იქ, სადაც ომის გრიგალი გადაივლიდა, ნიადაგი, ზღვა, წყალი თუ ტყე სრულიად ნადგურდებოდა. მაგალითად, ომის დამთავრების შემდეგ ბელორუსიისა და უკრაინის ტყეების დიდ ნაწილში ხეს ვერ მოჭრიდით, რადგან ბომბების აფეთქებისგან დამწვარი იყო.

**სტალინის სიცოცხლეში ქვეყანა კვლავ ფეხზე დადგა — შენდებოდა, ვითარდებოდა, ლამაზდებოდა. ვიბრძოლეთ, ვიომეთ, შემდეგ ვიშრომეთ და მოვიტანეთ საუკეთესო ცხოვრება. უფასო იყო თითქმის ყველაფერი: სწავლა-განათლება, სამედიცინო მომსახურება, დასვენება სანატორიუმებში და კურორტებზე, ბინა. უმნიშვნელო ფასი ედო ელექტროენერგიას, წყალს, ბუნებრივ აირს და სხვ.**

**სტალინის სიცოცხლეში ქვეყანა კვლავ ფეხზე დადგა — შენდებოდა, ვითარდებოდა, ლამაზდებოდა. ვიბრძოლეთ, ვიომეთ, შემდეგ ვიშრომეთ და მოვიტანეთ საუკეთესო ცხოვრება. უფასო იყო თითქმის ყველაფერი: სწავლა-განათლება, სამედიცინო მომსახურება, დასვენება სანატორიუმებში და კურორტებზე, ბინა. უმნიშვნელო ფასი ედო ელექტროენერგიას, წყალს, ბუნებრივ აირს და სხვ.**

საბჭოეთის პერიოდში ახალგაზრდამ, როცა უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებდა, რომელი სპეციალობაც უნდა ჰქონოდა — ინჟინრის, პედაგოგის, ეკონომისტის, იურისტის, ექიმის თუ სხვა, წინასწარ იცოდა, სად უნდა ემუშავა. თანაც სწავლობდა უფასოდ და იღებდა სტიპენდიას. ამაჯამად კი, ე.წ. დემოკრატიის პერიოდში, ამდენი სტუდენტი სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში, იხდის სწავლის ფულს და, როდესაც სასწავლებელს დაამთავრებს, სამსახურს ვეღარ შოულობს. გარდა ამისა, დღეს წარმოება-დაწესებულებებიდან მუშა-მოსამსახურეებს წლოვანების მიხედვით ათავისუფლებენ — როგორც კი შეუსრულდებათ 40-45 წელი, ეუბნებიან, ხანში შესული ხართ და უნდა დაგითხოვოთ, თქვენ ნაცვლად კი ახალგაზრდები უნდა მივიღოთო. ეს ხომ სირცხვილია! წარმოიდგინეთ, რა დღეშია სამსახურიდან გათავისუფლებული ადამიანი, რომელსაც ჯერ საპენსიო ასაკი არ დადგომია და არც სამუშაო აქვს. ჩვენ დროს წარმოებიდან მაშინ მიდიოდა ადამიანი, როდესაც საპენსიო ასაკს მიაღწევდა. პენსიასაც კარგს იღებდა. ამასთანავე, შეეძლო, წარმოებაშიც დარჩენილიყო და პენსიასთან ერთად ხელფასიც აეღო, რა თქმა უნდა, თუ მუშაობა სურდა.

დაიშალა სოციალისტური წყობილება და გადავედით კაპიტალისტურზე, მაგრამ რა მოგვიტანა ამ წყობამ და დასავლურმა დემოკრატიამ? — ვისაც რა მოესურვება, იმას აკეთებს და ლაპარაკობს; უმუშევრობა-უსაქმურობა, ლარის გაუფასურება, წარმოება-დაწესებულებების, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ქართული ტრადიციების განადგურება და სხვ.

ახალგაზრდა თაობას ჩვენი, დიდი სამამულო ომის მონაწილეების, თავდადება სამშობლის წინაშე, ტანჯვა-წვალება, ჩვენ მიერ გაკეთებულის დანახვა არ სურს. ვლაპარაკობ მათზე, ვისაც წარსული არ მოსწონს და აწმყოთია კმაყოფილი.

როგორ შეიძლებოდა, სახელმწიფოს ქონება — გზები, მდინარეები, ტყე, მიწა, კერძო პირებს გადასცემოდათ? ხედავთ, რა გამოიწვია ამ რეფორმამ? განადგურდა სახნავ-სათესი სავარგულები, ტყე, ხეხილი, ვენახი, საქონლისა და ცხვრის ფარები, მსუბუქი და მძიმე მრეწველობის ქარხნები და ფაბრიკები. სირცხვილია, საქართველოში ასანთის საწარმო რომ არ არის!

**ომის შემდეგ ვმუშაობდი სოფლის მეურნეობაში. ხაშურისა და ქარელის რაიონებში იმდენი შაქრის ჭარხალი მოჰყავდათ, რომ აგარის შაქრის ქარხანა სრული დატვირთვით მუშაობდა, ახლა კი ნედლეული კანადიდან შემოაქვთ. საქმისადმი სწორედ ასეთმა მიდგომამ დაანგრია ქვეყანა. ისეთებს, როგორებიც არიან ფანჯიკიძე, ბოკერია, თორთლაძე, ბერძენიშვილი და სხვები, რომლებიც გაიძახიან, რომ თურმე ჩვენ, დიდი სამამულო ომის მონაწილენი, სხვის ომში ვიბრძოდით, საქართველოში არ უნდა დაედგომებოდეთ.**

თითოეულმა ჯარისკაცმა თავისი წვლილი შეიტანა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებაში. დავამარცხეთ მსოფლიოს დაუძინებელი მტერი — ფაშიზმი, ამ ომში დაიღუპა 20 მილიონი, მათ შორის, საქართველოდან წარგზავნილი 300 ათასი ადამიანი.

ნუთუ შეიძლება ასეთი დიადი წარსულისა და ამ ადამიანების დავიწყება?

**ამ გამარჯვებაში მეც შევიტანე წვლილი, როგორც ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, სტალინგრადიდან ბერლინამდე ბრძოლით ფაშისტებისგან გავათავისუფლეთ ბელორუსია, უკრაინა, პოლონეთი, ბესარაბია, რუმინეთი და თვით გერმანია. სამჯერ დამჭრეს, გავანადგურე 59 გერმანელი სნაიპერი. დღეს კი 94 წლის კაცი ნაძალადევის რაიონში ვეტერანთა კავშირს ვხელმძღვანელობ.**

დიახ, ჩვენ ღირსეულად დავამთავრეთ დიდი სამამულო ომი, გავიმარჯვეთ და, ვინც გადავრჩით, სამშობლოში დავბრუნდით. ომიდან დაბრუნებულთა მეტი წილი ახალგაზრდები ვიყავით და სამშობლოში დაბრუნებისთანავე შრომის ფრონტში ჩავებით — საჭირო იყო დანგრეულ-დამწვარი ქვეყნის ფეხზე დაყენება. სწორედ ჩვენ, ამჟამად უკვე ვეტერანებს, გვხვდა წილად ბედნიერება, შრომის ფრონტზეც გვებრძოლა. ამასაც პირნათლად გავართვით თავი. ასე რომ, ჩვენ, 90 წელს გადაცილებული ვეტერანები, ომისა და შრომის გმირები ვართ!

**დღეგრძელობას გისურვებთ, ძვირფასო ვეტერანებო!**

**ტარასი იჩქიტიძე**

**ჩვენ ღირსეულად დავამთავრეთ დიდი სამამულო ომი, გავიმარჯვეთ და, ვინც გადავრჩით, სამშობლოში დავბრუნდით. ომიდან დაბრუნებულთა მეტი წილი ახალგაზრდები ვიყავით და სამშობლოში დაბრუნებისთანავე შრომის ფრონტში ჩავებით — საჭირო იყო დანგრეულ-დამწვარი ქვეყნის ფეხზე დაყენება. სწორედ ჩვენ, ამჟამად უკვე ვეტერანებს, გვხვდა წილად ბედნიერება, შრომის ფრონტზეც გვებრძოლა. ამასაც პირნათლად გავართვით თავი. ასე რომ, ჩვენ, 90 წელს გადაცილებული ვეტერანები, ომისა და შრომის გმირები ვართ!**

**მევენახეობის ახლებურად განვითარებით განხორციელდება რევოლუციური ცვლილებები, 50%-ით შემცირდება მექანიზაციის ხარჯები, სამუშაო დრო, რადგან დაბალ რიგზე ტრაქტორის გადაბიჯებით ერთი გავლით ორი რიგი დამუშავდება, 80 000 ჰექტარი მიწა კი გამოთავისუფლდება ფართორიგიანი ვენახებისგან იმის შედეგად, რომ 3მ რიგთაშორისების ნაცვლად ვენახები გაშენდება 1,5 მ რიგთაშორისებით.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მთავრობას, რომელსაც სურს, განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა, დამარცხდეს სიღარიბე, უმუშევრობა, რატომ არ აინტერესებს ეს გამოგონება?

**ის ვერა სწვდება სიკეთის არსში,
ვისი გონებაც მხოლოდ ნულია,
და არც ჩავთვალოთ მტერთა სიაში,
რადგან ჭკუა მათი გაყინულია.**

## საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს!

**თქვენ ა.წ. 21 აპრილს სტრასბურგში მაღალი ტრიბუნიდან განაცხადეთ: „ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც შვა ღვინო“. დიახ, საამაყოა, მაგრამ ვაზის სამშობლო მხოლოდ მილიონი წლის წინანდელი ამბით უნდა ამაყობდეს და დღევანდელი პროგრესის ფონზე ვიწრორიგიან ვენახებს პაპისპაპების მსგავსად ისევ ცხენით უნდა ვამუშავებდეთ? ფართო რიგებში კი, სადაც სამუშაოები მექანიზაციით სრულდება, ათიათასობით ჰექტარი მიწა უნდა ცდებოდეს?**

სტრასბურგში წარმოთქმულ თქვენს სიტყვებს რომ დამატებოდა, — საქართველოში დღეს მევენახეობა ახლებურად ვითარდებაო, განა ეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და ვაზის სამშობლოს საერთაშორისო არენაზე იმიჯს არ შეჰმატებდა? დახედეთ ფოტოს და, თუ თქვენი ინტერესების სფეროში მოექცევა წიგნი „ხვალის ვენახი“, რომელიც თქვენმა თანაშემწემ **სავალან მირზოევმა** კაბინეტში მაგიდაზე დაგიდოთ (საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ პრემიერის არც ერთ ქართველ თანაშემწეს ასეთი რამ არ გაუკეთებია, მეტიც, ბატონმა მირზოევმა აღმითქვა ფინანსური დახმარება წიგნის აზერბაიჯანულ ენაზე გამოსაცემად), გაეცანით და დარწმუნდებით, რომ **მევენახეობის ახლებურად განვითარებით განხორციელდება რევოლუციური ცვლილებები, 50%-ით შემცირდება მექანიზაციის ხარჯები, სამუშაო დრო, რადგან დაბალ რიგზე ტრაქტორის გადაბიჯებით ერთი გავლით ორი რიგი დამუშავდება, 80 000 ჰექტარი მიწა კი გამოთავისუფლდება ფართორიგიანი ვენახებისგან იმის შედეგად, რომ 3 მ რიგთაშორისების ნაცვლად ვენახები გაშენდება 1,5 მ რიგთაშორისებით. მთავრობას, რომელსაც სურს, განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა, დამარცხდეს სიღარიბე, უმუშევრობა, რატომ არ აინტერესებს ეს გამოგონება?**

იმიტომ, რომ სიახლე ბურუსითაა მოსილი? ერთი წუთით დავუშვათ, რომ ასეა. იმ სოფლებში, რომლებშიც ყველაზე მძიმე მდგომარეობაა, სესხის ნატურით დაფარვის გადასახადის დამკვიდრება თუნდაც ინვალიდებისა და მრავალშვილიანებისთვის ისეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე, რომელსაც ჯარი მოიხმარს, ნეგატიურია?

გლეხებისთვის აღმაშენებლის ბანკის შექმნა, დაფინანსების წყარო (იხ. წიგნი „ხვალის ვენახი“) აუხსნელი და ალოგიკურია? დავუშვათ, ესეც ასეა.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადახდილი ჯარიმები რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ იყოს მიმართული (ვრცლად იხილეთ წიგნში „ხვალის ვენახი“), ესეც აბსტრაქტული ალეგორიაა? დავუშვათ ერთი წუთით, რომ ესეც ასეა. **დღევანდელი უდიდესი გაჭირვების პირობებში კატეგორიულად რომ აიკრძალოს ბიუჯეტიდან უმაღლეს ეშელონებში მაღალი პრემიების გაცემა, განა ეს რთულია?**

კიდევ ერთი: რა დაშავდება, მცირე ფართობის მფლობელი მევენახეებისთვის სახელმწიფომ „მევენახის მარანი“ რომ შექმნას და მათ საერთაშორისო ბაზრებზე ღვინის რეალიზაციით გადაუხადოს ყურძნის ღირებულების თანხა, რადგან ვაზის სამშობლოში მევენახეები ვერ დგანან საკადრის სიმაღლეზე არა იმიტომ, რომ ცხოვრებას ჩამორჩენილი გლეხკაცები, უმაქნისები არიან, არამედ იმიტომ, რომ ყურძნის ფასი ვერ ფარავს მისი მოყვანის ხარჯებს და გაჭირვების გამო ბევრი ჩალის ფასად აბარებს ყურძენს. ამ პრობლემების მოსაგვარებლად ჩინებული იქნება მევენახეობის რეგიონებში ათასტონიანი „მარნების“ აშენება გლეხთა მცირე რაოდენობის ყურძნის თავმოყრის, გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის. ამით 20 ათასი მევენახე წელში გაიმართება. თუ საშუალოდ მათ ოჯახებში 4-5 წევრს გავითვალისწინებთ, უახლოეს ხანში, სავარაუდოდ, 80-100 ათას ადამიანს ვიხილავთ წელში გამართულს, რადგან **შარშან კილოგრამ ყურძენში მევენახეებმა თუ მიიღეს საფერავში — 85 და რქაწითელში — 50 თეთრი, ჯამში, მთლიანად 30 მილიონი ლარი,**



**მის ნაცვლად კილოგრამ ყურძენში მიიღებენ ათჯერ მეტს, თუნდაც ეტაპობრივად. 300 მილიონი მათ ოჯახებში განაწილდება** იმ მარტივი არითმეტიკით, რომ მცირე ფართობის მფლობელი მევენახეების 40 ათასი ტონა ყურძენი არის 25 მილიონი ბოთლი ღვინო. თუ ერთ ბოთლ ღვინოს, ხარჯების გამოკლებით, ყველაზე მცირე, 12 ლარად ვიანგარიშებთ. მით უმეტეს, რომ ეს კოლოსალური თანხა ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტისა კი არ იქნება, არამედ წამოვა უცხო ქვეყნებიდან. ამით მუდმივად დასაქმდება 6 ათასი მეღვინე, ინჟინერი, ეკონომისტი, მუშა. რა არის აქ მიუღებელი და თავსატეხი? **მარნები კი აშენდეს ყურძენზე გამოყოფილი სუბსიდიით, ანუ კილოგრამ ყურძენში მთავრობის 10 თეთრის ხარჯზე. მაგალითად, ბოლო 15 წლის განმავლობაში ყურძენზე სუბსიდიით გაიცა 800 მილიონი.** სჯობდა, სახელმწიფოს 40 მარნის აშენებაში დაეხარჯა 10-ჯერ ნაკლები — 800 მილიონი, ვიდრე 800 მილიონი ერთნაირად მიეღოთ გალაღებულ მევენახეებსაც და წყალწაღებულებსაც, მაშინ, როცა მთავრობის უმთავრესი მიზანი სიღარიბის დაძლევაა. დარჩენილი **720 მილიონი სოციალურად დაუცველების საოჯახო მეურნეობის განვითარებას რომ მოხმარებოდა, დღეს 160 ათას ადამიანს სოფლად გამარჯვებულს, სახელმწიფოს კი სოციალურად დაუცველებისგან გათავისუფლებულს ვიხილავდით.**

აღმაშენებლის 36-წლიანი მოღვაწეობის აღსანიშნავად დედაქალაქის გულში, გმირთა მოედანზე, აღვმართოთ ნახატზე ნაჩვენები 36-საფეხურიანი მოოქროვილი მემორიალი ოქროს გვირგვინით (ოქროს გვირგვინის დადგმის ხარჯებს გაიღებს ქვლივიძეების საგვარეულო, პირადად კი ვწირავ 10 ტონა ყურძნის ღირებულების თანხას), დაწყებული პირველი საფეხურით 1089 წლიდან და დამთავრებული 1125 წლამდე გადახდენილი მოვლენების მინიშნებით, გარშემორტყმული გმირებით, ქართველ მეფეთა მეფობის წლებით, რაც ოქროს შარავანდედით შემოსავს ჩვენს სახელოვან წინაპრებს, მათ ნაღვაწს, მოიზიდავს უამრავ ტურისტს და დიდ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, რადგან განვითარებულ ქვეყნებში მოწყობილ მემორიალებს, პატრიოტული და ემოციური დანიშნულების გარდა, მილიონობით ტურისტის ხილვის დატვირთვაც აქვს. მით უმეტეს, სახელმწიფოსი ერთი თეთრიც არ იხარჯება, რადგან ამ იდეას პრესაში გამოქვეყნებისთანავე მოჰყვა არა მხოლოდ შეფასება — „თვალსაჩინო მაგალითი მომავალი თაობებისთვის“ (იხ. 2014 წლის 5 და 10 დეკემბრის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“), არამედ თანხების გაღების სურვილიც კი. ამ თანხებმა მემორიალის დადგმის ღირებულებასაც გადააჭარბა. ეს იდეაც ეფემერულია? როგორც ეს არ არის ეფემერული, ისე ზემოთ აღნიშნული იდეები და გამოგონება არაა გაუგებარი, არც ნეგატიური და არც ბურუსით მოსილი. **ერთადერთი „პრობლემა“ არის ის, რომ იგი შექმნილია არა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ, რომლის უპირველესი მოვალეობაც სწორედ სიახლეების შექმნაა, არამედ თამაზ ქვლივიძის ავტორობით** (საავტორო უფლება №1664182), რომელსაც არ ჰყავს გავლენიანი მფარველი. და **განა სირცხვილი არ არის, ინოვაციას, რომელიც არის საფუძველი, რომ ვაზის სამშობლოში მევენახეობა ახლებურად განვითარდეს, „ჩაწყობა“ სჭირდებოდეს?!** სიამაყით მინდა გაცნობოთ ისიც, რომ ეს გამოგონება, რომლის ეკონომიკური ეფექტი ყოველწლიურად მილიარდია, 1992 წელს საჩუქრად გადავეცი საქართველოს (პატენტი 245) იმ მიზნით, რომ ჩვენი სამშობლო ყოფილიყო ამ ინოვაციის პიონერიცა და პატენტმფლობელიც.



ბრძანდებით რა მთავრობის თავმჯდომარე, დღეს თქვენს ხელშია საქართველოს აღმავლობაც და დაღმავლობაც. დასამტკიცებლად მოვიყვან IV საუკუნეში მოღვაწე დიდი ბერძენი ფილოსოფოსის **ანტისფენის** სიტყვებს: „სახელმწიფოები იღუპებიან მხოლოდ მაშინ, როცა კარგს ვერ არჩევენ ცუდისგან“. აქვე შეგახსენებთ განვითარებულ ქვეყნებში საუკუნეების განმავლობაში დადასტურებულსაც: **სახელმწიფო წარმატებულად ვითარდება მხოლოდ მაშინ, როცა მოსახლეობის პირადი ინტერესები ემთხვევა სახელმწიფოს ინტერესებს.**

დარწმუნებული ვარ, მიიღებთ გონივრულ გადაწყვეტილებას.

ამასთანავე, შემიძლია წარმოგიდგინოთ ხვალის ვენახზე ორიენტირებული **მაღალშასიანი ტრაქტორის გამოშვების კონკრეტული პროექტი**, რომელიც დაჯაბნის დღემდე მსოფლიოში შექმნილ მაღალშასიან ტრაქტორებს. ახალი თაობის ინტელექტუალური პოტენციალით გავამდიდროთ ერის მთავარი ყულაბა და ნაირნაირი ინოვაციებით გადავაქციოთ ჩვენი ერთი მტკაველი ქვეყანა მძლავრ განვითარებულ სახელმწიფოდ არა ჰიპოთეზურად, არამედ მყარი ფაქტებითა და არგუმენტებით, რადგან კისერზე გვაწევს ვალი მომავალი თაობებისა.

ლადო ასათიანის სიტყვებით რომ ვთქვათ,

**„რა ქართველი ხარ
და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი
არ ანაცვალე.
ეს აწვალებდა ცოტნე
დადიანს,
მეც ქართველი ვარ
და ეს მაწვალებს“.**

დავამთავრე რა უკვდავი პოეტის სიტყვებით ჩემი წერილი, კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა: გაისად, 2017 წელს, სრულდება ლადო ასათიანის დაბადების 100 წლისთავი. ავუსრულოთ მას ჭაბუკობის ნატვრა და გადავასვენოთ მთაწმინდაზე, რადგან ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, ნახევარი სიმართლე არ იყოსო.

**„გთხოვთ, არ გაიგოთ
სხვანაირ სახით
ეს გახუმრება და
ეს ბარათი,
მე მინდა, თქვენთან
დავიდგა სახლი
და მთაწმინდაზე
დავრჩე მარადის“.**

პატივისცემით,

**თამაზ ქვლივიძე,**
საქართველოს
დამსახურებული
გამომგონებელი

ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2001 წლის 11 სექტემბრის (ტერაქტების სერია ამერიკაში) მომიზეზებით ამერიკელებმა ერაყის ნავთობის ჭაბურღილებზე კონტროლი დააწესეს. ჩვენს მკითხველს უთუოდ ახსოვს, როგორ ირწმუნებოდნენ აშშ-ის მაღალმოხელენი, რომ ერაყში არის მასობრივი განადგურების ქიმიური იარაღი და ამ საფრთხის გასანეიტრალებლად შევიდნენ სუვერენულ ქვეყანაში. მართალია, იქ ვერაფერი იპოვეს, მაგრამ, რადგან ფეხი მოიკიდეს, გამოსვლაზე არც უფიქრიათ. აშშ-მა სრულად აითვისა ნებისმიერი ქვეყნიდან გამოსვლის ხელოვნება ისე, რომ დარჩეს იქ, საიდანაც „გამოვიდა“.**

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-21 (330-350)

**ირანთან აშშ-ის დამოკიდებულება ძალიან რთულია, მაგრამ არა — გაუგებარი. ირანის ნავთობის უზარმაზარი საბადოები ვაშინგტონის კონტროლის გარეშეა დარჩენილი, ხელი არ მიუწვდება ამერიკას. მსუყე ლუკმაა. ამიტომ კონტროლის დაწესება ამერიკის პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია. სამისოდ მუქარასაც იყენებენ და თავსაც უქონავენ სპარსელებს. მეზობელ ავღანეთში ამერიკელების შეიარაღებული ძალების ყოფნაც ზეგავლენის მნიშვნელოვანი ბერკეტია.**

ავღანეთში ამერიკელების შესვლის შემდეგ ნარკოტიკების წარმოება იქ 40-ჯერ გაიზარდა. თალიბებმა ამოძირკვეს ხაშხაშის ნათესები, „საერთაშორისო ტერორიზმთან მებრძოლებმა“ კი ავღანეთი „თეთრი სიკვდილის“ უდიდეს მწარმოებლად გადააქციეს. სამრეწველო წესით დამზადებული ტონობით ნარკოტიკი იგზავნება არა მხოლოდ რუსეთში, ევროპასა და ჩინეთში, არამედ — ირანშიც. ნარკოტრაფიკის მოსაშლელად ირანელებმა უდაბნო ადგილებში გათხარეს 5 მეტრის სიღრმისა და 4 მეტრი სიგანის 800-კილომეტრიანი თხრილი *(იხ. „ვენის ახალი ჟურნალი“, №2, 2009).* აქვე გაჭიმეს მავთულხლართის ღობე 144 კილომეტრზე, მაგრამ ამან საქმეს არ უშველა და ნარკოტიკები ირანელი ახალგაზრდობის დახოცვას განაგრძობს ისევე, როგორც რუსეთისა და ჩინეთის ახალგაზრდობის.

**ერაყი.** აქ ყველაფერი გარკვეულია: ქვეყანა ამერიკის მიერ არის ოკუპირებული. 2001 წლის 11 სექტემბრის (ტერაქტების სერია ამერიკაში) მომიზეზებით ამერიკელებმა ერაყის ნავთობის ჭაბურღილებზე კონტროლი დააწესეს. ჩვენს მკითხველს უთუოდ ახსოვს, როგორ ირწმუნებოდნენ აშშ-ის მაღალმოხელენი, რომ ერაყში არის მასობრივი განადგურების ქიმიური იარაღი და ამ საფრთხის გასანეიტრალებლად შევიდნენ სუვერენულ ქვეყანაში. მართალია, იქ ვერაფერი იპოვეს, მაგრამ, რადგან ფეხი მოიკიდეს, გამოსვლაზე არც უფიქრიათ. აშშ-მა სრულად აითვისა ნებისმიერი ქვეყნიდან გამოსვლის ხელოვნება ისე, რომ დარჩეს იქ, საიდანაც „გამოვიდა“.

წავიდნენ ჯარისკაცები, დარჩა ნავთობკომპანიები. წავლენ ნავთობკომპანიები — დაბრუნდებიან ჯარისკაცები, რათა ნავთობკომპანიებმა მშვიდად დაბრუნება შეძლონ.

**ქუვეითი.** აქ, როგორც საუდის არაბეთში (და კიდევ — მექსიკაში) უცხოეთის ნავთობკომპანიებს უფლება არ აქვთ, ჩადონ ინვესტიციები ადგილობრივი ნავთობისა და გაზის მარაგების ათვისების ინდუსტრიაში. ოდესმე რამე ცუდი გსმენიათ ამ ქვეყნებზე? მაგალითად ის, რომ იქ შეუძლებელია მუშაობა? ვინმეს რამე უთქვამს, რომ ამ ქვეყნებში, უწინარესად კი, ქუვეითში, შეუძლებელია თავისუფალი მეწარმეობა, რადგან მას (სამეწარმეო საქმიანობას) ახრჩობენ? რომ ნავთობის დარგი წარმოუდგენლად უეფექტოა?

ვერ მოისმენდით, რადგან ხმა არავის ამოუღია — არც პოლიტოლოგებს, არც ეკონომისტებს აუგი არ წამოსცდენიათ არაბებზე, რომლებსაც არ სურთ ნავთობის მწარმოებელი გიგანტების შეშვება თავიანთ ტერიტორიაზე.

კრინტიც არ დაუძრავთ იმიტომ, რომ **ქუვეითი, რომელსაც ნავთობის უმდიდრესი მარაგი აქვს, ამერიკელებმა სადამ ჰუსეინის ხელყოფისგან „იხსნეს“. და მას შემდეგ ამ ქვეყანაში დამკვიდრდა „გადამრჩენთა“ სამხედრო ბაზები — „ალი ალ სალემი“ და „აჰმედ ალ ჯაფერი“.**

საინტერესოა, ქუვეითის მთავრობა თავისი თვალსაზრისის მიხედვით თუ იღებს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

„ნავთობის ფასი, უნდა ვივარაუდოთ, არ გაძვირდება ერთი ბარელი 40 დოლარზე მეტად, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ *(ოპეკმა)* რომც შეამციროს ნავთობის მოპოვების მოცულობა“, — მიიჩნევდა თავის დროზე ქუვეითის ნავთობის საკითხების საბჭოს წარმომადგენელი **მუსა მარაფი.** მან აღნიშნა, რომ „შავი ოქროს“ ფასზე სერიოზულად მოქმედებს აშშ-ის ნავთობის სასაქონლო მარაგის ზრდა, ოპეკის წევრი რიგი ქვეყნების მიერ ნავთობის მოპოვების დასაშვები კვოტების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა და ოპეკის არაწევრი ნავთობის მომპოვებელი ქვეყნების გავლენა, — იუწყებოდა **„ასოშიაიტედ პრესი“.**

„2009 წელს ერთი ბარელი ნავთობის ფასი 40-60 აშშ დოლარი იქნებოდა. ეს ვარაუდი გამოთქვა ინდონეზიის ფინანსთა მინისტრმა **შრი მულიანი ინდრავატიმ.** მან ასევე აღნიშნა, რომ 2009 წელს ბიუჯეტი დაეფუძნება ერთი ბარელის 45 დოლარის ღირებულებას, — იუწყებოდა **„როიტერი“.**

ეს ორი ცნობა საინფორმაციო სააგენტოებმა ორი საათის ინტერვალით გაავრცელეს. აშკარად ჩანს, რომ ქუვეითი პესიმისტია, ინდონეზია — ოპტიმისტი. რატომაა პერსპექტივის მათეული აღქმა ასე რადიკალურად განსხვავებული?

იმიტომ, რომ ქუვეითის ტერიტორიაზე არის აშშ-ის ბაზები, ინდონეზიაში კი არ არის. ამიტომაა, რომ „თავისუფალი“ ქუვეითი „თავისუფალ“ ერაყსა და „სრულად თავისუფალ“ საუდის არაბეთთან ერთად ცდილობს ნავთობის გაიაფებას, ხოლო „პატიოსანი“ ინდონეზია, როგორც ეკადრება ნორმალურ ვაჭარს, ცდილობს საქონლის (ამ შემთხვევაში — ნავთობის) ძვირად გაყიდვას.

**გაერთიანებულ არაბულ საამიროებშიც** არის განლაგებული აშშ-ის სამხედრო ბაზები — „ალ დაფრა“ და „ფუჯაირა“. ეს ქვეყანაც შედის ამერიკის კუთვნილ საკონტროლო პაკეტში. იგი დამოუკიდებელი გახდა 1971 წელს, როცა ინგლისის ჯარებმა დატოვეს მისი ტერიტორია.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ქვეყანა ნავთობითაა მდიდარი. ამათ მოჰყვება **ვენესუელა, რუსეთი** და **ლიბია. ირანიც** დავუმატოთ. არც ერთი მათგანი აშშ-ის კონტროლს არ ექვემდებარება, მაშასადამე, „არადემოკრატიულია“.

კონტროლის დაწესების მეთოდები ყოველთვის ერთი და იმავე ტიპისაა: არჩევნები, სახელმწიფო გადატრიალება და სამხედრო ჩარევა. სამად სამი — სულ ესაა! ცალ-ცალკე ამოქმედებული და ერთმანეთის გადამკვეთი — ჩანაცვლებით ან ერთდროულად. დღეს ყველაზე მოდურია არჩევნები (**უკრაინა, საქართველო**), გასული საუკუნის 80-90-იან წლებში უმეტესად საომარ მოქმედებას იყენებდნენ (**პანამა, გრენადა, ერაყი**). უფრო ადრე კი — აშშ-ის საყვარელი ძველი მეთოდი — სახელმწიფო გადატრიალება იყო მოდური.

1903 წელს, როცა ფრანგმა ინჟინერმა **ფერდინანდ ლესეპსმა** გადაწყვიტა ატლანტისა და წყნარი ოკეანეების შეერთება სუეცის არხით, მისი იდეა სწრაფად აიტაცეს ამერიკელებმა. ფრანგი თანდათან ჩამოაცილეს პროექტის რეალიზაციას. პანამა, რომლის ტერიტორიაზეც აპირებდნენ არხის გაჭრას, იმხანად კოლუმბიის პროვინცია იყო. **აშშ მოითხოვდა, რომ პანამის არხი მის გამგებლობაში გადაეცა ამ ლათინოამერიკულ ქვეყანას. კოლუმბიელებმა უარი თქვეს. მაშინ ამერიკელებმა გაგზავნეს ჯარი და კოლუმბიელების ერთმა ჯგუფმა ამერიკელების კარნახით კოლუმბიიდან გამოყოფისა და ახალი სახელმწიფოს, პანამის, შექმნის შესახებ განაცხადა.** „ცხელ კვალზე“ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის ძალით პანამის არხის ზონა აშშ-ის საუკუნო მფლობელობაში გადადიოდა. პანამას კი ყოველწლიურად იჯარის ღირებულება უნდა მიეღო. საინტერესოა, რომ ამ ხელშეკრულებას არც ერთი პანამელი ხელს არ აწერს. **დოკუმენტი „დამშვენებულია“ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჰეისა და ფრანგი ინჟინრის — ფილიპ ბიუნოვარილიას ხელმოწერებით.**

**1977 წელს** პრეზიდენტმა **ომარ ტორიხოსმა** აშშ-თან ორი ახალი ხელშეკრულება დადო, რომელთა ძალითაც შეიცვალა ძველი ხელშეკრულებით დადგენილი პანამის არხის სტატუსი. ქალაქი პანამა დამოუკიდებელი რესპუბლიკის დედაქალაქი გახდა. აქ განთავსდა პრეზიდენტისა და მთავრობის რეზიდენციები, რომლებსაც უნდა გაეკონტროლებინა არხის ზონა და თვით არხი. 1981 წელს კი ტორიხოსი ააფეთქეს თავის თვითმფრინავში. პანამის პრეზიდენტი გახდა გენერალი **ნორიეგა,** რომელიც მანამდე ამერიკის დაზვერვის აგენტი იყო 20 წლის განმავლობაში.

**1989 წლის 20 დეკემბერს** აშშ-ს პანამაში თავისი ჯარის ნაწილები შეჰყავს, ნორიეგას თანამდებობიდან ნარკოვაჭრობის ბრალდებით გაისტუმრებენ. გენერალი დააპატიმრეს, გადაიყვანეს აშშ-ში და 40 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. იგი იყო უცხო ქვეყნის პირველი მეთაური, რომელიც აშშ-ის კანონების დარღვევისთვის გაასამართლეს. ამჟამად პანამის ხელისუფლების სათავეში დგანან იმ ოჯახების წარმომადგენლები, რომლებიც ტორიხოსამდე მართავდნენ ქვეყანას. **ხელშეკრულება, რომლის ძალითაც არხი პანამას დაუბრუნდა, არავის გაუუქმებია, ფორმალურად მოქმედებს, მაგრამ მას ორივე მხარე „ვერ ამჩნევს“.**

ვითომ არც არსებობს.

**1914 წელს** აშშ-მა დაიპყრო **ჰაიტი** (ოკუპაცია მოახდინა, როგორც ახლა იტყვიან) წესრიგის დამყარების მომიზეზებით. ამერიკელები ამ ქვეყნიდან მხოლოდ 20 წლის შემდეგ წავიდნენ.

**1933 წელს** კუბელმა სამხედროებმა, **ფულხენსიო ბატისტას** მეთაურობით, თანამდებობიდან გადააყენეს პრეზიდენტი **მაჩადო.** დიქტატორი ბატისტა **ფიდელ კასტრომ** დაამხო.

**1954 წელს** აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ **გვატემალაში** მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება. ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს რეფორმატორულად განწყობილი **ხაკომო არბენსი.** დასავლეთში გვატემალას მოიხსენიებდნენ, როგორც „დემოკრატიული პროცესის ნიმუშს“, მაგრამ არბენსმა დაიწყო მიწის რეფორმის განხორციელება, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ქვეყნის მიწის ფართობის 70 პროცენტს მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტი ფლობდა. დაიწყო და... გვატემალისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა — ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ქვეყნის დედაქალაქი გვატემალა დაბომბეს.

შედეგად ხელისუფლების სათავეში დაჯდა პოლკოვნიკი **კარლოს კასტილიო არმასი.**

მიწის რეფორმა გააუქმეს, გააუქმეს არჩევნები და მმართველობის სხვა დემოკრატიული ფორმები. ორმოცი წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში მყოფი სამხედროები ებრძოდნენ მემარცხენე ამბოხებულებს. ამ დაპირისპირებას 200 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

**1965 წელი. ინდონეზია.** ნიდერლანდის სამეფოს ეს კოლონია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იაპონელების მიერ იყო ოკუპირებული. ომის დამთავრების შემდეგ კიდევ ოთხ წელიწადს იბრძოდა ინდონეზია დამოუკიდებლობისთვის, რომელიც 1949 წელს მოიპოვა. 1963 წლისთვის ქვეყანაში ჩამოყალიბდა ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც ემეგობრებოდა საბჭოთა კავშირს. არმია საბჭოთა იარაღით იყო აღჭურვილი. შემდგომი მოვლენები ირანის პრემიერმინისტრ **მოსადიკის** დამხობის (1953 წელს) მსგავსად განვითარდა. ძალაუფლება ხელთ იგდეს სამხედროებმა. ის, რაც შემდეგ მოხდა, დღეს პრაქტიკულად დავიწყებულია.

მოხდა კი ნამდვილი „ბართლომეს ღამე“. **სხვადასხვა მონაცემით, 300** ▶



ამერიკელი ჯარისკაცები ჰაშიშის პლანტაციაში

**ამერიკელებთან დაპირისპირებამ რუსეთისა და ჩინეთისკენ უბიძგა უგო ჩავესს. იმიტომ, რომ დღეს მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე მხოლოდ სამი მოთამაშეა: კონსოლიდირებული დასავლეთი აშშ-ის მეთაურობით, ჩინეთი და რუსეთი. დანარჩენები პროცესის მონაწილეები არიან. მოსკოვთან და პეკინთან ჩავესის დაახლოებამ ამერიკას უბიძგა, დაეჩქარებინა მისი მოცილება. ასეთი იყო პოლიტიკური დახშული წრე...**

# ქუვეითი, რომელსაც ნავთობის უმდიდრესი მარაგი აქვს, ამერიკელებმა სადამ ჰუსეინის ხელყოფისგან „იხსნეს“. და მას შემდეგ ამ ქვეყანაში დამკვიდრდა „გადამრჩენთა“ სამხედრო ბაზები — „ალი ალ სალემი“ და „აჰმედ ალ ჯაფერი“.

გესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ათასიდან 500 ათას კაცამდე დახოცეს. ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ყველა წევრი და მათთან ერთად ჩინელები და უმიწო გლეხები სიცოცხლეს გამოასალმეს.** აღმოსავლეთ და ცენტრალური იავიაზე, ბალზე და აჩეხის პროვინციაში ამოწყვიტეს სოფლის მოსახლეობა. ვინ ურჩია ინდონეზიელ სამხედროებს, ასე მოქცეულიყვნენ? რატომ ვერ შენიშნეს უფლებადამცველებმა ეს არნახული დანაშაული?!

**1973 წელი. ჩილე.** ხელისუფლების სათავეში **პინოჩეტის** მოსვლა. მისი მმართველობის 17 წლის განმავლობაში ათობით ათასი ადამიანია დაღუპული. 1964 წელს აშშ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ 4 მილიონი დოლარით დააფინანსა პრეზიდენტობის კანდიდატი **ედუარდო მონტალვა,** რომელიც მემარცხენე პოლიტიკოსის **სალვადორე ალიენდეს** მთავარი კონკურენტი იყო. მაგრამ არჩევნები ალიენდემ მოიგო. მაშინ ცსს-მ მოაწყო პინოჩეტის სახელმწიფო გადატრიალება.

ამერიკის პოლიტიკის ლაბირინთებში ჩვენი ეს ექსკურსია საკმაოდ ზედაპირულია. ამჯერად წიგნში განსახილველ თემის ჩარჩოები საშუალებას არ გვაძლევს ისეთ საინტერესო მომენტებზე შევჩერდეთ, როგორიც არის **„1956 წლის მოვლენები უნგრეთში“, „პრაღის გაზაფხული“, „პოლონეთის სოლიდარობა“...**

ჩვენი დროც მდიდარია აშშ-ის პოლიტიკის მრავლისმეტყველი მაგალითებით, რომელთა მთავარი დანიშნულებაა ნავთობმომპოვებელი ქვეყნების ამერიკელების კონტროლს დამორჩილება.

ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითია **ვენესუელა.**

1922 წელს ნავთობის უზარმაზარმა ჭავლმა მიწიდან ამოხეთქა მარაკაიბოს მახლობლად. **1930 წელს ვენესუელა მსოფლიოში ნავთობის ექსპორტიორ უმსხვილეს სახელმწიფოდ წარმოგვიდგა.** ქვეყანამ გამდიდრება დაიწყო, მაგრამ მალე აღმავლობა ფრიად სამწუხარო შედეგით დასრულდა. იყო თუ არა ამის მიზეზი ყბადაღებული „ნავთობის ნემსი?“ დიახ, იყო, მაგრამ მთავარი დამნაშავე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსგავსი) და ვენესუელის ხელმძღვანელობა იყო, რომელიც ბრმად ასრულებდა მათ ყველა განკარგულებას. შედეგად 1978 წლიდან 2003 წლამდე მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი 40 პროცენტით შემცირდა.

1998 წელს ვენესუელას პრეზიდენტად აირჩიეს მედესანტე ოფიცერი **უგო ჩავესი**, რომელმაც ვენესუელის ნავთობიდან მიღებული შემოსავლის თავისი ქვეყნის სასარგებლოდ მოხმარებას დაუდო სათავე. მან დაამკვიდრა საყოველთაო განათლებისა და ჯანდაცვის სისტემა, მკაცრი კონტროლი დაუწესა სახელმწიფო ნავთობკომპანია „პეტროლეუს დე ვენესუელას“. ნავთობის მოპოვებისგან მიღებული მოგება წარიმართა საავადმყოფოებისა და სკოლების ასაშენებლად, აგრარული რეფორმის განსახორციელებლად. ჩავეში შეუდგა მრეწველობის დარგების ნაციონალიზაციას.

2000 წელს უგო კვლავ აირჩიეს პრეზიდენტად, ახალი კონსტიტუციის მოთხოვნის თანახმად, 2002 წელს კინაღამ დაკარგა ძალაუფლება.

უგო ჩავესის ჩამოგდების სცენარი ძალიან ჰგავდა კიევის „მაიდნის“ სცენარს: ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში მთელი ქვეყნიდან დაიწყეს „უკმაყოფილოების“ ჩამოყვანა.

მიტინგური ვნებათაღელვის ფონზე, ფიცის გამტეხმა სამხედროებმა მოამზადეს და განახორციელეს ჩავესის უეცარი დაპატიმრება. 2002 წლის 11 აპრილს დააპატიმრეს, მაგრამ სამი დღის შემდეგ, 14 აპრილს, იძულებულნი შეიქნენ, გაეთავისუფლებინათ მისდამი ლოიალურად განწყობილი არმიის ნაწილებისა და მრავალრიცხოვან მომხრეთა მოთხოვნით.

ქვეყნის სათავეში სამი დღის განმავლობაში იდგა **პედრო კარმონა**, რომელიც ვენესუელის „ნარინჯისფერ რევოლუციას“ ხელმძღვანელობდა და არავითარი უფლება არ ჰქონდა, დაეკავებინა პრეზიდენტის პოსტი.

მხოლოდ სამი დღე. მაგრამ **ეს 72 საათი საკმარისი აღმოჩნდა, აშშ-ს ეცნო ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობა. ამერიკელები მიესალმნენ გადატრიალებას, რომელმაც „კეთილისმყოფელი გავლენა იქონია ვენესუელის დემოკრატიაზე“.**

ამ დიდმა დემოკრატმა სამ დღეში დაითხოვა პარლამენტი, შეაჩერა გენერალური პროკურორისა და სახელმწიფო კონტროლიორის საქმიანობა, გააუქმა ჩავესის პრეზიდენტობის დროს მიღებული კანონმდებლობა, რომლის ძალით ეროვნული სიმდიდრის ნაწილი დაურიგდა უპოვართ.

სულ ეს იყო.

ჩამოგდებული პრეზიდენტის ათიათასობით მომხრემ მოაწყო „ანტიმაიდანი“ და გაათავისუფლა დაპატიმრებული უგო ჩავესი.

პედრო კარმონა გაიქცა.

სად?

რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

როგორ შეაფასა ეს სიტუაცია „დამოუკიდებელმა“ მსოფლიო მედიამ? „ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი გადადგა სამხედრო ძალის ზეგავლენით და ოპოზიციის მასობრივი დემონსტრაციის შედეგად, რომელიც ზღვა სისხლით დამთავრდა. ჩავესმა თავი შეაფარა „ფუერტე ტიუნას“ სამხედრო ბაზას კარაკასში“. ასეთი წარწერა ჰქონდა სააგენტო **„ასოშიეიტედ პრესის“** სააგენტოს ფოტოსურათს, რომელიც 2002 წლის 13 აპრილს იყო გადაღებული. ჩავესის მიერ ძალაუფლების დაბრუნების შემდეგ, იმავე სააგენტომ თავი არ შეიწუხა ასეთი უცნაური წაჯექ-უკუჯექობის კომენტირებით. დასავლეთის მასმედიაში არავის უხსენებია სამხედრო გადატრიალება, ყველა ჯიუტად იმეორებდა ერთსა და იმავეს, კერძოდ, რომ ჩავესი „წავიდა“ და ამდენი დაღვრილი სისხლის შემდეგ მისი მმართველობის გაგრძელება შეუძლებელი იქნებოდა.

გადატრიალების შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **კონდოლიზა რაისმა** ურჩია ვენესუელის პრეზიდენტს, გამოეტანა დასკვნა ამ მოვლენიდან.

უგო ჩავესს შესანიშნავად ესმოდა, რომ ძლიერი მომხრეების გარეშე ვერ შეინარჩუნებდა ხელისუფლებას თავის ქვეყანაში, რომელიც მდიდარია ნავთობით, რასაც ამერიკელები ჭკუიდან გადაჰყავს.

ამერიკელებთან დაპირისპირებამ რუსეთისა და ჩინეთისკენ უბიძგა უგო ჩავესს, იმიტომ, რომ **დღეს მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე მხოლოდ სამი მოთამაშეა: კონსოლიდირებული დასავლეთი აშშ-ის მეთაურობით, ჩინეთი და რუსეთი. დანარჩენები პროცესის მონაწილეები არიან.** მოსკოვთან და პეკინთან ჩავესის დაახლოებამ ამერიკას უბიძგა, დაეჩქარებინა მისი მოცილება. ასეთი იყო პოლიტიკური დახშული წრე...

**რუსეთისთვის ვენესუელა ნავთობის სფეროში სერიოზული მოკავშირეა. ეს კავშირი მნიშვნელოვანია, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ ამ ორი სახელმწიფოს ერთობლივმა მოქმედებამ არ უნდა დაუშვას ამერიკელების მიერ „შავი ოქროს“ გაიაფების მცდელობა. არადა, ნავთობის ფასი ეცემა, მაგრამ ვინ იცის, რა ელირებოდა იგი, აშშ-ს უგო ჩავესის ჩამოგდების შედეგად ვენესუელა თავისი კონტროლისთვის რომ დაექვემდებარებინა.**

ვენესუელა რუსეთის მთავარი მოკავშირეა ოპეკში, ამიტომ რუსეთის ხელმძღვანელობამ იმ საკმაოდ რთულ სიტუაციაში არაორდინალური ღონისძიებები განახორციელა.

მკითხველების უმრავლესობას უთუოდ ეხსომება რუსეთის სამხედრო ესკადრის მარათონი სამხრეთ ამერიკის სანაპიროსკენ ვენესუელელებთან ერთად სამხედრო-საზღვაო წვრთნის ჩასატარებლად. გიფიქრიათ, რატომ გააგზავნეს მაინცდამაინც იქ და იმ დროს რუსეთის საბრძოლო ხომალდები?

**2008 წლის 23 ნოემბერს** ვენესუელაში უნდა გამართულიყო რეგიონული არჩევნები.

უმნიშვნელოა?

არა, უმნიშვნელო არ არის, რადგან ეს არჩევნები განიხილებოდა, როგორც ვენესუელის პრეზიდენტის დასამხობი პირველი საფეხური.

როდის ჩავიდა რუსეთის ესკადრა ვენესუელაში?

**2008 წლის 25 ნოემბერს.** რატომ არჩევნების ჩატარების შემდეგ და არა მანამდე? იმიტომ, რომ არავის მისცემოდა ქვეყნის საშიანო საქმეებში ჩარევის საბაბი, მაგრამ, ამასთანავე, უნდა მომხდარიყო რუსეთის მტკიცე პოზიციის დემონსტრაცია. რუსეთის ესკადრა ვენესუელის ნაპირებს მიადგა, რათა იქ ყოფნით მხარი დაეჭირა პრეზიდენტისთვის და საჭირო შემთხვევაში დაებლოკა მორიგი „ნარინჯისფერი რევოლუცია“.

რა შედეგით დამთავრდა არჩევნები? ჩავესის მომხრეებმა გაიმარჯვეს 17 პროვინციაში, ოპოზიციონერებმა — ხუთში. არსად არავითარი არეულობა არ ყოფილა. ამერიკელებმაც აღარ გაართულეს სიტუაცია... იქნებ, რუსეთის ესკადრის ჩასვლამ გაამართლა თავისი დანიშნულება?..

ვინ იცის ზუსტად, ვინ იმყოფებოდა სამხედრო გემებზე, რა იდო მათ ტრიუმებში? ვინ დასეირნობდა სანაპირო ბულვარში მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი?

იციან მხოლოდ მათ, ვინც უნდა იცოდეს.

ფაქტები კი პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ეს არ იყო წვრთნა წვრთნისთვის. არჩევნების კვალზე რუსეთის პრეზიდენტი ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში ჩავიდა.

მიმხვედრი მიხვდება.

თანამედროვე პოლიტიკის კულტურა იმითაა გამორჩეული, რომ პოლიტიკოსები სათქმელს პირდაპირ არ ამბობენ, ამიტომ იყო, რომ რუსული ესკადრის ორთვიანი ცურვის ოფიციალურ მიზნად გამოაცხადეს სამხედრო წვრთნა ვენესუელის ტერიტორიულ წყლებში. იქ ჩასვლის ზუსტი თარიღი, ისევე, როგორც წვრთნის დაწყების დღე, მედიაში არ გამოქვეყნებულა: გაზეთებში აღნიშნული იყო „ნოემბერი“. ეს კი ნიშნავდა, რომ, თუ საჭირო შეიქნებოდა, ესკადრა აჩქარდებოდა.

როგორი იყო აშშ-ის რეაქცია?

რუსეთის ესკადრას ცურვას ვერავინ აუკრძალავდა. შეეძლოთ მხოლოდ საჭირო ინფორმაციული ფონის შექმნა... რუსეთის დაცინვით, მისი ფლოტის გამასხარავებით.

სცადეს და არაფერი გამოუვიდათ, რადგან სამხედრო გემები დანიშნულ ადგილას დანიშნულ დროს ჩავიდნენ.

იყო თუ არა ეს მანევრი კუნთების თამაში? არა, არ ყოფილა. საჭიროდ არ მიიჩნიეს ზეწოლა ამერიკაზე, სადაც 2008 წლის 4 ნოემბერს საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გამართულიყო. რუსეთი იცავდა თავის კანონიერ და მარტივად გასაგებ ინტერესს: იბრძოდა იმისთვის, რათა „საბეჭდი მანქანის“ პატრონებს „პლინტუსზე ქვემოთ“ არ დაეწიათ ნავთობის ფასი.

ამ დაპირისპირების სპეციფიკა არის ის, რომ იგი (დაპირისპირება) მთელ დედამიწაზე მიმდინარეობს, ამიტომ თავდაცვა მხოლოდ საკუთარ ტერიტორიაზე საჭირო შედეგს ვერ გამოიღებს. ამ საიდუმლო დაპირისპირების ეპიზოდების უმრავლესობა სამუდამოდ დაივანებს არქივების თაროებზე გრიფით „სრულიად საიდუმლო“.

თემას მომდევნო ნომერში ლიბიისა და ნიგერიის მაგალითზე გავაგრძელებთ.

**ამ მოითხოვდა, რომ პანამის არხი მის გამგებლობაში გადაეცა ამ ლათინოამერიკულ ქვეყანას. კოლუმბიელებმა უარი თქვეს. მაშინ ამერიკელებმა გაგზავნეს ჯარი და კოლუმბიელების ერთმა ჯგუფმა ამერიკელების კარნახით, კოლუმბიიდან გამოყოფისა და ახალი სახელმწიფოს — პანამის — შექმნის შესახებ განაცხადა. „ცხელ კვალზე“ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის ძალით პანამის არხის ზონა აშშ-ის საუკუნო მფლობელობაში გადადიოდა. პანამას კი ყოველწლიურად იჯარის ღირებულება უნდა მიეღო. საინტერესოა, რომ ამ ხელშეკრულებას არც ერთი პანამელი ხელს არ აწერს**



პანამის არხი




**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნახატზე, რომელსაც „წმინდა ანტონის ცდუნება“ ჰქვია, გამოსახულია ჯოხზე დაყრდნობილი წმინდანი, რომელიც დოქს წყლით ავსებს. სავარაუდოდ, ნამუშევარი იმ ტრიპტიქის ნაწილია, რომელიც 1501 წლის შემდეგ ლისაბონში (პორტუგალია) ანტიკური ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში ინახება.**



# დამყარდა მონაცემთა უსადენო გადაცემის სიჩქარის ახალი რეკორდი

**გერმანელ ინჟინერთა ჯგუფმა მონაცემთა უკაბელო გადაცემის სიჩქარის ახალი რეკორდი დაამყარა. ფრაუნჰოფერის ფიზიკის ინსტიტუტის მკვლევართა ჯგუფმა მყარი სხეულების გამოყენებითი შეძლო გადაცემის სიჩქარის 10-ჯერ გაზრდა.**

ინჟინერთა გუნდმა გამოიყენა 71-76 ჰერცი სიხშირის დიაპაზონი, რომელიც ჩვეულებრივ მიწისზედა და სატელიტური მაუწყებლობებისთვის გამოიყენება. ახალი რეკორდის დასამყარებლად გუნდმა სერიოზული მუშაობა გასწია, რათა მინიმალურად შეემცირებინა დანაკარგები გადაცემულ სიგნალსა (ხმაურს) და მის კორექციაში. ამისთვის მეცნიერებმა ააგეს სისტემა ულტრათანამედროვე გადამცემებისა და მიმღებებისგან. მიმღებები გალიუმის ნიტრიდის ნახევარგამტარული მიკროსქემების ბაზაზე აშენდა. სწორედ მათ უზრუნველყვეს ძალიან მძლავრი სიგნალის წარმოქმნა, რომელიც გადაიცემოდა ფოკუსირებული პარაბოლური ანტენით.

სიგნალის გადაცემა ხდებოდა 45-სართულიანი კოშკიდან (კელნის ცენტრიდან) კოსმოსური დაკვირვების რადარით (რომელიც ვახტბერგში მდებარეობს და გადამცემი სადგურიდან 37კმ-ითაა მოშორებული). მიმღებად მკვლევარებმა გამოიყენეს გამაძლიერებლები ხმაურის დაბალი დონით, აგებული ინდიუმის, გალიუმისა და არსენიდის ტრანზისტორების ბაზაზე. მათი მგრძნობელობა ყველაზე სუსტი სიგნალების დაჭერის საშუალებას იძლევა.

შედეგად მიღწეული იქნა სიჩქარე 6 გიგაბიტი წამში. მკვლევარები ამბობენ, რომ ასეთი გადაცემა და სიჩქარე სავსებით საკმარისია 24 მეგაბიტი სიჩქარის 250 ინტერნეტკავშირისთვის ადგილებში, სადაც შეუძლებელია საკაბელო კავშირის გამოყენება.

რეკორდსმენები ამბობენ, მსგავსი სისტემის ბაზაზე შესაძლებელია ბოჭკოვანზე ეკონომიურად გაცილებით მომგებიანი შემცვლელის შექმნა.

# რუსი მილიარდერი 100 მილიონ დოლარს იხდის «ალფა კენტავრის» შესასწავლად

**მილიარდერი იური მილნერი, კოსმოსის უკეთ შესწავლის მიზნით, დამატებით 100 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს.**




**ეს თანხა კოსმოსში პატარა კოსმოსური ხომალდების გაგზავნას მოხმარდება, რათა ისინი ჩვენი პლანეტის მეზობელ ვარსკვლავთა სისტემაში გაემგზავრონ და იქიდან სურათები გამოგზავნონ.**

წარმატების შემთხვევაში, მეცნიერები შეძლებენ გაარკვიონ, არსებობს თუ არა დედამიწის მსგავსი სასიცოცხლო პირობები „ალფა კენტავრზე“, რომელიც ჩვენი პლანეტისგან 25 ტრილიონი კილომეტრით დაშორებული ვარსკვლავთა სისტემაა.

აღსანიშნავია, რომ მილნერმა დააფინანსა კიდევ ერთი 100-მილიონიანი ათწლიანი პროექტი Breakthrough Listen-ი, რომელიც არამიწიერი ცივილიზაციებიდან სიგნალის მიღებას ითვალისწინებდა.

რაც შეეხება ახალინიცირებულ პროექტ Breakthrough Starshot-ს, ის სინათლისძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებით კოსმოსში კამერებისა და საკომუნიკაციო საშუალებების განთავსებას ითვალისწინებს.

# ნიდერლანდებში ბენზინსა და გაზზე მომუშავე ავტომანქანები აღარ გაიყიდება



**ნიდერლანდების პარლამენტის ქვედა პალატამ მხარი დაუჭირა ლეიბორისტთა პარტიის ინიციატივას, რომლის თანახმად, 2025 წლიდან ნიდერლანდებში მხოლოდ ელექტრომობილები გაიყიდება.**

ლეიბორისტებმა, ასევე, წარადგინეს პროექტი, რომელიც მომდევნო 14 წლის განმავლობაში არაეკონომიური ავტომობილების გაყიდვის აკრძალვას ითვალისწინებდა.

**ცნობისთვის: 2013 წელს ჰოლანდიის ხელისუფლებამ ხელი მოაწერა ენერგეტიკულ შეთანხმებას 40 ორგანიზაციასთან „მწვანე ენერგიის“, მავნე გამონაბოლქვის შემცირებისა და ეკოლოგიური სახლების მშენებლობის პროპაგანდის თაობაზე.**



ტრიპტიქი „წმინდა ანტონის ცდუნება“

# აღმოაჩინეს ბოსხის უცნობი ტილო

**ნიდერლანდებში გამოფენენ ნახატს, რომელშიც ხელოვნებათმცოდნეებმა იერონიმ ბოსხის (1450-1516) ნამუშევარი ამოიცნეს.**

ნახატი 1930-იანი წლებიდან ამერიკულ კანზას-სითიში, ნელსონ-ატკინსის სამხატვრო გალერეაში ინახებოდა. საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფი ნამუშევარს ინფრაწითელი ტექნოლოგიების დახმარებით ხუთი წლის განმავლობაში სწავლობდა და მივიდა დასკვნამდე, რომ ნახატის ავტორი ბოსხია.

ნახატზე, რომელსაც **„წმინდა ანტონის ცდუნება“** ჰქვია, გამოსახულია ჯოხზე დაყრდნობილი წმინდანი, რომელიც დოქს წყლით ავსებს. სავარაუდოდ, ნამუშევარი იმ ტრიპტიქის ნაწილია, რომელიც 1501 წლის შემდეგ ლისაბონში (პორტუგალია) ანტიკური ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში ინახება.

ტილო, სავარაუდოდ, 1500-1510 წლებშია დახატული. იგი, მეცნიერთა აზრით, ჰოლანდიელი ოსტატის ნამუშევრების ისედაც მცირე კოლექციისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ნიშანდობლივია, რომ ნახატის გამოფენა ბოსხის მშობლიურ ქალაქ ჰერტოგენბოსის მუზეუმ Noordbrabants-ში მხატვრის გარდაცვალებიდან 500 წლის იუბილეს დაემთხვა.



ნახატი, რომელზეც გამოსახულია ჯოხზე დაყრდნობილი წმინდანი



**გიგანტურ საზღვაო ხომალდს ერთდროულად 5 ათასზე მეტი დამსვენებლის მიღება შეუძლია. მასზე განთავსებულია ათეულობით ბარი და რესტორანი, აკვაპარკი, რამდენიმე საცურაო აუზი, თეატრი, კაზინო, კედელი მთამსვლელებისთვის და გართობის უამრავი სხვა საშუალება.**

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიოში ყველაზე დიდი საკრუიზო ლაინერი

**საფრანგეთში მსოფლიოში ყველაზე დიდი საკრუიზო ლაინერის, Harmony of the Seas, მშენებლობა 30 თვე მიმდინარეობდა.**

ლაინერის წონა 227, 5 ათასი ტონაა, სიგანე – 66 მ, სიგრძე – 362 მ, ბორტზე იტევს დაახლოებით 6, 4 ათასი მგზავრსა და 2 ათასზე მეტ ეკიპაჟის წევრს.

შედარებისთვის: ეიფელის კოშკის სიმაღლე 324 მეტრია.

როგორც ცნობილია, გიგანტურ საზღვაო ხომალდს ერთდროულად 5 ათასზე მეტი დამსვენებლის მიღება შეუძლია. მასზე განთავსებულია ათეულობით ბარი და რესტორანი, აკვაპარკი, რამდენიმე საცურაო აუზი, თეატრი, კაზინო, კედელი მთამსვლელებისთვის და გართობის უამრავი სხვა საშუალება.

15 მაისს ლაინერი საფრანგეთიდან საუთჰემპტონისკენ (კუნძული კანადაში) დაიძრა, ხოლო მისი ძირითადი ადგილსამყოფელი ბარსელონა იქნება.

პირველ სეზონზე ლაინერი დამსვენებლებს ერთკვირიან დასავლურ კრუიზებს სთავაზობს.

ზაფხულის ბოლოს ლაინერი Harmony of the Seas ატლანტიკურ ოკეანეს გადაკვეთს და აშშ-ისკენ აიღებს გეზს.







# პარალიზებულ ახალგაზრდა მამაკაცს თავის ტვინში ჩიპი ჩაუდგეს

**უბედური შემთხვევის შედეგად პარალიზებულ ახალგაზრდა მამაკაცს თავის ტვინში ჩიპი ჩაუდგეს, რომელიც ტვინს ზურგის ტვინის გვერდის ავლით აძლევს „ბრძანებას“.**



ახალი ტექნოლოგიის წყალობით, ოჰაიოს მკვიდრ 24 წლის იან ბერჰარტს შეუძლია მაგიდიდან ჭიქის აღება, გიტარაზე დაკვრა, ვიდეოთამაშების თამაში და ა.შ. მეცნიერებმა განაცხადეს, რომ იმპლანტირებული ჩიპი სიგნალებს ტვინიდან წინამხარზე განთავსებული 130 ელექტროდის გავლით გადასცემს და ხელებისა და თითების კუნთებს მოძრაობის საშუალებას აძლევს. ქირურგებმა პარალიზებულ მამაკაცს თავის ტვინის ქერქის მამოძრავებელ ზონაში ბარდის ზომის ჩიპი ჩაუდგეს. ჩიპი, რომელიც თავიდან სახელოებამდე გამავალ კაბელთან დააკავშირეს, ტვინს კუნთების მასტიმულირებელ სიგნალებს უგზავნის.

ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის ნეიროქირურგი ალი რეზაი შედეგებს **„ტვინის კომპიუტერული ინტერფეისის ტექნოლოგიის ევოლუციის ახალ ეტაპს უწოდებს“.** ბერჰარტმა „ნერვული შემოვლითი“ ტექნოლოგიის დემონსტრირება ჯერ კიდევ 2014 წელს მოახდინა. მაშინ მას მხოლოდ ხელის გაშლა შეეძლო. „მოვლენები იმაზე გაცილებით უკეთ ვითარდება, ვიდრე წარმოვიდგენდი,“ — აცხადებს ახალგაზრდა მამაკაცი.

# სიმინდის ახალი ჯიში შიმშილობის პრობლემას გადაჭრის

**ლაბორატორია Cold Spring Harbor-ის მკვლევარებმა იპოვეს სიმინდის მოსავლის საგრძნობლად გაზრდის გზა. მართვადი მუტაციის საშუალებით მეცნიერებმა მოახერხეს, სიმინდში შეეცვალათ გენი, რომელიც ღეროვანი უჯრედების ზრდას აკონტროლებს. შედეგად მათ მიიღეს ჯიში, რომელსაც 50%-ით მეტი მარცვალი აქვს.**

ბოტანიკოსთა წარმატება ნამდვილად მნიშვნელოვანია კვების მრეწველობაში. სიმინდის ახალ ჯიშს, ასევე, გამოიყენებენ ფერმერები და განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც მიწათმოქმედებას მცირე მიწის ნაკვეთებზე მისდევენ.

**„სულაც არ არის უსაფუძვლო შიში, რომ კაცობრიობა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ თავს ვერ გამოიკვებავს. ვფიქრობ, ჩვენი სიმინდი არათუ გადაჭრის ამ პრობლემას, არამედ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის შემცირების საშუალებასაც მოგვცემს“,** — განაცხადა მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელმა დევიდ ჯექსონმა.

დღეისათვის პატარა ფერმებში მუშაობს 2,5 მილიარდი ადამიანი. ამ ტიპის სასოფლო-სამეურნეო წარმოების 80% მოდის აზიისა და აფრიკის ქვეყნებზე. ამ ახალი ჯიშის სიმინდის დათესვით წვრილი ფერმერები შეძლებენ ფართობის გაუზრდელად დიდი მოსავლის მიღებას.

მეცნიერებმა შეძლეს გენის იდენტიფიცირება, რომლის მანიპულირებით შეიძლება მცენარე აიძულო, ჭარბი რაოდენობით ღეროვანი უჯრედი გამოიმუშაოს.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ „სიმინდი 2“ გარკვეულწილად გადაჭრის განვითარებად ქვეყნებში სიღარიბისა და შიმშილის პრობლემას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, მოსავლიანობის ზრდა ყოველ ჯერზე 10%-ით ამცირებს სიღარიბეს აფრიკის ქვეყნების 7%-ში და აზიის ქვეყნების 5%-ში. ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობა 7,3 მილიადს შეადგენს, ხოლო 2050 წლისთვის ის გადააჭარბებს 9,7 მილიარდს. მოსახლეობის ასეთი ზრდა გამოიწვევს დაწოლას სასოფლო-სამეურნეო სექტორსა და გარემოზე. სიმინდის ახალი ჯიში კი თავის წვლილს შეიტანს ამ ზეწოლის შემცირებაში — ადამიანები ნაკლებ მიწას გამოიყენებენ მაღალი მოსავლის მისაღებად.




**მეცნიერებმა შეძლეს გენის იდენტიფიცირება, რომლის მანიპულირებით შეიძლება მცენარე აიძულო, ჭარბი რაოდენობით ღეროვანი უჯრედი გამოიმუშაოს**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეცნიერები დღემდე კამათობენ იმაზე, გამოდევნის თუ არა ადრონული თერაპია მკურნალობის მიღებულ მეთოდებს — ქირურგიასა და ქიმიოთერაპიას. ადრონული თერაპია თანამედროვე, კომბინირებული მკურნალობის სისტემის ნაწილია. ის არ გამორიცხავს ქიმიოთერაპიასა და ქირურგიას, თუმცა ბირთვული ფიზიკის ბოლო მიღწევებზე დაფუძნებული უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება დღითიდღე ფართოვდება.**

## ახალი სიტყვა მედიცინაში

# კიბოს საწინააღმდეგო ადრონული თერაპია





**ადრონული თერაპიის გამოყენება ბირთვული ფიზიკის მიღწევების შედეგია. ამ უახლესი მეთოდიკის გამოყენებით შესაძლებელი ხდება არაოპერაბელური რადიორეზისტენტური სიმსივნეების ეფექტური მკურნალობა; ამასთანავე, ეს უნივერსალური, ზეზუსტი ინსტრუმენტი შესაძლებლობას მისცემს ონკოლოგიურ კლინიკებს, გაზარდოს პაციენტთა გამტარიანობა.**

ადრონული თერაპიის გამოყენება უპირატესია ტვინის, ღვიძლის სიმსივნის, კუჭქვეშა ჯირკვლის, ნაღვლის სადინარების, მცირე მენჯის ორგანოების, გულმკერდის არის, საყლაპავი მილის, კუდუსუნის, ხერხემლის სიმსივნეების მკურნალობისას.

დღეს ადრონული თერაპიით მკურნალობენ ევროპის ქვეყნებში. რამდენიმე ევროპული ქვეყნისა და ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის — CERN-ის ერთობლივი ძალისხმევით იქმნება ადრონული თერაპიის ENLIGHT მაღალტექნოლოგიური საერთაშორისო ქსელი. უკვე გახსნილია გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიასა და საფრანგეთში. რუსეთში კი პროტონული დასხივების სამი ცენტრი მუშაობს — მოსკოვში, დუბნასა და გატჩინაში, უკვე გაიხსნა ცენტრი პეტერბურგში. ასევე იგეგმება ამ ცენტრების პროექტირება ჩინეთში, ბელგიასა და შვეციაში. უკვე რამდენიმე წელია, ორი ცენტრი მუშაობს იაპონიაში და ახალი ცენტრების შექმნა გრძელდება. **ადრონული თერაპიის მეთოდები უზრუნველყოფენ პაციენტების გაკურნებას 90%-ის შემთხვევაში.**

დღეს ადრონული თერაპია ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის ყველაზე პერსპექტიული საშუალებაა. ეს მეთოდი დაფუძნებულია ნახშირბადის პროტონებისა და იონების კონის გამოყენებაზე. ის ღრმად განლაგებული და რადიორეზისტენტული სიმსივნის ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საშუალებას იძლევა.

ადრონული თერაპიის უპირატესობა არის ის, რომ სწრაფად მოძრავი იონები ადვილად ფორმირდება შესაბამისად მიმართულ ვიწრო კონებად. ნახშირბადის იონების შეღწევა თითქმის გაფანტვის გარეშე ხდება, ამიტომ ადვილია მათი ზუსტი ფოკუსირება ავთვისებიანი წარმონაქმნის მიდამოში. იონები აღწევს ცოცხალ ქსოვილში აუცილებელ სიღრმემდე (ეს დამოკიდებულია კონის ენერგიასთან).

**კონები აზიანებს მხოლოდ კიბოს უჯრედებს, სიმსივნის გვერდით განლაგებულ ჯანსაღ ქსოვილს პრაქტიკულად არ ეხება. სიმსივნის უჯრედში ხდება დნმ-ის ორმაგი სპირალის მრავალჯერადი გაწყვეტა, რის შემდეგაც სიმსივნის უჯრედებს გადარჩენის შანსი აღარ რჩება.**

ტრადიციული სხივური თერაპიის (რადიოთერაპია) პრინციპი სხვანაირია. მისი მოქმედება დაფუძნებულია დასხივების შემდეგ ჯანმრთელი და კიბოს უჯრედების მოლეკულების დნმ-ის აღდგენის სხვადასხვა უნარზე. დასხივების ზემოქმედებით ხდება დნმ-ის სპირალის ერთჯერადი დაზიანება, მაგრამ ჯანმრთელ უჯრედებში დნმ სწრაფად აღდგება, დაავადებულში კი — არა. სიმსივნის უჯრედების გამრავლება ნელდება ან წყდება. სხივურ თერაპიას ბევრი მინუსი გააჩნია. იდეალური თერაპია უნდა მოქმედებდეს დაავადებულ ქსოვილებზე და არ ეხებოდეს ჯანმრთელს. ამასთანავე, ზოგიერთი სიმსივნე სუსტად მგრძნობიარეა დასხივებისადმი (რადიორეზისტენტული სიმსივნეები).

გარდა შერჩევითი ზემოქმედებისა, **სხივურ თერაპიასთან შედარებით, ადრონული თერაპიის ბიოლოგიური ეფექტიანობა რამდენიმეჯერ მაღალია. მკურნალობის მოქმედება 80-90%-ს აღწევს.** მკურნალობის მთელი კურსი შეიძლება შეადგენდეს ერთიდან ათ სეანსამდე, მაშინ, როდესაც სხივური თერაპია ითხოვს დასხივების 30-დან 40-მდე სეანსს.

მეცნიერები დღემდე კამათობენ იმაზე, გამოდევნის თუ არა ადრონული თერაპია მკურნალობის მიღებულ მეთოდებს — ქირურგიასა და ქიმიოთერაპიას. ადრონული თერაპია თანამედროვე, კომბინირებული მკურნალობის სისტემის ნაწილია. ის არ გამორიცხავს ქიმიოთერაპიასა და ქირურგიას, თუმცა ბირთვული ფიზიკის ბოლო მიღწევებზე დაფუძნებული უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება დღითიდღე ფართოვდება.

# ადამიანის ორგანიზმის იდეალური ბიორიტმი

**ამერიკელმა ბიოლოგებმა რამდენიმეწლიანი დაკვირვების შემდეგ „საათობრივი განრიგი“ შეადგინეს. სპეციალისტების თქმით, ჩვენი ორგანიზმი საათის მექანიზმს ჰგავს, რომელიც განსაზღვრულ რიტმს ემორჩილება და საკმარისია, რომელიმე „ზამბარა“ მწყობრიდან გამოვიდეს, პრობლემები მაშინვე იჩენს თავს. ადამიანის ორგანიზმის იდეალური ბიორიტმი ასე გამოიყურება:**

**07:00** – ეს არის იდეალური დრო გასაღვიძებლად, რადგან თირკმელზედა ჯირკვლები ჰორმონების პირველ „ულუფას“ გამოყოფს. სწორედ ის ახდენს გავლენას პულსის გახშირებასა და სისხლის მიმოქცევის აჩქარებაზე.

**07:30** – ვარჯიშის ან მცირე გასეირნების წყალობით დილიდანვე მიიღებთ მთელი დღისთვის საჭირო ენერგიას.

**08:00-09:00** – კუჭი აქტივობის მწვერვალზეა. ამ დროს იგი სწრაფად გადაამუშავებს საკვებს და მაქსიმალური რაოდენობის ენერგიით ამარაგებს ორგანიზმს. უმჯობესია, საუზმეზე მიირთვათ შვრიის ფაფა, ხილის იოგურტი, ერთი ნაჭერი ხორბლის პური. ყავის ნაცვლად კი დალიეთ მწვანე ჩაი, ეს შრომის უნარს შეგინარჩუნებთ.

**12:00** – ამ დროს გული სრული დატვირთვით მუშაობს, ამიტომ ნუ გადაიტვირთებით ზომაზე მეტად. კარგი იქნება, თუ უარს იტყვით ყავასა და შოკოლადზე. ბიოლოგები გვირჩევენ, ეს დრო ინტელექტუალურ სამუშაოს დავუთმოთ. სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ ამ დროს ყველაზე რთული ამოცანების გადაწყვეტას შევძლებთ. ორიგინალური იდეებიც მრავლად გვექნება.

**13:00** – სრულფასოვანი სადილის დროა. სასურველია, ის ცილებითა და რთული ნახშირწყლებით იყოს მდიდარი. დესერტად მწარე შოკოლადიც შეიძლება დააყოლოთ. სადილის შემდეგ საქმეებს მაშინვე ნუ შეუდგებით, რადგან ამ დროს ბიორიტმის შენელება იწყება, ორგანიზმს დასვენება სჭირდება.

**14:00** – კარგი იქნება, თუ ამ დროს დაგეგმავთ ვიზიტებს.

**15:00-16:00** – ამ პერიოდში გული „თვლემს“, ტვინსა და შინაგან ორგანოებში სისხლის მიმოქცევა შენელებულია. კარგი იქნება, თუ ამ საათობრივ ზოლში დაიძინებთ.

**17:00** – იგრძნობა სასიცოცხლო ძალების მომატება. ტონუსის ასამაღლებლად ნებადართულია შავი ყავის ან რამდენიმე ულუფა მწარე შოკოლადის მიღება.

**18:00-19:00** – სამუშაო დღის შემდეგ ორგანიზმს დამშვიდება სჭირდება. ეს იდეალური დროა მასაჟისთვის. ის გააძლიერებს სისხლის ცირკულაციას, მოხსნის კუნთების დაძაბულობას და საშუალებას მოგცემთ, მოეშვათ.

**20:30** – ეს ის პერიოდია, როცა კანს უნდა მიხედოთ. თავდაპირველად ზედმიწევნით უნდა გაიწმინდოთ ის, მერე კი მკვებავი ნიღაბი გაიკეთოთ. ფორები ღრუბელივით იწოვს ფერმენტებს, შედეგად კანი ღამის განმავლობაში ისვენებს და აღდგება.

**22:00-23:00** – ძალების აღსადგენად საჭიროა არანაკლებ შვიდსაათიანი ღრმა და სრულფასოვანი ძილი. სანამ დაწვებით, საძინებელი გაანიავეთ და ნელ-ნელა დალიეთ ერთი ჭიქა თაფლიანი რძე.



# გორილისა და ადამიანის გენომს შორის მცირე განსხვავებაა



**როგორც გაირკვა, გორილები და ადამიანები ერთმანეთთან გენეტიკური თვალსაზრისით იმაზე მეტად არიან დაკავშირებულნი, ვიდრე აქამდე ფიქრობდნენ — მათ გენომს შორის განსხვავება მხოლოდ 1,6%-ია.**

მეცნიერებმა რამდენიმე დღის წინათ გორილის გენომის ახალი ვერსია გამოაქვეყნეს. მათ კოლომბუსის ზოოპარკში მცხოვრები 11 წლის გორილას გენომი გამოიკვლიეს. მეცნიერები აცხადებენ, რომ გორილა, სახელად სიუზი, 2012 წელს გამოქვეყნებული გენეტიკური რუკის ბევრ ხარვეზს ავსებს. როგორც ცნობილია, ადამიანთან გენეტიკურად განსაკუთრებით ახლოს შიმპანზე და ბონობო (ჯუჯა შიმპანზე) არიან. გორილისა და ადამიანის გენომს შორის არსებული მცირე განსხვავება, მეცნიერების თქმით, იმუნური, რეპროდუქციული, სენსორული აღქმის სისტემებისა და კეროტინის გამომუშავებაშია, რომელიც კანის, ფრჩხილებისა და თმის ფორმირებაში ძირითად ფუნქციას ასრულებს. გარდა ამისა, განსხვავება აისახება ინსულინის გამომუშავებაშიც, რომელიც სისხლში შაქრის რაოდენობას არეგულირებს.

მკვლევართა აზრით, მომავალი კვლევები მათ საშუალებას მისცემს, გამოყონ ადამიანის გენომები, რომლებიც შემეცნებაზე, ენობრივ და ქცევით უნარებსა და ნევროლოგიურ დაავადებებზეა პასუხისმგებელი.

გორილები ცენტრალური აფრიკის დაბლობებსა და ტროპიკულ ტყეებში ბინადრობენ. ისინი მსოფლიოს უდიდესი პრიმატები არიან. ზრდასრული მამრი გორილის წონა 200 კილოგრამს აღწევს.

# ადამიანმა 17 თვე იცოცხლა გულის გარეშე

**2015 წლის იანვარში სტენ ლარკინმა მიჩიგანის უნივერსიტეტის კარდიოლოგიური კლინიკა ხელოვნური გულითა და ზურგზე რიუკზაკით დატოვა. ზურგჩანთაში იდო 6-კილოგრამიანი მოწყობილობა, რომელიც მომდევნო 555 დღის განმავლობაში (17 თვე) ახალგაზრდა კაცის ორგანიზმში სისხლის მიმოქცევაზე იზრუნებდა.**

სისტემა, რომელიც ლარკინს სიცოცხლის საშუალებას აძლევდა, გათვალისწინებულია იმ პაციენტებზე, რომლებსაც გული საბოლოოდ გაუჩერდათ. ამ საშუალების გამოყენებით კი ადამიანებს, რომლებიც ახალი გულის ტრანსპლანტაციის მოლოდინში არიან, ეძლევათ საშუალება, თავიანთ რიგს დაელოდონ, თანაც, სრულფასოვანი ცხოვრებით იცხოვრონ და არ იყვნენ მიჯაჭვულნი საწოლზე.

სისტემა, რა თქმა უნდა, არაა გათვალისწინებული კალათბურთის სათამაშოდ, მაგრამ სტენმა შეძლო ამ ტექნოლოგიის ჩარჩოები გაეფართოებინა.

სტენ ლარკინი დაიბადა მემკვიდრეობითი კარდიომიოპათიით, დაავადებით, რომლის დროსაც გული ნელ-ნელა კვდება და ადამიანი 10-20 წელს ცოცხლობს მხოლოდ. სტენ ლარკინმა წელიწადზე მეტხანს „ატარა ზურგით“ თავისი სიცოცხლე, ახლა ის უზომოდ ბედნიერია, რადგან ახლახან ნამდვილი გული გადაუნერგეს.



მიუხედავად იმისა, რომ შხამიანია, ფუგუ გარკვეული უსაფრთხოების ზომების დაცვის შემდეგ გამოიყენება საკვებად გამოიყენება. შესაძლოა, კერძის არასწორმა მომზადებამ საკვები მომწამვლელი გახადოს და სიკვდილი გამოიწვიოს, მაგრამ ფუგუსგან სათანადოდ მომზადებული კერძი დელიკატესად ითვლება და საკმაოდ ძვირიცაა — 200 დოლარს აღწევს.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიოს 10 ყველაზე შხამიანი არსება

## ფრთხილად, საშიშია!



**10. თევზი ფუგუ** — შეუძლია იყოს ძალიან მიმზიდველი და საკმაოდ საშიში. უმეტესობა დაცურავს როგორც იაპონიის, ჩინეთისა და ფილიპინების, ასევე, მექსიკის მიმდებარე წყლებში.

მიუხედავად იმისა, რომ შხამიანია, ფუგუ გარკვეული უსაფრთხოების ზომების დაცვის შემდეგ საკვებად გამოიყენება. შესაძლოა, კერძის არასწორმა მომზადებამ საკვები მომწამვლელი გახადოს და სიკვდილი გამოიწვიოს, მაგრამ ფუგუსგან სათანადოდ მომზადებული კერძი დელიკატესად ითვლება და საკმაოდ ძვირიცაა — 200 დოლარს აღწევს.

ამ თევზის კანი, კუნთების ქსოვილი, ღვიძლი და სასქესო ჯირკვლები შეიცავს ტოქსინს, რომელიც ცნობილია, როგორც **ტეტროდოტოქსინი**. ამ ტოქსინის მცირე რაოდენობით მიღება იწვევს ჩხვლეტას, წვას პირის არეში, გულისრევას, თავის ტკივილს, მეტყველებისა და კოორდინაციის პრობლემებს; დიდი დოზა კი — კრუნჩხვებს, პარალიზებას, არითმიას და ზოგჯერ სიკვდილსაც.



**9. შხამიანი ბაყაყი კოკოი** პატარაა და ნათელი ფერის. როგორც წესი, ცხოვრობს სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში ან ჰავაიზე. ბაყაყის შხამი შეიცავს **ბატრაქოტოქსინს,** რომელიც ბლოკავს კუნთებისკენ მიმავალ ნერვულ სიგნალებს, იწვევს პარალიზსა და სიკვდილს.



**8. ტაიპანი** პლანეტაზე ყველაზე საშიში და შხამიანი გველია, ცხოვრობს ავსტრალიაში და აქვს **ნეიროტოქსინის** შხამი, რომელსაც შეუძლია ადამიანი 45 წუთში მოკლას. საბედნიეროდ, ტაიპანის ნაკბენის მკურნალობა სწრაფად შესაძლებელია. რაც უნდა გასაოცარი იყოს, ამ გველის შხამით ჯერ არავინ მომკვდარა.



**7. ბრაზილიური ობობა** ცნობილია, როგორც „ბანანის ობობა“. ის უმეტესად სფეროს ფორმის ოქროსფერ ქსელშია გახვეული და, რადგან ნათელი ყვითელი შეფერილობა აქვს, ხშირად მოხსენიებულია (არასწორად), როგორც ბანანის ობობა. ოქროსფერი სფეროს ფორმის ობობები შედარებით უწყინარია, მიუხედავად მათი საშინელი შესახედაობისა. ეს სახეობა პლანეტის ყველაზე შხამიანი ცხოველია, 2007 წლის გინესის წიგნის მიხედვით. ბრაზილიური ობობის შხამის, ნეიროტოქსინის, დიდი რაოდენობით მიღება უკიდურესად მტკივნეულია. მას შეუძლია გამოიწვიოს პარალიზება და სიკვდილი.



**6. ქვის თევზი** — ამ შხამიან თევზთან მიახლოებას, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავის შენიღბვა კამუფლიაჟის საშუალებით, უნდა ერიდონ მყვინთავები.

ჩვეულებრივ, ქვის თევზი იმალება ტროპიკული ზონის ზემოთ. თევზის ხერხემალში არის ტოქსინი, რომელსაც შეუძლია შეშუპების, ქსოვილის ნეკროზიის, პარალიზების, შოკისა და სიკვდილის გამოწვევა.



**5. მორიელი ლეიურუს კვინკესტრიატუსი** ღია ყვითელი ფერისაა და გამჭირვალე. იგი ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში გვხვდება. ამ მორიელის შხამმა, შესაძლოა, გამოიწიოს ისეთი შედეგები, როგორიცაა სუნთქვის უკმარისობა. გულის პრობლემებისა და ალერგიული ფონის მქონე ადამიანებს უჭირთ ამ ტოქსინის დაძლევა.



**4. ლურჯბეჭდიანი რვაფეხა** — ეს პატარა რვაფეხა დაახლოებით გოლფის ბურთის ზომისაა და თავისუფლად დაეტევა ხელისგულზე. ლურჯბეჭდიანი რვაფეხა გვხვდება ავსტრალიაში, იაპონიაში, ინდონეზიასა და ფილიპინებში, აგრეთვე, ახალ გვინეაში. რვაფეხას ტოქსინებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს სიბრმავე, გულისრევა, პარალიზება და სიკვდილიც კი.



**3. მარმარილოს გველი** — ეს გველი ძალიან საშიშია. არ არსებობს საშუალება, რომელიც გაუმკლავდება მის შხამს. სწორედ ამიტომ ის შეფასებულია, როგორც ერთ-ერთი საშიში ცხოველი სამყაროში. მსუბუქი სიმპტომები შესაძლოა იყოს ტკივილი, ანთება, დაბუჟება და ჩხვლეტა. შხამის დიდი დოზა იწვევს მხედველობის დაკარგვას, სუნთქვის უკმარისობას და კუნთების დამბლას — საბოლოოდ კი სიკვდილს.





**2. სამეფო კობრა** ძირითადად გვხვდება ინდოეთისა და ჩინეთის ჯუნგლებში. გამოირჩევა ფართო დეფლექტორებით და შეუძლია შხამის გადმოფურთხება. ტოქსინი ძლიერ ტკივილს იწვევს და, თუ ერთხელ შეაღწევს სისხლში, იწვევს სიკვდილს უმოკლეს ვადაში. ამ ცხოველის შხამის 7 მილიგრამი საკმარისია სპილოს და დაახლოებით 20 ადამიანის მოსაკლავად.



**1. მედუზა BOX JELLYFISH** — ცნობილია როგორც ყველაზე შხამიანი არსება. ის ბინადრობს აზიისა და ავსტრალიის აკვატორიის მიდამოებში და ისეთი გამჭვირვალეა, რომ ზოგჯერ თვალისთვის შეუმჩნეველია. მედუზის საცეცები წარმოქმნის **ნემატოქსინს**. თუ ის სისხლში მოხვდება, წნევა გაიზრდება, გამოიწვევს გულის შეტევას და საბოლოოდ სიკვდილს. ამიტომ აუცილებელია, უპირველესად, დასუსხული ადგილის ძმრით მობანვა და სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





*** 1963 წლის 16 ივნისს კოსმოსში პირველად გაფრინდა ქალი — ვალენტინა ტერეშკოვა (დაიბადა 1937 წლის 6 მარტს).**

ის იყო რიგით მეექვსე ადამიანი, რომელმაც კოსმოსში იფრინა და ხომალდ „ვოსტოკ-6"-ით დედამიწას 48-ჯერ შემოუარა.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები

რუბრიკა „ქრონოგრაფში" გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.



*** 1840 წლის 21 ივნისს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორში დაიბადა ქართველი პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აკაკი წერეთელი.**

1852 წლიდან ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა, 1859 წლიდან კი — პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე, რომელიც 1863 წელს დაამთავრა კანდიდატის ხარისხით.

ლექსების წერა პატარაობიდან დაიწყო, ხოლო 1860 წელს გამოქვეყნებულმა ლირიკულმა ლექსმა „საიდუმლო ბარათი" ახალგაზრდა პოეტს პოპულარობა მოუხვეჭა.

აკაკი წერეთელს უდიდესი წვლილი მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსებასა და საზოგადოების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, ქართული დრამატული საზოგადოების შექმნასა და მუშაობაში, ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში. მისი დაარსებული იყო ჟურნალი „აკაკის თვიური კრებული", რედაქტორობდა სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ხუმარას". ილია ჭავჭავაძესთან ერთად სათავეში ედგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში და იღვწოდა ქართველი ხალხის სულიერი აღორძინებისთვის.

ქართველმა ხალხმა აკაკი წერეთელი სიცოცხლეშივე შერაცხა სახალხო პოეტად. საყოველთაო აღიარების ნათელი დადასტურება იყო მისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო (1908 წ.), რომელიც, ისევე, როგორც პოეტის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში (1912 წ.), გრანდიოზულ ეროვნულ დღესასწაულად იქცა.

აკაკი წერეთლის შემოქმედებიდან აღსანიშნავია პროზაული ნაწარმოებები: „ბაში-აჩუკი", „ყვითელი სანთელი", „კუდაბზიკეთი", „მესარკე", „პატარა კახი"; ლექსები და პოემები: „გაზაფხული", „გამზრდელი", „იმერული ნანინა", „ჩონგური", „ციცინათელა", „ხარაბუზა და ფუტკარი", „თორნიკე ერისთავი", „ღამურა", „აღმართ-აღმართ", „განთიადი", „სულიკო", „ჭაღარა", „ხანჯალო" და სხვ.

გარდაიცვალა 1915 წლის 8 თებერვალს.



*** 1933 წლის 15 ივნისს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორგაში დაიბადა საქართველოს სახალხო არტისტი ბორის წიფურია.**

1956 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი.

1956-1962 წლებში მუშაობდა სოხუმის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მსახიობად. 1962 წლიდან იყო თბილისის შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი; 1984-1990 წლებში — თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორი.

მონაწილეობდა ფილმებში: „უყაიმო თამაში" (მაღაზიის დირექტორი); „ფიროსმანი" (დიმიტრი); „ბებერი მეზურნეები" (მემაწვნე ლადო); „შერეკილები" (ხუტა); „ვერისუბნის მელოდიები" (ძიბო); „ნატვრის ხე" (ქორია); „დათა თუთაშხია" (მეწისქვილე); „მარადისობის კანონი" (სანდრო მაღლაფერიძე); „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩო პანსასი" (ხინესი, კატორღელი, თოჯინების თეატრის მფლობელი); „ლუკას სახარება" და სხვ.

გარდაიცვალა 2005 წლის 28 ივნისს.



*** 1972 წლის 17 ივნისს აშშ-ში დაიწყო პოლიტიკური სკანდალი, რომელიც პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის რამდენიმე მრჩევლის დაპატიმრებითა და 1974 წლის 9 აგვისტოს თვითონ ნიქსონის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომით დასრულდა.**

1972 წლის 17 ივნისს ვაშინგტონში, „უოტერგეიტის" საოფისე კომპლექსში მდებარე დემოკრატიული პარტიის ოფისში შეჭრის გამო დააპატიმრეს 5 ადამიანი, რომლებიც მოსასმენ და გადამღებ აპარატებს ამონტაჟებდნენ. გამოძიებამ გაარკვია, რომ ეს შეჭრა ერთ-ერთი იყო იმ მრავალრიცხოვანი არალეგალური საქმიანობიდან, რომლებსაც ნიქსონის ადმინისტრაცია ეწეოდა. გამოვლინდა კანონდარღვევის უამრავი შემთხვევა: პოლიტიკური ჯაშუშობა, საბოტაჟი, არალეგალური მოსმენები, საიდუმლო ანგარიშები, პოლიტიკური მოწინააღმდეგის მოსყიდვის ფაქტები და სხვ.

„უოტერგეიტის" სკანდალი პოლიტიკური ამბიციების, დიდძალი ფულისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სიმბოლოდ იქცა.



*** 1942 წლის 18 ივნისს ლივერპულში დაიბადა ბრიტანელი მუსიკოსი, მულტიინსტრუმენტალისტი და პროდიუსერი, ჯგუფ „ბითლზის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, პრემია „გრემის" 16-გზის ლაურეატი პოლ მაკარტნი.**

პოლ მაკარტნი არაერთხელ არის მოხსენიებული გინესის რეკორდების წიგნში, კერძოდ, როგორც თანამედროვეობის ყველაზე წარმატებული მუსიკოსი და კომპოზიტორი. მას 60 დისკოს „ოქროს" სტატუსი აქვს და საერთო ტირაჟმა 100 მილიონს გადააჭარბა, ხოლო სიმღერა Yesterday ყველაზე ხშირად (3600-ჯერ) არის შესრულებული სხვა ავტორების მიერ.

*** 1954 წლის 15 ივნისს ბაზელში (შვეიცარია) საფრანგეთის, იტალიისა და ბელგიის საფეხბურთო ფედერაციების ინიციატივით შეიქმნა ევროპის საფეხბურთო ასოციაციების ფედერაცია (Union of European Football Association UEFA) — უეფა.**




ამჟამად ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 55 ქვეყანა. შტაბ-ბინა მდებარეობს ნიონში (შვეიცარია).

უეფა ორგანიზატორია ყველა ევროპული საკლუბო თუ სანაკრებო შეჯიბრებისა. კლუბებსა და ეროვნულ საფეხბურთო ასოციაციებს შორის ანაწილებს შემოსავალს რეკლამიდან და სატელევიზიო ტრანსლაციებიდან.



*** 1905 წლის 21 ივნისს პარიზში დაიბადა ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, დრამატურგი და ესსეისტი 1964 წელს ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (მიღებაზე უარი განაცხადა) ჟან-პოლ სარტრი (ჟან-პოლ შარლ ემარ სარტრი).**

მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „გულისრევა", „სიტყვები", „სიმწიფის ასაკი", „ბუზები", „კედელი", „ჰეროსტრატე", „ინტიმი" და სხვ.

გარდაიცვალა 1980 წლის 15 აპრილს.





*** 1623 წლის 18 ივნისს კლერმონ-ფერანში (საფრანგეთი) დაიბადა ფრანგი მათემატიკოსი, მექანიკოსი, ფიზიკოსი, ლიტერატორი და ფილოსოფოსი, ფრანგული კლასიკური ლიტერატურის ფუძემდებელი, მათემატიკური ანალიზისა და ალბათობის თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი, ჰიდროსტატიკის ძირითადი კანონის ავტორი ბლეზ პასკალი.**

გარდაიცვალა 1662 წლის 19 აგვისტოს.

*** 1667 წლის 15 ივნისს კაცობრიობის ისტორიაში პირველად წარმატებით გადაუსხეს სისხლი ადამიანს.**

სორბონის უნივერსიტეტის პროფესორმა **ჟან-ბატისტ დენიმ** 1667 წლის 15 ივნისს წარმატებით გადაუსხა კრავის სისხლი ციებცხელებით დაავადებულ 16 წლის ყმაწვილს, რომელიც მალე გამოჯანმრთელდა.

ეს უნიკალურ ფაქტად ითვლება, რადგან ადამიანის სისხლის ჯგუფების შესახებ ამ შემთხვევიდან მხოლოდ 250 წლის შემდეგ შეიტყვეს.

*** 1819 წლის 20 ივნისს კელნში (გერმანია) დაიბადა ებრაული წარმოშობის ფრანგი კომპოზიტორი, დირიჟორი და ვიოლონჩელისტი, ფრანგული ოპერეტის ფუძემდებელი ჟაკ ოფენბახი (ნამდვილი გვარი ებერშტი).**

მისი ყველაზე პოპულარული ნაწარმოებებია: „გედის სიმღერა", „ჰოფმანის ზღაპრები", „პერიკოლა", „შავი კარსარი", „ორფეოსი ჯოჯოხეთში", „მატურენის საგანძური", „მშვენიერი ელენე", „ყაჩაღები" და სხვ.

გარდაიცვალა 1880 წლის 5 ოქტომბერს.

20 ივნისს სავსემთვარეობაა. შესაძლოა, უთანხმოება წარმოიშვას ახლობელ ადამიანებთან. ვისაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, დროა, ჩაიტაროს გამოკვლევები. სასიკეთო პერიოდია ტყუპისა და თევზების ნიშნებით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**15 – 21 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი – 20 აპრილი**

შეიძლება შეგექმნათ ფინანსური პრობლემა, მიზეზი შემოსავლის ძირითადი წყაროს დაკარგვა იქნება. ამან არ უნდა შეგაშფოთოთ, რადგან მალე მოგეცემათ შესაძლებლობა, იპოვოთ უკეთესი სამსახური, უკეთესი ანაზღაურებითა და პირობებით.

ვერძებს, რომლებიც სიყვარულში გამოუტყდებიან სასურველ ადამიანს, ანალოგიური საქციელით უპასუხებენ.

დაოჯახებულმა ვერძებმა კი მეტი ყურადღება დაუთმონ ოჯახის უფროს წევრებს.

მაღალია თირკმლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 15 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 18 ივნისი.**

## კურო
**21 აპრილი – 21 მაისი**

წარმატებას მხოლოდ გაბედული და შეუპოვარი მოქმედებებით მიაღწევთ. თავი აარიდეთ რადიკალურ გადაწყვეტილებებს და უკანდასახევი გზა დაიტოვეთ.

მოგეცემათ შემოქმედებითი პოტენციალის სრულად გამოვლენის შანსი, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვათ.

მოთოკეთ ემოციები და შეეცადეთ, საოჯახო პრობლემები მეუღლესთან ერთად კომპრომისის გზით მოაგვაროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ.

შეიძლება გაგიმწვავდეთ დაავადება, რომელიც დიდი ხნის წინათ გაწუხებდათ. გაიმყარეთ იმუნიტეტი ვიტამინებით მდიდარი საკვებით და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 17 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 18 ივნისი.**

## ტყუპი
**22 მაისი–21 ივნისი**

კარგი პერიოდია. წარმატებას მიაღწევთ პროფესიულ სფეროში და გაიუმჯობესებთ ფინანსურ მდგომარეობას, ოღონდ ფული ეკონომიურად ხარჯეთ — გაითვალისწინეთ, რომ მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

ბევრი ტყუპი მიიპყრობს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას და არჩევანის წინაშე დადგება. გადაწყვეტილება ინტუიციის კარნახით მიიღეთ.

დაქორწინებულმა ტყუპებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ შვილებზე ზრუნვას.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ მეტ დროს გაატარებთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 21 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 15 ივნისი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი–22 ივლისი**

თქვენ გარშემო მოულოდნელად განვითარებული მოვლენები დაგაფიქრებთ და გუნებას გაგიფუჭებთ, მაგრამ ოპტიმიზმი შეინარჩუნეთ, რადგან მოკლე ხანში ყველა პრობლემის მოგვარებას შეძლებთ. შესაძლოა, დაუახლოვდეთ ადამიანს, რომელიც დიდ გავლენას მოახდენს თქვენს შემოქმედებით საქმიანობაზე.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს, არ არის გამორიცხული, რომელიმე მათგანს თქვენი დახმარება დასჭირდეს.

საყვარელ ადამიანთან მოსალოდნელია უთანხმოება, ერთობის შესანარჩუნებლად მოგიწევთ კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება.

გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების გამოყენებისას — დიდია ტრავმის მიღების ალბათობა.

**დადებითი დღე: 20 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 18 ივნისი.**

## ლომი
**23 ივლისი –22 აგვისტო**

აქტიური მოქმედებების პერიოდია. თავს იჩენს პრობლემები, როგორც სამსახურში, ისე პირად ცხოვრებაში, მაგრამ ყველა სირთულეს გაუმკლავდებით.

თავი შეიკავეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობისგან — შეიძლება თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

დაუფიქრებელი საქციელით შეიძლება ადვილად აწყენინოთ საყვარელ ადამიანს — ეს შეიძლება იყოს უყურადღებობა ან უადგილოდ ნათქვამი სიტყვა, რომელიც უთანხმოებას გამოიწვევს.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 15 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 20 ივნისი.**

## ქალწული
**23 აგვ. –23 სექტემბ.**

ობიექტურად შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები და სწორად გაანაწილეთ დრო და ძალები, რადგან ბევრი საქმის კეთება მოგიწევთ. გადაწყვეტილებების მიღების წინ რჩევა გამოცდილ ადამიანებს ჰკითხეთ.

მარტოხელა ქალწულებს დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო რომანტიკული ურთიერთობისთვის დრო აღარ დარჩებათ. დაქორწინებულებმა კი მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ.

მაღალია ფარისებრი ჯირკვლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაესინჯეთ ენდოკრინოლოგს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 15 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 18 ივნისი.**

## სასწორი
**24 სექტ. – 23 ოქტ.**

ნუ გარისკავთ. დაუფიქრებელი მოქმედება კარგს არაფერს მოგიტანთ. გულმოდგინედ გააანალიზეთ მიღებული ინფორმაცია და განიხილეთ მოვლენების განვითარების შესაძლო ვარიანტები. მხოლოდ ასე შეძლებთ იმ პრობლემების მოგვარებას, რომელთა წინაშეც აღმოჩნდებით.

დაქორწინებულ სასწორებს მოუწევთ ახლო ნათესავების პრობლემების მოგვარებაში აქტიურად ჩართვა. სასურველი შედეგის მისაღებად საჭირო იქნება მოთმინებისა და შეუპოვრობის გამოვლენა.

მაღალია შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 20 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 18 ივნისი.**

## მორიელი
**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

დასახული მიზნების მიღწევას კოლეგებისა და ახლობლების დახმარებით შეძლებთ, ამიტომ მიმართეთ მათ და ისინიც სიამოვნებით დაგეხმარებიან.

ყურადღებით წაიკითხეთ ყველა დოკუმენტი, რომლებზეც ხელის მოწერას დააპირებთ.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობთ. შეიძლება გაიცნოთ პიროვნება, რომლის მიმართაც სიმპათიით განეწყობით. ურთიერთობის გაღრმავება თქვენზე იქნება დამოკიდებული.

თუ ჭარბი წონა გაწუხებთ, კარგი პერიოდია ზედმეტი კილოგრამების მოსაშორებლად. დაიცავით დიეტა და დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით.

**დადებითი დღე: 21 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 19 ივნისი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. – 21 დეკ.**

ვიდრე რთული საქმის მოგვარების პასუხისმგებლობას დაიკისრებთ, დაფიქრდით — გჭირდებათ კი ეს საქმე? არ არის გამორიცხული, ზედმეტმა პასუხისმგებლობამ მთელი თავისუფალი დრო და ენერგია წაგართვათ.

კარგი პერიოდია კომერციული გარიგებებისა და ფინანსური ოპერაციებისთვის.

ახლო ნათესავებთან კონფლიქტი გუნებას გაგიფუჭებთ. უხეშობა და აგრესიულობა კარგს არაფერს მოგიტანთ. უთანხმოება დიპლომატიური მეთოდებით უნდა მოაგვაროთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი შეიკავეთ შენიშვნებისა და საყვედურებისგან.

თუ ჯანმრთელობის პრობლემა შეგექმნებათ, თვითმკურნალობას ნუ დაიწყებთ. აუცილებლად მიმართეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 19 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 17 ივნისი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. – 20 იან.**

სჯობს, მნიშვნელოვანი საქმეები დროებით გვერდით გადადოთ, რადგან შესაძლოა, შეცდომები დაუშვათ ან, უბრალოდ, დაიბნეთ. თავი შეიკავეთ კოლეგების გაკრიტიკებისგან, თქვენმა მედიდურობამ შეიძლება გარშემო მყოფები გაანაწყენოს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება. შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ერთად — წადით კინოთეატრში ან სამოგზაუროდ, ან პიკნიკი მოაწყვეთ ბუნების წიაღში.

შეიცვალეთ იმიჯი: შეიძინეთ ახალი სამოსი, გაიკეთეთ ახალი ვარცხნილობა — ექსპერიმენტები წარმატებული იქნება და ახლობლებისგან კომპლიმენტებს დაიმსახურებთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას.

**დადებითი დღე: 19 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 15 ივნისი.**

## მერწყული
**21 იან. – 19 თებ.**

თუ შეეცდებით, პრობლემების მოგვარება სამომავლოდ გადადოთ, შეცდომას დაუშვებთ — შესაძლოა, მერე გვიან იყოს. განმარტოვდით და დაშვებული შეცდომები კარგად გააანალიზეთ.

თავი აარიდეთ აზარტულ თამაშებსა და საეჭვო კომერციულ გარიგებებში მონაწილეობას.

დაქორწინებული მერწყულების ურთიერთობა მეუღლესთან ჰარმონიულად წარიმართება, თუ მას მეტისმეტ მოთხოვნებს არ წაუყენებენ და თავიანთი თვალსაზრისის დაცვას ჯიუტად არ შეეცდებიან.

მაღალია ქრონიული ალერგიული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 19 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 21 ივნისი.**

## თევზები
**20 თებ. – 20 მარტი**

უარი თქვით ყველაფერზე, რაც ხელს გიშლით წინსვლაში — იქნება ეს უსარგებლო ნივთები თუ ურთიერთობები. ოღონდ ეს ზედმეტი ემოციების გარეშე გააკეთეთ.

შეიძლება შემოგთავაზონ ახალი სამსახური, უარს ნუ იტყვით, მაგრამ ხელშეკრულება დეტალურად გააანალიზეთ, რათა პირველი ხელფასის მიღების შემდეგ უკმაყოფილო არ დარჩეთ.

დაქორწინებულმა თევზებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ოჯახის უმცროს წევრებს. მათ თქვენი დახმარება ძალიან დასჭირდებათ.

თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ფიზიკურ დატვირთვას გაზრდით, მაგალითად, ყოველ დილით ირბენთ. შედეგად ფიზიკურ კონდიციებსაც აიმაღლებთ და განწყობილებასაც.

**დადებითი დღე: 20 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 16 ივნისი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



# თურქეთის პრეზიდენტს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება სურს

**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა თავის რუს კოლეგას — ვლადიმერ პუტინს წერილი გაუგზავნა. თურქეთის პრეზიდენტი წერილში აღნიშნავს, რომ მისი სურვილია, „უახლოეს მომავალში“ რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობები გაუმჯობესდეს.**

„ბატონო პრეზიდენტო! მინდა, თურქეთის მოქალაქეების სახელით, ყველა რუსს „რუსეთის დღე“ მივულოცო. ასევე ჩემი სურვილია, რომ უახლოეს მომავალში რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობები გაუმჯობესდეს“, — ნათქვამია წერილში.

თავის მხრივ, თურქეთის პრემიერმინისტრმა ბინალი იილდირიმმაც გაუგზავნა წერილი თავის რუს კოლეგას — დიმიტრი მედვედევს. მან იმედი გამოთქვა, რომ „უახლოეს მომავალში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა და თანამშრომლობა ხალხის საერთო ინტერესების გათვალისწინებით მოხდება“.

რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა გასული წლის შემოდგომაზე გაუარესდა, მას შემდეგ, რაც 24 ნოემბერს თურქეთის საჰაერო ძალებმა რუსული ბომბდამშენი „სუ-24“ ჩამოაგდეს, რომელიც სირიაში ანტიტერორისტულ ოპერაციებში იყო ჩართული. ამის შემდეგ რუსეთმა თურქეთს სხვადასხვა ეკონომიკური სანქცია დაუწესა.

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას**

**გთხოვთ, თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ღია წერილი საქართველოს პრემიერმინისტრისადმი.**

**პატივისცემით,**

**სპორტის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.**

# ღია წერილი საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

**ბატონო გიორგი,**

მოგეხსენებათ, რომ 2007 წლის 2 ივლისს, იმჟამინდელი ხელისუფლების გაუაზრებელი გადაწყვეტილებით, გაუქმდა საქართველოში ერთადერთი სასპორტო უმაღლესი სასწავლებელი — საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, მისი ფუნქციონირება შეწყვეტილი იყო 2013 წლამდე. ახალარჩეულმა ხელისუფლებამ მთავრობის დადგენილებით (64, 2013წ. 28 მარტი,) სპორტის აკადემიის ბაზაზე, „მისი მდიდარი ტრადიციების გაგრძელების მიზნით“, დააფუძნა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც გაუგებარი გარემოების გამო გადაკეთდა „სასწავლო“ უნივერსიტეტად. უნივერსიტეტმა დაკარგა სრულფასოვანი უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების სტატუსი. შედეგად: შეფერხდა სასპორტო მეცნიერებათა განვითარების პროცესი, შეუძლებელი შეიქნა სამსაფეხურიანი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლების სისტემაზე გადასვლა, სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოს აღდგენა და ა.შ.



ჩვენი ადრინდელი სახელწოდება — „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია“ განიხილებოდა, როგორც „ბრენდი“ და განსაზღვრავდა მის (აკადემიის) პოპულარობას, როგორც საქართველოში, ისე ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში, რომელიც, სამწუხაროდ, დავკარგეთ და რომლის აღდგენაც შესაძლებელია მხოლოდ ადრინდელი სახელწოდების დაბრუნებით.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მოსაზრებები და დაუბრუნოთ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მისი ადრინდელი სახელწოდება: „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემია“, რითაც მას აღუდგება „სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების“ სტატუსი.

ბატონო გიორგი, საშური საქმეა და გთხოვთ, გულთან მიიტანოთ. წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით,

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები:

**ტრისტან გულბიანი**
**კარლო მოისწრაფიშვილი**
**ჯუანშერ ზალადასტანიშვილი**
**მანანა მნათობიშვილი**
**გიული კახიძე**
**მანუჩარ ღვალი**
**დავით კვაჭაძე**
**მანანა ქორჩაკიძე**
**ლიანა კაკიაშვილი**
**ზვიად მიქაძე**
**მერაბ მაისურაძე**
**ალექსანდრე გოგირახაშვილი**
**თამაზ ჯაში**
**არსენ ბურჯალიანი**
**მერაბ მეტრეველი**
**კახაბერ ხვედელიძე**
**ნიკოლოზ ლეჟავაშელი**
**დავითი ხაჩიძე**

# ბიძინა ივანიშვილი: კოალიციური მთავრობა ქვეყანას პრობლემას შეუქმნის



**14 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ყოფილმა პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კოალიციური მთავრობის შექმნაზე ისაუბრა. მისი თქმით, თუ ისევ შედგა კოალიციური მთავრობა, ქვეყანა ბევრ პრობლემას მიიღებს.**

„კოალიციური მთავრობა პრობლემა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენ გვქონდა კოალიციური მთავრობა და ჩემი პიროვნება აბალანსებდა სიტუაციას, მაგრამ ახალ პირობებში და ახალ არჩევნებზე თუ 80 ხმაზე ნაკლებს მიიღებს „ქართული ოცნება“, ეკონომიკური რეფორმების გატარება გაძნელდება. თუ ისევ შედგა კოალიციური მთავრობა, ძალიან ბევრ ახალ პრობლემას მივიღებთ. ასეთი მთავრობები, ძირითადად, რესურსების განაწილებაში არიან სათავისოდ და სერიოზული რეფორმები რჩება უყურადღებოდ, თუმცა კოალიციური მთავრობის წინააღმდეგი არ ვარ. მაგრამ ისეთი ეკონომიკისა და მცირე დაფინანსების პირობებში, როგორშიც ჩვენ ვართ, ძალიან რთული იქნება და შეუშლის ხელს საქართველოს სწორი მიმართულებით განვითარებას. დემოკრატიას არაფერი ისეთი აღარ ემუქრება. „ნაციონალები“ 5 კაცით საოცრებას ველარ მოახდენენ, მაგრამ კოალიციური მთავრობა ასეთ ეკონომიკურ პირობებში იქნება ძალიან რთული. პრემიერსა და მთავრობას სჭირდება ძლიერი გუნდი“, — განაცხადა ივანიშვილმა.

# ახალი ზელანდიის პოლიციამ 500 კილოგრამამდე მეტამფეტამინი ამოიღო

**ახალი ზელანდიის პოლიციამ სამ მამაკაცს ავტომობილის ჩხრეკისას 500 კილოგრამი მეტამფეტამინი უპოვა. ნარკოტიკების ღირებულება დაახლოებით 315 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. იუწყება სააგენტო „როიტერი“.**

დანაშაულში ეჭვმიტანილები მიმდინარე წლის 12 ივნისს დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულების ავტომობილებში ჩატარებული ჩხრეკისას აკრძალული ნარკოტიკული ნივთიერებები აღმოაჩინეს. დიდი ოდენობით მეტამფეტამინი ამოიღეს ერთ-ერთი მიტოვებული ნავიდანაც, რომელიც სანაპიროდან 90 კილომეტრში იპოვეს.

პოლიციის განცხადებით, ნარკოტიკების ეს პარტია ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დიდია. მიმდინარე წელს სამართალდამცველებმა 334 კილოგრამი მეტამფეტამინი ამოიღეს, ეს აქამდე ყველაზე დიდ რაოდენობად ითვლება.




## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი — ნევროპათოლოგი — ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს — ნეფრიტს, გლომერულო ნეფრიტს, ქრ. ბუასილს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, კოკს-ართროზს, ქრ. ქოლეცისტიტს, ბე-ჰეპატიტს, პროსტატიტს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის კისტას — კისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრ. ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე,**
**მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე)**
**თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3**
**(დედათა და ბავშვთა მონასტერი)**


საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894